სსიპ გორის სახელმწიფო უნივერსიტეტი
LEPL GORI STATE UNIVERSITY

სამეცნიერო კვლევების ჟურნალი

JOURNAL OF SCIENTIFIC RESEARCHES

ტომი VI, №2

Volume VI, No 2

2024

სსიპ - გორის სახელმწიფო უნივერსიტეტის სამეცნიერო ჟურნალის - „სამეცნიერო კვლევების ჟურნალი“ წინამდებარე ნომერში ქვეყნდება გორის სახელმწიფო უნივერსიტეტის მიერ 2023 წლის 15 დეკემბერს ჩატარებულ მეთექვსმეტე საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციაზე - „განათლება და მეცნიერება ციფრულ ეპოქაში: გამოწვევები და პერსპექტივები“ სექციებზე - „მათემატიკა და ინფორმატიკა“, „საბუნებისმეტყველო მეცნიერებები“, „ბიზნესი და ეკონომიკა“, „სოციალური მეცნიერებები და სამართალი“ წარმოდგენილი ნაშრომები.

In the current issue of LEPL – Gori State University Scientific Journal “Journal of Scientific Researches” are published the works, that were presented at the sections – “Mathematics and Informatics”, “Natural Sciences”, “Business and Economics”, “Social Sciences and Law” at the The Sixteenth International Scientific Conference “Education and Science in the Digital Age: Challenges and Perspectives”, held by Gori State University on December 15, 2023.

სარედაქციო კოლეგია:

- **ალექსანდრე მღებრიშვილი** - სარედაქციო კოლეგიის თავმჯდომარე (საქართველო);
- **გიორგი სოსიაშვილი** (საქართველო);
- **ვიანორ ახალაია** (საქართველო);
- **გიზო გოგიჩაიშვილი** (საქართველო);
- **გიორგი გოგიჩაძე** (საქართველო);
- **იან მალიცკი** (პოლონეთი);
- **თეიმურაზ მთიბელაშვილი** (საქართველო);
- **დიმიტრი ნადირაშვილი** (საქართველო);
- **იურგიტა რაუდელიუნიენე** (ლიტვა);
- **ზვიად როგავა** (საქართველო);
- **მანანა რუსიეშვილი** (საქართველო);
- **სოსო სიგუა** (საქართველო);
- **იანის სტრადინში** (ლატვია);
- **ომარ ფურთუხია** (საქართველო);
- **ჰარუნ ჩიმქე** (თურქეთი);
- **ჯემალ ძაგანია** (საქართველო);
- **ქეთევან ჭკუასელი** (საქართველო);
- **მიხეილ ჯიბუტი** (საქართველო).

ტექნიკური რედაქტორი: გიორგი ყაზიშვილი, გორის სახელმწიფო უნივერსიტეტი

EDITORIAL BOARD:

- **Aleksandre Mgebrishvili** - Chairman of the Editorial Board (Georgia);
- **Giorgi Sosiashvili** (Georgia);
- **Vianor Akhalaia** (Georgia);
- **Gizo Gogichaishvili** (Georgia);
- **Giorgi Gogichadze** (Georgia);
- **Jan Malicki** (Poland);
- **Teimuraz Mtibelashvili** (Georgia);
- **Dimitri Nadirashvili** (Georgia);
- **Jurgita Raudeliuniene** (Lithuania);
- **Zviad Rogava** (Georgia);
- **Manana Rusieshvili** (Georgia);
- **Soso Sigua** (Georgia);
- **Janis Stradinsh** (Latvia);
- **Omar Purtukhia** (Georgia);
- **Harun Chimke** (Turkey);
- **Jemal Dzagania** (Georgia);
- **Ketevan Chkuaseli** (Georgia);
- **Mikheil Jibuti** (Georgia).

TECHNICAL EDITOR:
Giorgi Kazishvili, Gori State University

გამოქვეყნებული სტატიის სიზუსტეზე პასუხისმგებელია ავტორი. მისი პოზიცია შეიძლება არ ემთხვეოდეს სარედაქციო კოლეგიის შეხედულებებს.

ჟურნალის რედაქცია პასუხს არ აგებს სტატიის გამოქვეყნების შედეგად გამოწვეულ შესაძლო ზარალზე. იმ შემთხვევაში, თუ სტატიის გამოქვეყნების შედეგად დაირღვა საავტორო ან სხვა უფლება, რედაქცია უფლებამოსილია გამოქვეყნებული სტატია ამოიღოს მონაცემთა ბაზიდან.

The author is liable for the accuracy of the published article. His views may not coincide with the ideas of editorial board.

Editorial Board is not responsible for the possible damage caused by the publication of the article. In case the author`s or other rights are violated after the publication of the article, the editorial board is authorized to remove the published article from the database.

ISSN 2587-4683

შ ი ნ ა ა რ ს ი

მათემატიკა და ინფორმატიკა

მალხაზ მუმლაძე – *ფიზიკური სისტემების ენტროპია, თავისუფალი და ბმული მასები, მათი რელატივური თვისებები* (ინგლისურ ენაზე) – 5

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები

ალექსანდრე იაშვილი – *თავმდაბლობის აღზრდა ფიზიკური აღზრდისა და სპორტის სასწავლო-საწვრთნო პროცესში* – 9
თინათინ იოსებიძე, **მარინე ქურიძე**, **მარიამი უბირია** – *გორის მუნიციპალიტეტის ალერგიული ხე მცენარეები* – 11
თამილა კეკოშვილი – *ოპიატებისა და ოპიოდების გავლენები თავის ტვინის სისხლის ნაკადსა და მეტაბოლიზმზე* – 17
ნელი პაპუკაშვილი – *სასკოლო ტანვარჯიშში გამართული ტანადობის საკითხისათვის* – 19
მარიამი უბირია – *დისკოგენური რადიკულოპათიის კომპლექსური ფარმაკოთერაპია* – 24

ბიზნესი და ეკონომიკა

მაია აზმაიფარაშვილი – *კურორტების მდგრადი განვითარების ტენდენციები და მიდგომები რეგიონის ეკონომიკის განვითარებისთვის, შიდა ქართლის მაგალითზე* – 27
მანია გოგიძე, **ნანა ნადირაძე** – *საერთაშორისო გამოცდილება და ქართველი მენეჯერის, როგორც კორპორაციული ლიდერის უნარ-ჩვევები* – 31
მაკა მაკარიძე, **თეა ანესაშვილი** – *ნავთობი - უმნიშვნელოვანესი ბუნებრივი რესურსი და მისი როლი საქართველოს ეკონომიკის განვითარებაში* – 34
ლეილა მამულაშვილი, **მარია კლდიაშვილი** – *პირდაპირი უცხოური ინვესტიციების განხორციელების გავლენა საქართველოს ბიზნეს-გარემოზე* – 37
დავით ჭიოტაშვილი, **ხალიანა ჩიტაძე** – *კლიმატის ცვლილების გავლენა საბიუჯეტო პროცესების რეგულირებაზე საქართველოში* – 40

სოციალური მეცნიერებები და სამართალი

იოსებ გაბარაევი – *მსხვერპლის თანხმობა, როგორც მტკიცებულება ქმედების სქესობრივ დანაშაულად კვალიფიკაციისას* – 44
ქეთევან ლომსაძე, **ნანა ცხვედაძე** – *პიაჟეს ფენომენის და უზნაძის კოინციდენციის ფაქტორი ბავშვის აზროვნების განვითარებაში* – 50
ლევან მიდოდაშვილი, **ნიკოლოზ მიდოდაშვილი** – *მმართველობის ინტეგრირებული რეიტინგული მაჩვენებლის განსაზღვრა* – 54
ეთერ ორმოცაძე-მახარაძე – *განსაზღვრულობის სპეციფიკისათვის* – 58
მაკა სალხინაშვილი – *ადმინისტრაციული საქმეების დისტანციურად განხილვის თავისებურებანი* – 62
ალექსანდრე ჩხიტაური – *საქართველოს თანამედროვე საბაჟო პოლიტიკა – საბაჟო კოდექსის სრულყოფის საკითხები* – 67

C O N T E N T S

Mathematics and Informatics

Malkhaz Mumladze – *Entropy of Faze Space of Physical Systems, Free and Bond masses of Closed Physical Systems and their Relativity Properties* (in English) – 5

Natural Sciences

Aleksandre Iashvili – *Cultivating Humility in the Educational and Training Process of Physical Education and Sports* – 9
Tinatin Iosebidze, **Marine Kuridze**, **Mariami Ubiria** – *Allergic Tree Plants of Gori Municipality* – 11
Tamila Kekoshvili – *Effects of Opiates and Opioids on Cerebral Blood Flow and Metabolism* – 17
Neli Papukashvili – *Issues of Stateliness in School Gymnastics* – 19
Mariami Ubiria – *Complex Pharmacotherapy of Dyscogenic Radiculopathy* – 24

Business and Economics

Maia Azmaiparashvili – *Tendencies of Sustainable Development of Resorts and Approaches to the Development of the Economy of the Region, on the Example of Shida Kartli* – 27
Mania Gogidze, **Nana Nadiradze** - *International Experience and Skills of a Georgian Manager as a Corporate Leader* – 31
Maka Makaridze, **Tea Anesashvili** – *Oil - the Most Important Natural Resource and its Role in the Development of the Georgian Economy* – 34
Leila Mamulashvili, **Maria Kldiashvili** – *The Impact of Foreign Direct Investment on the Business Environment In Georgia* – 37
Davit Tchiotashvili, **Khaliana Chitadze** – *Impact of Climate Change on the Regulation of Budgetary Processes in Georgia* – 40

Social Sciences and Law

Ioseb Gabaraev – *Victim's Consent as Evidence in Qualifying an Act as a Sex Crime* – 44
Ketevan Lomsadze, **Nana Tskhvedadze** – *The Factor of Piajet's Phenomenon and Uznadze's Coincidence in the Development of Children's Logical Thinking* – 50
Levan Midodashvili, **Nikoloz Midodashvili** – *Determination of the Integrated Rating Indicator of Governance* – 54
Eter Ormotsadze-Makharadze – *For the Specifics of Determination* – 58
Maka Salkhinashvili – *Features of Remote Consideration of Administrative Cases* – 62
Aleksandre Chkhitauri – *Modern Customs Policy of Georgia - Issues of Perfecting the Customs Code* – 67

Malkhaz Mumladze
Gori State University

Entropy of Faze Space of Physical Systems, Free and Bond masses of Closed Physical Systems and their Relativity Properties

Abstract. In the article (Mumladze, 2020) we introduced the concept of entropy for such topological spaces that admit pseudo-convex coverings (Mumladze, 2020), and it was shown here that the class of such topological spaces is quite wide.

The present article introduces the concepts of free and bond masses of a closed system, shows the relative nature this masses and entropy of the phase space of a closed system.

***Key words*:** Entropy, faze space, Minkowski space, Lorentz Transformations.

Introduction

Let's say there is a closed system with a phase space X whose entropy is $S = \frac{N}{M}$ (Mumladze, 2020), where N represents the number of elements in the minimal pseudo-convex open covering (Mumladze, 2020) of the topological space and M the number of orbits acting on the covering elements of the homeomorphisms preserving this covering. The concept of entropy for phase spaces of dynamical systems was used by us to describe the evolution of closed physical systems. By means of the concept of entropy, a random process was constructed that described the evolution of such systems in time (Mumladze, 2020; Mumladze, 2021; Mumladze, 2022). Since the concept of entropy is the base in such constructions the behavior of entropy in different reference systems during these dynamic processes is interesting.

Free and bond masses of closed systems, Lorentz transformations of systems, Relative properties of free and bond masses

Let's mass of closed system is m, call the quantity $m_M = \frac{\sqrt{m}}{S} M$ the bond mass of the system, and the quantity $m_S = \frac{\sqrt{m}}{M} S$ the free mass of the system. Obviously, that is $m = m_M m_S$, there is an inversely proportional relationship between the bond and free masses of the closed system.

In closed systems, entropy increases continuously at all moments of time, and the free mass of the system also increases. In such a system, time is projected into the change in the free mass of the system. Since every change in a closed system is the result of an increase in entropy, therefore, we can assume that the same that $m_S = Ct$, where t is time and C is a speed of increase of free mass of systems which measured in kg/sec .

Lorentz transformation $L : R^n_{n-1} \to R^n_{n-1}$ of Minkowski R^n_{n-1} space (Couto & Lymberopoulos, 2021; Pauli, 1947; Fiodorov, 1979) is transformation which saves scalar product: $\langle L(a), L(b) \rangle = \langle a, d \rangle$.

Consider the 2- dimensional vector space of events R^2_1, the elements of this space are pairs (Ct, m_M) of bond and free masses of closed systems. If we fix any isotropic base (Mumladze, 2023b) in this space, and we will assume that the coordinates of event (Ct, m_M) is given in this basis, then square of thi pseudo-scalar product of each this event (vector) will be the product $m_m Ct = m$.

For isotropic base Lorentz transformations (Couto & Lymberopoulos, 2021; Pauli, 1947; Fiodorov, 1979) have the matrixes:

$$\begin{pmatrix} a & 0 \\ 0 & \frac{1}{a} \end{pmatrix}$$

or

$$\begin{pmatrix} 0 & a \\ \frac{1}{a} & 0 \end{pmatrix}.$$

Event (Ct, m_M) by this transformations in event (Ct', m'_M) ,where $m'_M = am_M + 0t,\ \ t' = m_M 0 + \frac{1}{a}t$.

Indeed, $Ct' = \frac{1}{a}Ct$ therefore $m'_M aCt' = m_M C\frac{1}{a}t = m_M Ct = m$ for second matrix will be some.

$$m'_M aCt' = m_M C\frac{1}{a}t = m_M Ct = m.$$

Let's say now we have events in the system $(Ct_1, m_M^1),\ (Ct_2, m_M^2)$. This pair of events will have the form interval between these events (Couto & Lymberopoulos, 2021), it is

$$s_{12} = \sqrt{(m_M^2 - m_M^1)(Ct_2 - Ct_1)}.$$

The interval between the corresponding two events $(Ct'_1, m'^1_M),\ (Ct'_2, m'^2_M)$ will be in the countdown system

$$s'_{12} = \sqrt{(m'^2_M - m'^1_M)(Ct'_2 - Ct'_1)}. \qquad ,$$

If we make Lorentz transformation of one isotropic base to second, we will get

$$m'^2_M - m'^1_M = am_M^2 - am_M^1.$$

and

$$C(t'_2 - t'_1) = C(\frac{1}{a}t_2 - \frac{1}{a}t_1)$$

It follows from these last two equations

$$s'_{12} = \sqrt{a(m_M^2 - m_M^1)\frac{C}{a}(t_2 - t_1)} = s_{12}$$

It means in two different isotropic reference system the mass and interval between event pairs are invariants.Therefore, the equality of the intervals between the events also took place in our case.

Consider the quantity $(m'^2_M - m'^1_M)$ using Lorentz transformations, we will have:

$$m_M^2 - m'^1_M = am_M^2 - am_M^1 = a(m_M^2 - m_M^1).$$

It follows, that the measure of difference between bond mass in two events first isotropic reference system well be more than measure of difference between bond mass between two the respective events of second isotropic reference system if $a < 1$. If $a > 1$,it will be vice versa.

Consider new equation

$$C(t'_2 - t'_1) = C(\frac{1}{a}t_2 - \frac{1}{a}t_1),$$

From this equation follows, that, the measure of difference between free masses in two events for observer of first isotropic reference system will be less than measure of difference between free masses between two the respective events of second isotropic reference system if $a < 1$. If $a > 1$,it also will be vice versa.

Let new, consider orthonormal e_1, e_2 base in Minkowski vector space R_1^2. Let K The reference system associated with this base, in such system for event (Ct, m_M) product $m_M Ct$ it does not represent a scalar square of this event. In case of a orthonormal base we can consider second K' reference system obtained from the system K by moving along the axis corresponding to component m_M at V kg/s a constant speed. In the isotropic case, we cannot consider such a reference system. Such transformations of coordinates in ortonormal case is called Lorentz t transformations (Couto & Lymberopoulos, 2021; Pauli, 1947; Fiodorov, 1979) and has a form:

$$m'_M = \frac{m_M - Vt}{\sqrt{1-\left(\frac{V}{C}\right)^2}},$$

$$t' = \frac{t - \frac{V}{C^2} m_M}{\sqrt{1-\left(\frac{V}{C}\right)^2}}.$$

As in the case of the isotropic basis, the mass of the system in the orthonormal basie is the square of the length of the vector representing the given event.

It is clear, that mass of system is invariant for Lorentz transformations, indeed

$$m'^2_M - C^2 t'^2 = \frac{(m_M - Vt)^2 - C^2(\frac{V}{C^2} m_M - t)^2}{1-\left(\frac{V}{C}\right)^2} = \frac{m_M^2 - 2m_M Vt + V^2 t^2 - C^2 \frac{V^2}{C^4} m_M^2 + 2C^2 m_M \frac{V}{C^2} t - C^2 t^2}{1-\left(\frac{V}{C}\right)^2} =$$

$$\frac{m_M^2\left(1-\left(\frac{V^2}{C^2}\right)\right) - C^2 t^2\left(1-\frac{V^2}{C^2}\right)}{1-\left(\frac{V}{C}\right)^2} = m_M^2 - C^2 t^2$$

In orthonormal reference system the interval between two pair of event $(Ct_1, m_M^1),\ (Ct_2, m_M^2)$ in system K is

$$s_{12} = \sqrt{(Ct_2 - Ct_1)^2 - (m_M^2 - m_M^1)^2}\ .$$

Interval is invariant for such Lorentz transformation, Indeed, if $(Ct'_1, m'^1_M),\ (Ct'_2, m'^2_M)$ is pair of events in system K' then interval between this events is

$$s'_{12} = \sqrt{(Ct'_2 - C't_1)^2 - (m'^2_M - m'^1_M)^2}$$

If we use the Lorentz transformation we well have:

,

$$C^2(t_2 - t_1)^2 = \frac{C^2(t'_2 - t'_1)^2 + 2V(t_2 - t_1)(m'^2_M - m'^1_M) + \frac{V^2}{C^2}(m'^2_M - m'^1_M)^2}{1-\frac{V^2}{C^2}}$$

and

$$(m_M^2 - m_M^1)^2 = \frac{(m'^2_M - m'^1_M)^2 + 2V(t'_2 - t'_1)(m'^2_M - m'^1_M) + V^2(t'_2 - t'_1)^2}{1-\frac{V^2}{C^2}}\ .$$

From this equations, finally we will get:

$$s_{12} = \sqrt{(Ct_2 - Ct_1)^2 - (m_M^2 - m_M^1)^2} = s'_{12} = \sqrt{(Ct'_2 - C't_1)^2 - (m'^2_M - m'^1_M)^2}\ .$$

Consider the magnitude $\sqrt{(m'^2_M - m'^1_M)^2}$, If we use the Lorentz transformation we well have:

$$\sqrt{(m_M^2 - m_M^1)^2} = m_M^2 - m_M^1 = \frac{m'^2_M + Vt'}{\sqrt{1-\left(\frac{V}{C}\right)^2}} - \frac{m'^1_M + Vt'}{\sqrt{1-\left(\frac{V}{C}\right)^2}} = \frac{m'^2_M - m'^1_M}{\sqrt{1-\left(\frac{V}{C}\right)^2}},$$

from this follows

$$m = m_M'^2 - m_M'^1 = m_0\sqrt{1-\left(\frac{V}{C}\right)^2}\ .$$

where

$$m_0 = m_M^2 - m_M^1\ .$$

This means that in stationary system, the difference in bond masses of two events in a moving system is smaller than for the stationary system.

The free masses in stationary reference system has form $m_S = Ct$. If we take into account Lorentz transformations system, and the fact that the free masses in this moving system will have the form: $Ct' = \dfrac{Ct - C\dfrac{V}{C^2}m_M}{\sqrt{1-\left(\dfrac{V}{C}\right)^2}}$.

If we take into account, since in zero moment of time the reference systems K, K' are match and $m_M = 0$, after time t will be m_M we can write $m_M = Vt$ That's why we will have:

$$Ct' = \frac{Ct - C\frac{V}{C^2}m_M}{\sqrt{1-\left(\frac{V}{C}\right)^2}} = \frac{Ct - \frac{V}{C^2}VCt}{\sqrt{1-\left(\frac{V}{C}\right)^2}} = Ct\sqrt{1-\left(\frac{V}{C}\right)^2}$$

For the magnitude we have $\sqrt{1-\left(\frac{V}{C}\right)^2} \le 1$, therefore we can make conclusion: in stationary system the free mass grows more slowly than in moving system, hence the time also flows more slowly and entropy grows more slowly.

Conclusions:

1. Based on the concept of entropy of the phase space of a closed physical system, we defined the concepts of free mass and bond mass of this system.

2. We represented free mass and bond mass as components of the vector-two-dimensional Minkowski space.

3. We showed: If components of events in R_1^2 Minkowski space is free mass and bond mass of closed physical space : $(m_S = Ct, m_M)$ and K, K' two reference systems ,for which K stationary and K' moving whit speed V kg /second, along axis appropriate to m_M , ten we have:

a) $s_{12}' = \sqrt{(Ct_2' - C't_1)^2 - (m_M'^2 - m_M'^1)^2} + s_{12} = \sqrt{(Ct_2 - Ct_1)^2 - (m_M^2 - m_M^1)^2}$

b) $m_M^2 - m_M^1 = (m_M'^2 - m_M'^1)\sqrt{1-\left(\frac{V}{C}\right)^2}$,

c) $m_s' = Ct' = (m_s = Ct)\sqrt{1-\left(\frac{V}{C}\right)^2}$

The meaning of these equations is as follows:

Interval between pairs of free mass and bond mass of closed system is invariant for Lorentz transformation.

The different of projections of events (Ct_1, m_M^1), (Ct_2, m_M^2) on the axis m_M is more than The different of projections of events $(C't_1, m_M'^1)$, (Ct_2', m_M^2) on the axis m_M'

The free mass of closed system in stationary reference system K is more than in moving reference system K'. This means that Free mass and entropy in system K' Free mass and entropy increase slowly than in system K, it is the same as that time flows more slowly in a moving system K' than in a stationary system K

4. The relevant dependencies are shown for that case when K, K' reference systems are isotropic and K' is obtained from K by the above mentioned matrices.

REFERENCES

Couto, I. T., & Lymberopoulos, A. (2021). *Introduction to Lorentz Geometry: Curves and Surfaces.* CRC press, Tailor & Francis group, Carman & Hall book.

Fiodorov, F. I. (1979). *Lorentz Groups*. Moscow. (in Russian).

Mumladze, M. (2020). Entropy of Topological Space and Evolution of Phase Space of Dynamical Systems. *International Journal of Management and Fuzzy Systems.* 6(1), 8-13. DOI: 10.11648/j.ijmfs.20200601.12

Mumladze, M. (2021). Stochastic model of evolution of homotopy type of phase space of dynamical system. *East European scientific Journal*. Volume 1. 4(68). DOI:10.31618/ESSA.2782-1994.2021.1.68.17

Mumladze, M. (2022). Entropy of State of Quantum System and Dynamic of This System. Open Access Library Journal. Vol. 9 No. 8. DOI: 10.4236/oalib.1109052

Mumladze, M. (2023)a. Entropy of Faze Space of Physical Systems, Free and Bond Energy of Closed Physical Systems and their Relativity Properties. *Journal of Advances in Mathematics and Computer Science.* Vol. 38, Issue 9. 98-104. DOI: 10.9734/jamcs/2023/v38i91807

Mumladze, M. (2023)b. *Basics of Geometry*. Gori. (in Georgian).

Pauli, V. (1947). *Theory of Relativity*. Moscow. (in Russian).

ს ა ბ უ ნ ე ბ ი ს მ ე ტ ყ ვ ე ლ ო მ ე ც ნ ი ე რ ე ბ ე ბ ი

N a t u r a l S c i e n c e s

ალექსანდრე იაშვილი
გორის სახელმწიფო უნივერსიტეტი

თავმდაბლობის აღზრდა ფიზიკური აღზრდისა და სპორტის სასწავლო-საწვრთნო პროცესში

საკვანძო სიტყვები: სპორტი, თავმდაბლობის აღზრდა, სპორტსმენი, ფიზიკური აღზრდა.

თავმდაბლობა იყო, არის და ყოველთვის იქნება შესაშური, ღირსეული და კაცური თვისება. იგი ამშვენებს ნებისმიერი პროფესიისა და თანამდებობის პიროვნებას. შეიძლება ითქვას, რომ თავმდაბლობა არის გვირგვინი ადამიანის სინდისისა და პატიოსნობისა. როდესაც თავმდაბლობაზე ვსაუბრობთ, აუცილებელია ვიცოდეთ, რომ ეს არარის რომელიმე თვისება, არამედ ეს არის ადამიანის მიდრეკილებათა ჯამი და ანგარიში უნდა გაეწიოს გარემოს, სადაც ადამიანის თავმდაბლობა ყალიბდება.

პიროვნული თავმდაბლობის ძალზე ბევრი ნიმუში მოგვცა დიდმა სპორტმა. სპორტზე ყურადღებას იმიტომ ვამახვილებთ, რადგანაც ცნობილი სპორტსმენები საზოგადოების განსაკუთრებულ ინტერესს იწვევენ, მრავალი ათასი მაყურებლის განსჯა სპორტსმენთა ქცევის თაობაზე იძლევა უტყუარ სურათს.

ქართული სპორტის ისტორია გვაწვდის ცნობებს შესანიშნავი ადამიანების შესახებ. მაგალითად, ძალზე ძნელია მოინახოს ისეთი მოღვაწე, როგორიცაა ქალთა შორის ჭადრაკში ხუთგზის მსოფლიო ჩემპიონი ნონა გაფრინდაშვილი. მისი თავმდაბლობა მუდამ გვანცვიფრებდა მაშინაც კი, როდესაც არავითარი ტიტული არ ჰქონდა და ახლაც როდესაც ის მსოფლიოს ხუთგზის გვირგვინოსანია. გარდა ამისა, მის მიერ გამოცემული წიგნი პიროვნული და სპორტული თავმდაბლობის ნიმუშია. არსად, აერერთ ადგილას ნონა არ ამცირებს მის სპორტულ მეტოქეებს.

ბედნიერებაა, რომ ასეთი წინამძღოლი ჰყავს ქართულ საჭადრაკო სკოლას.

შემთხვევით არაა, რომ ნონას პრეცედენტს მაია ჩიბურდანიძეს შენახული აქვს ძვირფას რელიკვიად ნონა გაფრინდაშვილის ფოტო - სურათი.

შეიძლება, რომ მაიას ნონას თავმდაბლობა დაჰყვეს, მისი ადამიანური თვისება განსაკუთრებული სიცხადით ვიგრძენით მისი ტრიუფალური გამარჯვების შემდეგ ბად - კისინგენში.

თავმდაბლობის ფასი არაფერია, თავმდაბლობით იცნობა ადამიანი, ის არის მისი ღირსების, პიროვნული მონაპოვრის კულტურის უპირველესი ნიშანი.

სპორტში განსაკუთრებით წინა პლანზე არის წამოწეული ეს თვისება. მილიონების თვალი უმზერის შეჯიბრებას, აღიქვამს, აფასებს და გაიზიარებს სპორტსმენის გამოკვეთილ ნიშან - თვისებებს, მის მორალურ - ზნეობრივ იერსახეს და თითოეულ ნაბიჯსაც კი.

ამიტომ სპორტსმენს ,,ჩვეულებრივი" ადამიანისაგან განსხვავებით უფრო მეტი თავშეკავება და თავმდაბლობა მართებს. მისი მოქმედება ხშირად მისაბაძი ხდება ახალგაზრდობისათვის.

თავმდაბლობას აღზრდა სჭირდება, აქაც მწვრთნელ - პედაგოგმა უნდა თქვას თავისი ავტორიტეტული სიტყვა.

არავითარ შემთხვევაში არ უნდა დაყოს თავის მოწაფეები ფავორიტებად და ,,გერებად".

ახალბედა სპორტსმენს დაუმსახურებელი შექება უთუოდ გაუმრუდებს გზა და ფსიქიკას.

მან შეიძლება იმთავითვე შეიძლება ირწმუნოს თავის განსაკუთრებულობა და ამით ცუდი სამსახური გაუწიოს არა მარტო თავისთავს, არამედ მისი მშობლიური კოლექტივის კეთილ სახელსაც.

ამპარტოვნებას, საკუთარი შესაძლებლობების უსაშველოდ გაზვიადებასა და მეტოქეთა ძალის შეუფასებლობას მხოლოდ მარცხისა და გაწბილებისაკენ მიჰყავს სპორტსმენი.

თავმდაბლობის უკმარისობა ზოგიერთ სპორტსმენს ეს ავადმყოფობა ახასიათებს ზოგიერთ მოწინავე სპორტსმენებს.

ამთავრებენ რა სპორტულ კარიერას, ბოლომდე მიიღებენ თავის წილ პატივისცემას და დაფასებას, მერე კი მუდმივად მოითხოვენ პატივისცემას. ფაქტიურად მათი მოღვაწეობა არაფრით არ ჰგავს წინანდელს. ასეთი ქმედება, კი ზიანს აყენებს საერთო საქმეს.

სპორტის სფერო სპორტსმენებით და მწვრთნელებით არ ამოიწურება. ამ სფეროში ტრიალებენ ჟურნალისტები, რომლებსაც ესაჭიროებათ თავმდაბლობა, ისინი ვალდებულნი არიან სპორტს განიხილავდნენ მოღვაწის და გულშემატკივარის თვალით.

აი, სწორედ ასეთი ვაიჟურნალისტები ქმნიან წმიდათაწმინდა სფეროში არა ჯანსაღ ატმოსფეროს. ჩვენი მოვალეობა არის მათი ,,მართებულ" გზაზე დაყენება.

ჩვენს მიერ საქართველოში ჩატარებული დაკვირვების ანალიზი უფლებას გვაძლევს განვაცხადოთ, რომ ბოლო 60 წლის მანძილზე მოღვაწე მწვრთნელები: მიხეილ თიკანაძე, ბიძინა მაზიაშვილი, გურამ პაპიტაშვილი, სპორტსმენები: ოთარ ქორქია, როსტომ აბაშიძე, გივი კარტოზია, ნონა გაფრინდაშვილი, მაია ჩიბურდანიძე, ქეთევან ლოსაბერიძე, ბორის პაიჭაძე, რობერტ შავლაყაძე, ლევან თედიაშვილი, ვახტანგ ბალავაძე. სპორტული ჟურნალისტები: მიხეილ კაკაბაძე, თენგიზ გაჩეჩილაძე გამოირჩევიან თავმდაბლობით.

ბიბლიოგრაფია

კახიძე, გ. (2007). *ფიზიკური აღზრდისა და სპორტის თეორიის მეთოდიკის საფუძვლები. სპორტის თეორია.* თბილისი.

მატვეევი, ლ. (1987). *სპორტული წვრთნის საფუძვლები.* თბილისი.

Aleksandre Iashvili

Gori State University

CULTIVATING HUMILITY IN THE EDUCATIONAL AND TRAINING PROCESS OF PHYSICAL EDUCATION AND SPORTS

RESUME

Cultivating humility is one of the most important processes, the coaches working in Georgia: Mikheil Tikanadze, Bidzina Maziashvili and Guram Papitashvili paid special attention to cultivating humility during their training sessions.

World champions were brought up with this kind of approach.

The Georgian athletes presented in the work achieved world-class success with humble and systematic work.

Georgian sports journalists Mikheil Kakabadze and Tengiz Gachechiladze often wrote about their success in the Georgian sports press.

We believe that coaches should pay special attention to raising the humility of those who practice different sports.

Key words: Sport, Cultivating Humility, Athlete, Physical education.

თინათინ იოსებიძე, მარინე ქურიძე, მარიამი უბირია
გორის სახელმწიფო უნივერსიტეტი

გორის მუნიციპალიტეტის ალერგიული ხე მცენარეები

საკვანძო სიტყვები: მცენარეები, პოლინოზი, ალერგენი, მტვერი, ჯანმრთელობა.

ჩვენი კვლევის მიზანია ქალაქ გორის ცენტრში არსებული პარკებში და ქუჩებში გაშენებული ალერგიის გამომწვევი ხე მცენარეების აღწერა, შესწავლა და მათ შორის ყველაზე ძლიერი ალერგენების შემცველი მცენარეების გამოვლენა, მათი ყვავილობის კალენდრის დადგენა - ალერგენის ნეგატივის შესამცირებლად და პრევენციისთვის. კვლევა ჩატარებულია 2021-2023 წლებში.

გორის მუნიციპალიტეტი თავისი ბიომრავალფეროვნებით საქართველოს ერთ-ერთ მდიდარ რეგიონს წარმოდგენს, რასაც ხელ უწყობს როგორც რელიეფი, ასე მისი ნიადაგ-კლიმატური პირობები. ოდითგან აქ პირველი ტერასები ეკავათ ჭალის ტყეებს, რომელთა მცირე ფრაგმენტები ამ მიდამოებში დღესაცაა შემორჩენილი. დომინანტ ფორმაციებს წარმოადგენდნენ მუხნარები, რცხილნარები, მუხნარ-რცხილნარები, წიფლნარები, რცხილნარ-წიფლნარი ტყეები. გორიჯვრის სამხრეთით, მთის ტყეები მუხნარ-რცხილნარი ტყეების ჰაბიტატებს ქმნიან. ცალკეული კორომებისა და ჭალის ტყის ნაშთების სახით გვხვდება ოფი, ხვალო, ჭალის მუხა, ტირიფი, მურყანი თუთა, თელა, ქართული ნეკერჩხალი, ბერყენა, რცხილა, ბოკვი, ურთხელი, კუნელი, ტყემალი, ასკილი, გრაკლა, თრიმლი და სხვ. გორის მიდამოებში წარმოდგენილია შემდეგი ბუნებრივი და ნახევრად ბუნებრივი სივრცეები:

- სემი-არიდული მდელოები და ბუჩქნარები, ყოფილი ტყით დაფარული ტერიტორიები (ძირითადად, კვერნაკის ფერდობებზე, ასევე, ქალაქის ჩრდილო-დასავლეთით);
- მუხნარ-რცხილნარი ტყეები, გორიჯვრის ფერდობებზე, მტკვრის მარჯვენა სანაპიროზე;
- მტკნარი წყლის ჭარბტენიანი ჰაბიტატების ფრაგმენტები წარმოდგენილია მდინარეების - მტკვრის და ლიახვის კალაპოტებში (ნაპირებზე და მდინარეების კუნძულებზე);
- ჭალის მცენარეულობა გვხვდება, როგორც კალაპოტის რიყეზე ჭაობის/რიყის მცენარეულობის სახით, ასევე, ფრაგმენტულად - ჭალის ტყისთვის დამახასიათებელი ხე-მცენარეების კორომები (ვერხვები, ტირიფები);
- ქალაქ გორის ტერიტორიაზე ჭალის ტყის ყველაზე ვრცელ უბანს წარმოადგენს ქალაქის აღმოსავლეთ ნაწილში, მტკვარზე არსებული ტყის კორომი, შედარებით მცირე კორომებია ლიახვზე ქალაქის ცენტრალურ და ჩრდილოეთ ნაწილში.

ხე მცენარეთა სარგებელი არ შეიძლება გადაჭარბებული იყოს. უდავოა, რომ მერქნიან მცენარეებს ქალაქებისთვის დიდი მნიშვნელობა აქვს. თუმცა, როდესაც მცენარეები ჩარევას იწყებენ ქალაქის მაცხოვრებლების ნორმალურ ცხოვრების წესში და აზიანებენ მათ ქონებას, ან იწვევენ მატერიალურ ზარალს, წარმოიქმნება ,,კონფლიქტები“ ადამიანებსა და ხეებს შორის.

ქალაქი გორი შიდა ქართლის ცენტრალურ ნაწილში მდებარეობს, კერძოდ, ტირიფონის ვაკეზე, მდინარეების მტკვრის, ლიახვის და მათი შენაკადების მიერ ფორმირებულ დაბლობზე. მას ესაზღვრება

კვერნაკისა და გორიჯვრის მაღლობები. ქალაქი საშუალოდ ზღვის დონიდან 580-600 მ სიმაღლეზეა გაშენებული, ხოლო შემოგარენის მაღლობების საშუალო სიმაღლე 800-900 მეტრია.

გორის მწვანე სარეკრეაციო სისტემას წარმოადგენს ქალაქის ცენტრალურ ნაწილში განთავსებული ობიექტები - ქალაქის ყველაზე დიდი ფართობის მქონე პარკი „ახალბაღი“, შედარებით მცირე მწვანე სარეკრეაციო სივრცე - გორის სახელმწიფო თეატრის და სტალინის ბაღები, ნიკოლოზ ბარათაშვილის და იაკობ გოგებაშვილის სახელობის სკვერები, მწვანე ფერდობი სუხიშვილის ქუჩაზე და კვერნაკის დასახლებაში, ჭალა-წყაროუბნის შიდა ,,სამეზობლო სკვერი“, გორის ციხის მიდამოების ფერდობი და სხვა, სადაც გვხვდება ფოთლოვანი და წიწვოვანი ხე მცენარეები-ფიჭვი, ნაძვი, ტუია, ვერხვი, თეთრი აკაცია, არყის ხე, ცაცხვი და ბუჩქები, ლიანები და სხვა. ასევე მნიშვნელოვანია, „მწვანე დერეფნები“, რომელიც წარმოადგენს გამწვანებულ ხაზოვან სივრცეს - „დერეფნებს ბიომრავალფეროვნებისთვის“. ამ მხრივ აღსანიშნავია გორის ზოგიერთი ქუჩა, რომლებიც ცალკეულ მონაკვეთებზე უზრუნველყოფილნი არიან ხაზოვანი ურბანული გამწვანებით. მაგალითად: ილია ჭავჭავაძის გამზირი, განსაკუთრებით, აღმაშენებლის გამზირის კვეთიდან გელდიაშვილის ქუჩის კვეთამდე; აქ ხე მცენარეებიდან ძირითადად წარმოდგენილია ჭადრები, მცირე რაოდენობით წიწოვნები და ცაცხვები; დავით აღმაშენებლის გამზირი-გზისპირას გვხვდება - ჭადრები, ხოლო გზაგამყოფზე- ცაცხვები; დავით გურამიშვილის ქუჩა (ცენტრალური სტადიონისა და ახალიბაღის მიმდებარედ) გამწვანებულია ჭადრებით, მცირე რაოდენობით გვხვდება წიწოვნები; მშვიდობის გამზირი, ვახტანგ გორგასლის ქუჩის კვეთიდან ჭონქაძის ქუჩის კვეთამდე ასევე წარმოდგენილია ჭადრებით; სტალინის ქუჩის დიდი ნაწილი წიწოვნებით, მცირე მონაკვეთი კი ჭადრებით, არყის ხეებით და ცაცხვებითაა დატვირთული.

გორთან ახლომდებარე სოფლის გზების დიდი მონაკვეთი, რომელიც ამავე დროს ქარსაფარი ზოლის დანიშნულებასაც ასრულებს - უკავია ალვის ხეს, ვერხვს, თუთას, თეთრ აკაციას, ცაცხვს, კაკლის ხეს, წიწოვნებს, რცხილას და ასე შემდეგ. ხშირ შემთხვევაში აღნიშნული ხე მცენარეები ადამიანში ალერგიას იწვევს.

21-ე საუკუნეს ალერგიის საუკუნეს უწოდებენ. ალერგია, განსაზღვრული ფაქტორების მიმართ ორგანიზმის ზემგრძნობელობაა. როგორც Thomas M. Daniel, (2000) აღნიშნავს, ტერმინი “ალერგია” პირველად ავსტრიელმა პედიატრმა, კლემენს ფონ პირკემ 1911 წელს გამოიყენა და ამ ტერმინით აღწერა მედიკამენტის მიმართ განვითარებული რეაქცია, რომელიც კანზე გამონაყარის გაჩენითა და ქავილით იყო გამოხატული. ალერგიული დაავადებების შესახებ ცნობა შემონახულია ეგვიპტურ პაპირუსებშიც, სადაც დეტალურადაა აღწერილი კრაზანის კბენის შემდეგ განვითარებული ალერგიული შოკი. იმ პერიოდში ეს პათოლოგია დიდ იშვიათობას წარმოადგენდა. 21-ე საუკუნეში ალერგია პლანეტის მოსახლეობის ნახევარზე მეტს აწუხებს, საქართველოში კი დაახლოებით 40%-ს. მისი გამომწვევი მიზეზებია: ცხოველური პროდუქტები, ფარმაკოლოგიური პრეპარატები, საკვები, მწერის ნესტარი, ობისა და სოკოს სპორები, გენეტიკური, მცენარეები და სხვა ალერგენები.

ლიტერატურული მონაცემების მიხედვით (Намазова-Баранова, 2017; Хаитов & Ильина, 2009; Кулушева & Малосиева, 2016; Esch, Hartsell, Crenshaw & Jacobson, 2001), ალერგიული დაავადება მოსახლეობაში სხვადასხვა ასაკში სხვადასხვა სიხშირით და ფორმით გვხვდება. მათი კვლევების მიხედვით მაგალითად, 1-დან 4 წლამდე ასაკის ბავშვებში უმთავრესად დერმატოზული გამოვლინებები და კვებითი ალერგიაა გახშირებული, 5 წლიდან პუბერტატულ ასაკამდე უპირატესად ზედა და ქვემო სასუნთქი სისტემების ალერგიული დაავადებები შეინიშნება. ისინი ასევე ყურადღებას ამახვილებენ სეზონურ ალერგიებზე, რომლებიც უფრო ხშირად გაზაფხულზე აქტიურდება და შეიძლება იმუნური სისტემის დაქვეითებით, ალერგიის გამომწვევი მცენარეების ყვავილობით, ასევე მწერის ნაკბენით იყოს გამოწვეული. მცენარის მტვერზე ალერგიას პოლინოზი ეწოდება. ის მოსახლეობის 10%-ს აწუხებს, მას „თივის ცხელებასაც“ უწოდებენ, თუმცა რეალურად ის არა თივით, არამედ ყვავილის მტვრით არის გამოწვეული. (Адо, 1984)

მტვრის ალერგიის გამომწვევი ეტიოლოგიური ფაქტორია მცენარეების მტვერი, განსაკუთრებით მათი მამრი სასქესო უჯრედები. ისინი გაზაფხულზე სამტვრეებიდან მტვრის პაწაწინა მარცვლებს ჰაერში გამოყოფენ სხვა მცენარეების გასანაყოფიერებლად. მტვრის მარცვლებს აქვს რთული სტრუქტურა და შეიცავს სხვადასხვა ნივთიერებებს, მათ შორის პროტეინს, რომელზედაც ალერგიით დაავადებული ადამიანის ლორწოვანი გარსი რეაგირებს ,,თივის ცხელების “ სახელით ცნობილი შეტევით. რაც მეტია ასეთი ცილა და ცილა-ნახშირწყლების კომპლექსი, რაც უფრო მრავალფეროვანია მათი შემადგენლობა, მით უფრო მაღალია მტვრის ალერგენობა. ისინი ჰაერიდან ადამიანის პირსა და ცხვირში ხვდებიან, სხეული კი თავის დაცვას იწყებს, რაც ხშირად ალერგიის გამომწვევი წყარო ხდება. ალერგენები არსებობს, როგორც ბუნებრივი სახით, ასევე მისი მიღება ხელოვნური გზითაცაა შესაძლებელი. ერში, რ. ე., ჰარსტელი, გ. ჯ., კრენშავი, ჯეკობსონი, რ. ს., (Esch, Hartsell, Crenshaw & Jacobson, 2001) აღნიშნავენ, რომ იმუნური სისტემა შეცდომით მტვერს საფრთხედ აღიქვამს და ანტისხეულების გამოყოფას იწყებს,

რომლებიც ალერგენებს თავს ესხმიან. ეს იწვევს სისხლში ჰისტამინების ქიმიკატების გამოყოფას. ჰისტამინები კი, თავის მხრივ, იწვევენ სურდოს, თვალების ქავილსა და სხვა ტიპის სიმპტომებს. ყვავილის მტვერი რამდენიმე კილომეტრის მანძილზეც კი თავისუფლად გადაადგილდება. ისინი შეიცავენ ალერგენული ცილების დიდ რაოდენობას და გარემოში ვრცელდება ქარით ან გადააქვთ მწერების საშუალებით. აქედან გამომდინარე, დაავადების გამოვლინებები შეიძლება მოხდეს იქ, სადაც არ არის ალერგენული მცენარეები. მტვერი ალერგიულ აქტივობას იჩენს მშრალ, მზიან ამინდებში და ადვილად ვრცელდება განსაკუთრებით მაშინ, როცა ჭარბად წარმოიქმნება. მცენარის მტვრის გავრცელება კი იზღუდება წვიმიან ამინდში.

საქართველოში ალერგიის გამომწვევი მცენარეები სამ ეტაპად ყვავილობს: გაზაფხული, ზაფხული, შემოდგომა და შესაბამისად აღინიშნება პოლინოზის გამწვავების სამი ტალღა: ადრე გაზაფხული, გაზაფხულ - ზაფხულის და ზაფხულ - შემოდგომის გარდამავალი პერიოდი. ჩვენ ყურადღებას ვამახვილებთ პირველი ტალღის გამომწვევ მცენარეებზე.

ხე მცენარეთა სახეობები და მათი ყვავილობის პიკური პერიოდები ქვეყნების მიხედვით განსხვავდება. არსებობს მცენარეული მტვრის გავრცელების ლოკალური კალენდარი, როგორც საქართველოში, ისე საზღვარგარეთ. იგი ხელს უწყობს მოსახლეობის წინასწარ მომზადებას და პრევენციული ზომების მიღებას მტვერზე ალერგიული რეაქციის შესამცირებლად.

ჩვენს მიერ შესწავლილი იქნა გორის მუნიციპალიტეტში გავრცელებული მერქნიან ხე მცენარეების ვეგეტაციის პერიოდი და ფენოლოგიური ფაზებიდან ყურადღება გავამახვილეთ ყვავილობის ფაზაზე. გორის მუნიციპალიტეტის ხე მცენარეებისთვის ეს კალენდარი შემდეგნაირად გამოიყურება: თებერვალის ბოლოს იწყება კვიპაროსის ყვავილობა და ორი თვე გრძელდება(ასევე შესაძლებელია ყვავილობა შემოდგომითაც დაიწყოს);

მარტში ხე მცენარეთა დიდი ნაწილი ყვავილობს: ალვის ხე, თუთა, თხილი, მურყანი, ნეკერჩხალი, ტირიფი, ჭადარი. ისინი ყვავილობას ამთავრებენ აპრილის ბოლოს და მაისის დასაწყისში;

აპრილში ყვავილობას იწყებს: არყის ხე, ვერხვი, თეთრი აკაცია, კაკლი , მუხა, ფიჭვი. მათი ყვავილობა გრძელდება ივნისის დასაწყისამდე.

ივნისის დასაწყისში ყვავილობს და ერთი თვე გრძელდება ცაცხვის ყვავილობა.

აღნიშნული მცენარეთა ყვავილობის კალენდარი თითქმის ანალოგიურია და არ განსხვავდება შიდა ქართლის სხვა სხვა მუნიციპალიტეტებისაგან (გამონაკლისია მაღალმთიანი ზონები-ბოშურის, ლევიტანას, ძამას ხეობის მცენარეულობა, სადაც დაახლოებით ერთი კვირით გვიანდება ყვავილობა).

როგორც მერქნიან ხე მცენარეთა ყვავილობის კალენდრიდან ჩანს , ადრე გაზაფხულის პერიოდში პოლინოზის სიმპტომებს იწვევენ შემდეგი მცენარეები. *Corylus*- თხილი, *Alnus*-მურყანი, *Cupressus*-კვიპაროსი, *Ulmus*-თელა, *Fraxinus*-იფანი, *Populus*-ვერხვი და სხვა. ამ ჯგუფში ყველაზე მაღალი ალერგენული თვისებებით გამოირჩევა *Cupressus*-კვიპაროსი.

მცენარეთა ყვავილობის ფაზაში ,,თივის ცხელების“ სიმპტომები ჩნდება მაშინ, როდესაც ჰაერში მტვრის კონცენტრაცია ზღურბლს აღწევს. მტვრის გავრცელებაზე დიდ გავლენას ახდენს დამტვერვის ტიპი, მაგალითად ენტომოფილურ (მწერებით დამტვერიან) მცენარეებში კაშკაშა და სურნელოვანი ყვავილებით მტვერი დიდი ზომისაა, წებოვანი, ვრცელდება, მცირე დისტანციებზე და მისი კონცენტრაცია ჰაერში ძალიან დაბალია. ამ ჯგუფში შედის თითქმის ყველა დეკორატიული მერქნიანი მცენარე და ხეხილი. ანემოფილურ (ქარით დამტვერიან) მცენარეებს აქვთ პატარა, შეუმჩნეველი, უსუნო ყვავილები. მათი მტვერი არის პატარა, არაწებოვანი, გლუვი და თანაბარი ზედაპირით. მათი უმეტესი ნაწილი ვრცელდება მიწაზე. ამიტომ, ისინი ყველაზე ხშირად ყვავის სანამ ფოთლები გამოჩნდება, რამაც შეიძლება შეაჩეროს მტვრის ფრენა. ალერგიის მიზეზი, როგორც წესი, ანემოფილური მცენარეების მტვერია. მიუხედავად იმისა, რომ ყვავილის მტვერი სამტვრე პარკიდან გამოფრქვევისას კარგავს თავის სიცოცხლისუნარიანობას გარკვეული პერიოდის შემდეგ, მისი ალერგენული თვისებები შენარჩუნებულია დიდი ხნის განმავლობაში. მცენარის მტვერი განსხვავდება ზომით. მის ზედაპირზე არის ღარები, ეკლები და გამონაზარდები. სწორედ ამ მახასიათებლებით ხდება მისი იდენტიფიცირება. 60-დან 100 მიკრონი დიამეტრის მტვერი, ჩასუნთქვისას, ჩერდება ზედა სასუნთქი გზების ლორწოვან გარსზე და მხოლოდ 20-30 მიკრონი დიამეტრის აღწევს ბრონქების ლორწოვან გარსში. ქარით დამტვერილი მცენარეების, მათ შორის ხეების მტვერი კი ჩვეულებრივ 20-50 მიკრონია.

საქართველოს ალერგიისა და იმუნოლოგიის ცენტრმა (ალერგია, თ.გ.) შეიმუშავა ალერგენების მოქმედების შეფასების 5 ქულიანი სისტემა, რომელის თანახმად 5 ქულით შეფასდა კვიპაროსი; 3 ქულით - ჭადარი, თხილი, მურყანი, მუხა; 2 ქულით : ალვის ხე, არყის ხე, ვერხვი, ტირიფი; ერთი ქულით კი თეთრი აკაცია, თუთა, კაკალი, ნეკერჩხალი, ფიჭვი, ცაცხვი და ა.შ.

ქვემოთ მოგვყავს გორის მწვანე სარეკრეაციო ობიექტების და ქუჩების ზოგიერთ ალერგიულ მცენარეთა აღწერა.

კვიპაროზი - (Cupressus) — გვარი კვიპაროზისებრთა ოჯახიდან. მისი სიმაღლე 30-60 მ აღწევს. აქვს ყავისფერი ქერქი და ჯვარედინ-მოპირისპირედ განლაგებული ქერქლისებრი წიწვები. მეტნაკლებად მსხვილი, ბურთის ფორმის გირჩები დარგვიდან მეორე წელს მწიფდება, საქართველოში შემოტანილი 9 სახეობიდან ფართოდაა გავრცელებული **მარადმწვანე კვიპაროზი (Cupressus sempervirens).** კვიპაროზი მეზოფიტია. გამოიყენება ლანდშაფტის გამწვანებაში და დარგულია ფერდობებზე, ქალაქის რეკრეაციულ ზონებში, დასახლებულ უბნებში, ქარსაცავ ზოლებში და ა.შ. კვიპაროზი ანემოფილურ მცენარეთა ჯგუფს მიეკუთვნება, მტვრის მარცვლები შეიცავენ დიდი რაოდენობით ალერგენულ ცილებს. მზიან და ქარიან ამინდში განსაკუთრებით უნდა მოერიდონ გარეთ ყოფნას ის ადამიანები, რომელთაც კვიპაროსის მტვერზე აქვთ ალერგია, რადგან ასეთ ამინდში ყველაზე მეტად იზრდება ჰაერში მტვრის მარცვლების კონცენტრაცია. კვიპაროზი გორის მუნიციპალიტეტში არ არის წარმოდგენილი ხეივნების სახით, იგი გაბნეული სახით გვხვდება, როგორც ქუჩებსა და სკვერებში, ასევე მოსახლეობის ეზოებში.

Populus italic- ალვის ხე. ალვის ხე (Populus italica, Populus pyramidalis) — ფოთოლმცვივანი, ორსახლიანი ხე ტირიფისებრთა ოჯახისა. იზრდება 40 მ-მდე, აქვს ვიწრო პირამიდული ქერქი. ყვავის მარტ-აპრილში (ან მაისის დასაწყისში), ნაყოფი კი მაისში მწიფდება. მდედრობითი ხეები იშვიათია და ამიტომ კალმით ამრავლებენ. საკმაოდ ყინვაგამძლეა და სწრაფმზარდია.

ალვის ხის მთავარი ალერგენი არის ,,ფუმფულა", მაგრამ ის გაცილებით გვიან ჩნდება, ვიდრე ხე ყვავილობს. შესაბამისად, ალერგიული რეაქციები, რომლებიც წარმოიქმნება ალვის ხის მტვერთან კონტაქტის დროს, გაცილებით ადრე ხდება. სტატისტიკის მიხედვით (Медицинский центр «Аллергоцентр», 2017) მოსახლეობის დაახლოებით 30% აწუხებს ვერხვისგან გამოწვეული ალერგია. ალვის ხის ,,ფუმფულა" თავისთავად არ არის ალერგენი. ის მხოლოდ შთანთქავს მტვრის ალერგენებს (მდელოს და ბალახის მტვერს) მის ზედაპირზე და ხელს უწყობს მათ გავრცელებას. ალერგოლოგიები ამტკიცებენ, რომ ფუმფულას მხოლოდ მდედრები აწარმოებენ და მასში ალერგენები არ არის ნაპოვნი. მაგრამ ამის მიუხედავად ალერგია ალვის ფუმფულაზე საკმაოდ გავრცელებული მოვლენაა, ერთსა და იმავე პერიოდში ყვავის ვერხვი, არყი, მუხა (იოსებიძე, ედიშერაშვილი, გოგინაშვილი, გვიმრაძე, ქოქაშვილი, გელაშვილი & დურული, 2023). იგი ძირითადად გორის შემოგარენში გვხვდება ხეივნების სახით,

ოჯახი არყისებრნი-Betulaceae Agardh - წარმოადგენენ ხეებს, ბუჩქებს ან მცირე ქონდარა ბუჩქებს. არყისებრნი ტყის შემქმნელი ხეებია და აქვთ დიდი სატყეო სამეურნეო მნიშვნელობა. ამ ოჯახში ერთანდებიან შემდეგი გვარები: Alnus Gaertn -მურყანი. BETULA.- არყი. ფოთლები მორიგეობითია, აყვავება წინ უსწრებს ფოთლის გაშლას. ყვავილები სქესგაყოფილები და ერთბინიანებია. ყვავილსაფარი მარტივია, აპკისებრი, შეხორცებული ან თავისუფალი. მტვრიანები ორი ან მრავალია, მისი ძაფები თავისუფალია, ხშირად სამტვერე პარკებთან ერთად გაორებულნი. თესლი ჩვეულებრივ თითოეულია და აღჭურვილია აპკისებრი საფარით.

არყის ხე (Betula) 20 მ სიმაღლემდე იზრდება. კვირტები შეიცავს ეთეროვან ზეთებს, რომელიც წარმოადგენს ყვითელ სითხეს სასიამოვნო ბალზამური სუნით. ნედლეულს გააჩნია ძლიერი ბაქტერიოციდური, ანტისეპტიკური, ნაღველმდენი და შარდმდენი მოქმედება. მიუხედავად ასეთი სასარგებლო თვისებებისა არყის ხე ერთ-ერთი ყველაზე აგრესიული და ძლიერი ალერგენია.როგორც ექიმ-ალერგოლოგი ე.ვ. ალექსეევი (ЭндоМедЛаб, ნ. დ.) აღნიშნავს , ერთ ხეს შეუძლია 100 მილიონამდე მტვრის გამომუშავება. არყის მტვრის დამახასიათებელი თვისებაა მისი სიმსუბუქე. წიწვოვანი მტვრისგან განსხვავებით მას აქვს ბლანტი და არაწებოვანი ზედაპირი, რაც უზრუნველყოფს მის გადატანას ქარის საშუალებით მნიშვნელოვან დისტანციებზე. არყის მტვრის მიმართ ალერგიულ ადამიანებს ხშირად აქვთ ალერგიული რეაქცია მონათესავე ხის სახეობებისა და გარკვეული საკვების მტვერზე. ეს გამოწვეულია ფენომენით, რომელსაც ეწოდება "ჯვარედინი ალერგია", რომელიც არის გარკვეული ინჰალაციისა და საკვების ალერგენების სტრუქტურაში მსგავსება. მსგავსების გამო, იმუნური სისტემა აწარმოებს პასუხს არა მხოლოდ მტვერზე, არამედ საკვების იდენტურ მოლეკულებზეც. არყის ხეები ხელოვნურადაა გავრცელებული გორის შემოგარენში, სკვერებსა და ქუჩებში (იოსებიძე, ედიშერაშვილი, გოგინაშვილი, გვიმრაძე, ქოქაშვილი, გელაშვილი & დურული, 2023).

Alnus barbata C.A.M- ბუსუსიანი მურყანი. ტანმაღალი ხეა, 30მ-მდე სიმაღლის, აქვს დიდი გაშლილი ვარჯი. ფოთლები ყუნწიანი (15-30მმ სიგრძის) მორიგეობით გაწყობილი. მდედრობითი მჭადა ყვავილედები მტევნებშია მოთავსებული 3-7, მათი სიგრძეა 15- 20მმ, სიგანე კი 8 მმ-მდე. მურყანი ყვავის მარტსა და მაისში ადგილმდებარეობის მიხედვით. ნაყოფი წვრილი, გრძელი, წაგრძელებული კაკალია, მწიფდება აგვისტო-ოქტომბერში.

მურყანი აქტიურად აგროვებს ყვავილის მტვერს 3 კვირის განმავლობაში. ალერგიულ რეაქციას კი ცილები t2 და Bet v4- იწვევს. ეს უკანასკნელი ასევე დომინანტურია არყის მტვრის სტრუქტურაში,

რადგან იმავე ოჯახს მიკუთვნებულ მცენარეებს ძალიან მსგავსი ცილის სტრუქტურა აქვთ. ამიტომ, ხშირად ალერგიით დაავადებულები, რომლებიც რეაგირებენ მურყანზე, ჯვარედინ ალერგიულნი არიან არყის მთელი ოჯახის წარმომადგენლების მიმართ. გავრცელებულია გორის შემოგარენში.

თეთრი აკაცია, ცრუაკაცია- Robinia pseudoacacia . ფოთოლმცვივანი, თაფლოვანი ხეა პარკოსანთა ოჯახისა. 25-30 მ სიმაღლის და 1,2 მ დიამეტრის გაშლილვარჯიანი, თხლად დატოტვილი და შეფოთლილი მცენარეა. ტოტები ღია ყავისფერია, ღერო მუქი მოშავო-ყავისფერი.მერქანი მუქი მოყვითალო, ფოთლები 100-250 მმ სიგრძის ყვავილები თეთრი შეფერილობისაა, სურნელოვანი. იგი უხვად ყვავის ფოთლების გაშლის შემდეგ მაის-ივნისში (იოსებიძე, ედიშერაშვილი, გოგინაშვილი, გვიმრაძე, ქოქაშვილი, გელაშვილი & დურული, 2023).

ყვავილობის დროს თეთრი აკაციის მამრობითი უჯრედი, რომელიც მტვერს გამოყოფს არსებითად მცენარეული ცილაა. მას აქვს ძალიან რთული სტრუქტურა, რომელიც შედგება მრავალი კომპონენტისგან და ადამიანის სასუნთქ ორგანოებში ჰაერიდან ხვდებიან. თუ ადამიანს აქვს ალერგიული მიდრეკილება, მტვერი მყისიერად იწვევს ალერგიულ რეაქციას. გვხვდება გორის შემოგარენში, პარკებსა და ქუჩებში.

Quercus iberica stev - ქართული მუხა. მუხის გვარი საკმაოდ მდიდარია სახეობებით, ამჟამად დედამიწის ზედაპირზე გავრცელებულია მისი 220-მდე სახეობა. ატენის და ძამას ხეობაში გვხვდება 3 სახეობა: Quercus iberica stev - ქართული მუხა, Quercus longipes stev- ჭალის გრძელ ყუნწა მუხა და Quercus macranthera F.et.M- აღმოსავლეთის მაღალ მთის მუხა.

ქართული მუხა 18-20 მ-მდე სიმაღლის ხეა, მოგრძო-კვერცხისებრი ან მომრგვალო წაწვეტილი კვირტებითა და მარტივი კვერცხისებერი ან მოგრძო უკვერცხისებრი 80-160 მმ სიგრძისა და 40-60 მმ სიგანის სქელი, ტყავისებრი, პრიალა ფოთლებით. მტვრიანები უფრო ხშირად 6-ია, ზოგჯერ 4-12-მდე. მდედრობითი ყვავილი თითოეულად ან მცირე ჯგუფებად ვითარდება. მუხა საშიში ალერგენია, თუ ადამიანს ალერგია აქვს მუხის ყვავილებზე ან მის მტვერზე. საკმაოდ ხშირად არის ჯვარედინი ალერგიული რეაქციების შემთხვევები არყის, წიფლის, მურყნის, თხილის მტვერზე და ზოგიერთ საკვებ ალერგენზე - ვაშლი, მსხალი, ატამი, ალუბალი, კივი, თხილი და ნიგოზი (იოსებიძე, ედიშერაშვილი, გოგინაშვილი, გვიმრაძე, ქოქაშვილი, გელაშვილი & დურული, 2023). გავრცელებულია გორის შემოგარენში.

გვარი Pinus L - ფიჭვი. მარადმწვანე წიწვოვანი ხეებია ორგვარი (გრძელი და დამოკლებული) ყლორტებით. გრძელი ყლორტები გაზაფხულზე ვითარდება და შემდეგ ხევდება, მასზე ჩვეულებრივ განვითარებულია რუხი ფერის აპკისებური ქერქლოვანი ფოთლები. წიწვოვანი ხეების ყვავილის მტვერი თვალით უხილავია. როგორც წესი, ალერგიას იწვევს მათგან ყველაზე პატარა, ანუ ხის მტვერი. ფიჭვის მიმართ ალერგია შეიძლება მოხდეს წელიწადის დროის მიუხედავად, რადგან ხე ათავისუფლებს აქტიურ ნივთიერებებს ჰაერში მთელი წლის განმავლობაში (იოსებიძე, ედიშერაშვილი, გოგინაშვილი, გვიმრაძე, ქოქაშვილი, გელაშვილი & დურული, 2023). წიწოვნები ფართოდაა წარმოდგენილი გორის მუნიციპალიტეტში,გვხვდება ყველგან-პარკებსა და ქჩებში მოსახლეობის ეზოებში.

Salix albaL. - თეთრი ტირიფი, წნორი. ორსახლიანი, მერქნიანი, 20-30 მეტრი სიმაღლის,დაკიდულტოტებიანი, გაშლილვარჯიანი ხეა, ტირიფისებრთა ოჯახიდან. მერქნის სისქე 3 მ-მდეა. სიცოცხლის ხანგრძლივობა 100 წელია. მისი ქერქი შეიცავს მთრიმლავ ნივთიერებებს, გლუკოზიდ სალიცინს. აქვს გრძელი, წვრილი, გადმოკიდებული, მოყვითალო ფერიდან მუქ მიხაკისფერამდე შეფერილობის ტოტები. ყვავის აპრილ-მაისში, ფოთლის გაშლასთან ერთად. ნაყოფი მწიფდება მაის-ივნისში.

ალერგია ტირიფზე წარმოიქმნება ალერგენული პროტეინის t12 მტვრის სტრუქტურაში არსებობის გამო, რომელიც, იდენტურია ალერგენის t14-ის - ალვის მტვერში არსებული მთავარი ცილა. სადაც ტირიფისა და ვერხვის ყვავილობის პერიოდები ერთმანეთს ემთხვევა, ერთი ცილა აძლიერებს მეორის ეფექტს და იწვევს ჯვარედინი რეაქციას(იოსებიძე თ. და სხვები, 2023) . გვხვება გორის შემოგარენში, ქუჩებსა სკვერებში.

Tilia caucasica Rupr -კავკასიური ცაცხვი.

25-30მ სიმაღლის ხეა, მომრგვალო პირამიდული ვარჯით. მსხვილი და ლამაზი კვერცხიებრი ფორმის კვირტებით. ფოთლები 80-120 მმ სიგრძისა და 70-100 მმ სიგანისაა. ყვავილები ორსქესიანია, ღია ყვითელი ფერის გვირგვინის ფურცლებით. თესლი შეიცავს ფლავონოიდებს, საპონინებს, მთრიმლავ ნივთიერებებს, ვიტამინ K, B, C-ცაცხვის ნახარში გამოიყენება ოფლდამდენად-გაციებისას, ბაქტერიოციდული მიზნით (იოსებიძე თ. და სხვები,2023) . დღის განმავლობაში ტემპერატურის მატებასთან ერთად ჰაერის ის ნაწილი, რომელშიც მცენარის მტვერია კონცენტრირებული, მაღლა იწევს, მაგრამ ღამით კვლავ მიწის ზედაპირისკენ ეშვება.მრავლად გვხდება გორის შემოგარენში, ქუჩებში.

Platanus orientalis L. - აღმოსავლეთის ჭადარი. ტანმაღალი (50 მ) ერთსახლიანი ხეებია. ფოთლები თანანაკვთიანია. აქვს ერთსქესიანი ყვავილები (ოთხწვერიანი), მამრობითი ყვავილები

მრავალმტვრიანიანია. ყვავილსაფარი ორმაგია. ქერქი ღია ფერისაა, მომწვანო-მონაცრისფრო და გლუვი. ნაყოფი ერთბუდიანი მოგრძო კაკლუჭია, ფუძესთან გრძელი ბეწვებით დაფარული. აქვს სადურგლო და სამკურნალო დანიშნულება. იგი შეიცავს ბევრ ალერგენულ ცილას. ჭადარი ჟანგბადის წარმომქმნელი ერთ-ერთი ძლიერი მცენარეა. კვიპაროსისგან განსხვავებით, მას ალერგიული- პოტენციალი 3 ქულა აქვს. თუმცა, რასაც ვხედავთ, ყველაფერი ალერგენი არ არის. ჭადრის მფრინავი ბუსუსები მხოლოდ მექანიკური გამაღიზიანებლებია. როდესაც ბუსუსები ჰაერში ვრცელდება, ჭადარს ალერგიული მტვრის გავრცელება უკვე 1 თვის დასრულებული აქვს. გვხვდება გორის შემოგარენში,ქუჩებში, გაშენებული ხელოვნურად.

ამრიგად, მწვანე სარეკრეაციო სისტემა გორის ცენტრში წარმოდგენილია შემდეგი 10 ოჯახის ალერგიული ხე მცენარეები: ალვის ხე, არყის ხე, თეთრი აკაცია, ჭადარი, ცაცხვი, ფიჭვი, თუთა, თხილი, კაკალი, ნეკერჩხალი, ტირიფი, ვერხვი. სახეობების რაოდენობით პირველ ადგილზეა ოჯახი SalicaceaeLindl- ტირიფისებრნი; მეორე ადგილზე ოჯახი Betulaceae არყისებრნი; მესამე კი - ოჯახი Corylaceae თხილისებრი. აღნიშნული ოჯახების სახეობები დიდ საფრთხეს უქმნიან ადამიანის ჯანმრთელობას, მათგან ყველაზე მეტ ალერგინს შეიცავს არყის ხე, ევკალიპტი, მურყანი, ვერხვი, ჭადარი, თხილი. ალერგენის ნეგატივის შესამცირებლად, რეკრიაციული ზონებისთვის პირველ რიგში, აუცილებელია არჩეული იქნეს ისეთი ხე მცენარეები, რომლებიც ალერგენებს ნაკლებად ან საერთოდ არ გამოყოფენ. აღნიშნული რეკრიაციული უბნების მცხოვრებთათვის ალერგიული მცენარეებისგან თავის დასაცავად აუცილებელია პრევენციული ღონისძიებების გატარება.

არყის ხე, მურყნი, ჭადარი, მომავალში უნდა დაირგოს მხოლოდ დიდი დასახლებული პუნქტებიდან მინიმუმ 30 კმ მანძილზე. მოქალაქეებმა კი, რომლებიც მგრძნობიარეები არიან ალერგენებზე, ყურადღება უნდა მიაქციონ მცენარეთა ყვავილობის კალენდარის პერიოდს, რათა თავი დაიზღვიონ ალერგენების უარყოფითი ზემოქმედებისგან, თავი შეიკავონ ბუნებაში გასვლისგან იმ დროს, როცა მაღალია ყვავილის მტვრის მარცვლების კონცენტრაცია. განსაკუთრებით მშრალ, მზიან და ქარიან ამინდში.

ბიბლიოგრაფია

ალერგია. (თ. გ.). ვებგვერდი: https://alergia.ge/sezonebi.html

იოსებიძე, თ., ედიშერაშვილი, გ., გოგინაშვილი, ნ., გვიმრაძე, ნ., ქოქაშვილი, ლ., გელაშვილი, ქ. & დურული, თ. (2023). სარკვევი - ატენის ხეობის ბიომრავალფეროვნება. გორის სახელმწიფო უნივერსიტეტი.

Esch, R. E., Hartsell, C.J., Crenshaw, R. & Jacobson, R. S. (2001). *Common allergenic pollens. Fungi.*

Thomas M. Daniel. (2000). *Pioneers of Medicine and Their Impact on Tuberculosis*. Part 184.

Адо, В. (1984). *Аллергия.* Москва: Знание.

Медицинский центр «Аллергоцентр». (04 Июль, 2017). *Могут ли красные пятна на лице быть симптомом аллергии?.* Получено из http://allergostop.zp.ua/articles01.html

Намазова-Баранова, Л. С. (2017). Особенности диагностики аллергии у детей. *Вестник Российской академии медицинских наук.* Т. 72. №. 1.

Кулушева, А. Б. & Малосиева, В. М. (2016). Пыльцевая аллергия и атмосферный воздух:взаимосвязь и перспективы. *Бюллетень медицинских Интернет-конференций.* Т. 6. №5.

Хаитов, Р. М. & Ильина, Н. И. (2009). *Аллергология и иммунология: Национальное руководство.* Москва: ГЕОТАР-Медиа.

ЭндоМедЛаб. (б. д.). *Аллергология: Пыльца Березы.* Получено из https://medcentr-endomedlab.ru/allergologija/pylca_berezy.html

Tinatin Iosebidze, Marine Kuridze, Mariam Ubiria

Gori State University

ALLERGIC TREE-PLANTS OF GORI MUNICIPALITY

RESUME

The article discusses the species composition of certain allergic trees and plants in the surroundings of the city of Gori, which cause "hay fever, i.e. pollinosis" in humans. The article describes the plants of the parks and streets located

in the central part of the city of Gori, which form the foundation of the green recreation system. A taxonomic analysis of the species composition of trees and plants was conducted, leading to the identification and study of allergic plants belonging to ten different plant families. The family SalicaceaeLindl ranks first in the number of species, followed by the Betulaceae family in second place, and the Corylaceae family in third place.

The pollen from those allergic woody plants poses a significant threat to human health, with Cupressus sempervirens containing the highest concentration of allergens. Cypress, Betula Birch tree, Alnus barbata C.A.M Alder, Platanus orientalis L. Chestnut, Corylusnut are prevalent in the city center, squares, streets, serving as sources of allergic diseases for the population. To mitigate the negative impact of allergens, particularly in recreational areas, it is crucial to choose trees and plants that emit fewer or no allergens.

Key words: Plants, Pollinosis, Allergen, Dust, Health.

თამილა კეკოშვილი
გორის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ოპიატებისა და ოპიოდების გავლენები თავის ტვინის სისხლის ნაკადსა და მეტაბოლიზმზე

საკვანძო სიტყვები: თავის ტვინი, სისხლის ნაკადი, მეტაბოლიზმი.

ბოლო ათეული წლების განმავლობაში განსაკუთრებული ინტენსივობით შეისწავლება ეგზოგენური ზემოქმედებისას ნარკოტიკული ანალგეტიკების გავლენები თავის ტვინის სისხლის ნაკადისა და მეტაბოლიზმის ინტენსივობაზე. კერძოდ, ოპიატების (მორფინი) და ოპიოიდების აგონისტების (სუფენტანილი, ფენტალინი, ალფენტალინი) გავლენები თავის ტვინის სისხლის ნაკადზე შესწავლილია როგორც ცხოველებზე ექსპერიმენტებში, ისე პაციენტებზე დაკვრივებისას. თავის ტვინის ადგილობრივ სისხლის ნაკადზე მათი ეფექტების შესახებ არ არსებობს ერთგვაროვანი აზრი.ზოგიერთ ავტორთა მონაცემების მიხედვით, მაგალითად მორფინი იწვევს თავის ტვინის ადგილობრივი სისხლის ნაკადის შემცირებას,ხოლო ზოგიერთ ავტორთა მიხედვით ფენტანილი და სუფენტალინი იწვევს თავის ტვინის ადგილობრივი სისხლის ნაკადის გაზრდას. ავტორთა ერთი ჯგუფი კი პაციენტებზე დაკვირვების საფუძველზე აკეთებს დაკვნას, რომ ოპიატები და ოპიოდური აგონისტები (მორფინი, სუფენტანილი) თითქოს გავლენას არ უნდა ახდენდნენ თავის ტვინის ადგილობრივ სისხლის ნაკადზე.

შესაწავლილია, რომ მორფინი როგორც მწვავე, ისე ქრონიკული ზემოქმედებისას ზრდის გულის მიერ გადმოსროლილი სისხლის მოცულობას, რომელიც მიეწოდება თავის ტვინს ანუ მორფინი ზრდის თავის ტვინის მომარაგებას სისხლით, მაგრამ სხვადასხვა უბანი არაერთგვაროვნად რეაგირებს წამლის ზემოქმედებაზე. მაგალითად, მორფინის ქრონიკული ზემოქმედებისას გულის მიერ გადმოსროლილი სისხლის დიდი პროცენტი მიეწოდება ხიდისა და ნათხემის უბნებს, ხოლო მწვავე ზემოქმედებისას - ქერქსა და შუა ტვინს.ეს მონაცემები საპირისპიროა ამ ავტორთა მიერ ადრე მიღებული მონაცემებისა, რომელთა თანახმად მორფინი თითქოს გავლენას არ უნდა ახდენდეს თავის ტვინის სისხლის ნაკადზე.

ძაღლებში ექსპერიმენტებში შეისწავლებოდა ორი ხანმოკლე ზემოქმედების ოპიოდის - რემიფენტანილისა და ალფენტალინის პოტენციურად ურთიერთექვივალენტური დოზების ინფუზიის გავლენა თავის ტვინის სისხლის ნაკადზე. აღნიშნული ოპიოიდები ჰიპოკამპსა და კუდიან ბირთვში იწვევდა ლოკლაური სისხლის ნაკადის შემცირებას 40%-50%-ით, ხოლო თავის ტვინის ბაზალურ უბნებში იგი საერთოდ არ იცვლებოდა სხვა ექსპერიმენებტებში. ახალგაზრდა (6 თვის) და მოზრდილ ვირთაგვებზე (28 თვის) ხელოვნური ვენტილაციის პირობებში ფენტანილის მაღალი დოზები იწვევდა თავის ტვინის სისხლის ნაკადის შემცირებას ახალგაზრდა ვირთაგვებში 49%-ით.

მორფინის გავლენით გამოწვეული თავის თავის სისხლის ნაკადის შემცირება ნაჩვენებია, აგრეთვე სხვა ავტორთა ექსპერიმენებტში ძაღლებზე , სადაც გამოყენებული იყო მორფინის მცირე დოზები,კერძოდ 0,04 მგ/კგ. მორფინის ინტრაკაროტიდული ინექციისას ნეორიჰიპოფიზური სისხლის ნაკადი იზრდებოდა 58%-ით კონტროლთან შედარებით.

ძაღლებში ექსპერიმენტებში ვერნერი,ჰოფმანი და კოლეგები შეისწავლიდნენ სუფენტანილის 20 მკგ/კგ ეფექტებს თავის ქალას შიდა ჰემოდინამიკურ პარამეტრებზე. ექსპერიმენტული ცხოველების ერთ ჯგუფში წარმოებდა ზოგადი არტერიული წნევის დონის სტაბილიზაცია, რომელიც მიიღწეოდა ფენილეფრინის ინფუზიის გზით, ხოლო მეორე ჯგუფში წნევა არ კონტროლიდებოდა. სუფენტანილი ამ ჯგუფში იწვევდა ზოგადი არტერიული წნევის დაწევას 32%-ით.ასეთ ფონზე სუფენტანილი იწვევდა თავის ტვინის როგორც ლოკალური,ისე გლობალური სისხლის ნაკადის შემცირებას თითქმის ერთნაირი ხარისხით,კერძოდ 25%-40% ით.

მორფინისადმი მგრძნობიარე ნეიროანატომიური სუბსტრატის გარკვევის მიზნით კრაუსი და კოლეგები ვირთაგვებში შეისწავლიდნენ გლუკოზის მეტაბოლიზმს თავის ტვინის სახვადასხვა ლოკლურ უბანში. 1მგ/კგ მორფინი იწვევდა ბაზალური მეტაბოლიზმის აქტივობის გაზრდას, ხოლო უბანი,სადაც მორფინის ფარმაკოლოგიური ეფექტი იყო ხანგრძლივი და ძლიერი აღმოჩნდა მიმდებარე ბირთვი, პრეფრონტალური ქერქის პრელიმბური უბანი და დორსოლატერალური უბანი.

ასევე არ არსებობს ცალსახა აზრი ოპიატების გავლენის შესახებ თავის ტვინის მეტაბოლიზმზე. აქედან გამომდინარე,თავის ტვინის ადგილობრივი სისხლის ნაკადის და მეტაბოლიზმის ცვლილების შესწავლა ოპიატებისა და ოპიოიდების ზემოქმედების პირობებში საკმაოდ აქტუალურია, ამიტომაც შერჩეულ იქნა კვლევის მიზნად.

კვლევა ტარდებოდა ზრდასრულ ფხიზელ ვირთაგვებზე წონით 250-270 გ,როგორც მწვავე ექსპერიმენტის პირობებში მსუბუქრი ნარკოზიდან გამოსვლის შემდეგ, ისე ქრონიკული ცდისას სტერეოტაქსურად ჩანერგილი ელექტროდებით. შეისწავლებოდა სინთეტური ოპიოდის - ფენტანილისა და ბუნებრივი ოპიატის - მორფინის გავლენა თავის ტვინის ზემოაღნიშნული სტრუქტურების ადგილობრივ სისხლის ნაკადსა და მეტაბოლიზმზე,რომლის ინდიკატორად გამოიყენებოდა ჟანგბადის პარციალური წნევის რეგისტრაცია.თავის ტვინის სისხლის ნაკადია რეგისტრაციის ხერხთა შორის განსაკუთრებული ადგილი უკავია წყალბადის კლირენსის მეთოდს, რაც იქნა გამოყენებული ადგილობრივი სისხლის ნაკადის რეგისტრაციისათვის. ცდების შედეგად გამოვლინდა,რომ ფენტალინის (0,005მგ/კგ) ინტრაპერიტონული ინექციისას თავის ტვინის ფრონტოპარიეტალურ ქერქში შემთხვევათა 100%-ში ადგილობრივი სისხლის ნაკადი სტატისტიკურად სარწმუნოდ მცირდება. დორსალურ ჰიპოკამპში შემთხვევათა 50%-ში აღირიცხება შემცირება, 33%-ში მატება, ხოლო 7%-ში ადგილობრივი სისხლის ნაკადის ბიფაზური ცვლილება. ნუშისებრ კომპლექსში შემთხვევათა 50% ადგილი ჰქონდა შემცირებას, 17%-ში - მატება და 33%-ში უცვლელად დარჩა. მიმდებარე ბირთვში შემთხვევათა 100%-ში ნაკადი მნიშვნელოვნად გაიზარდა.

ცნობილია, რომ ეგზოგენური მოქმედებისას ოპიოდები გავლენას ახდენენ თავის ტვინის ქსოვილის მეტაბოლურ აქტივობაზე. ეეგ-ში ვლინდება როგორც დეპრესიის, ისე კრუნჩხვითი აქტიობის ამსახველი სურათი. აქედან გამომდინარე მიგვაჩნია, რომ ადგილობრივი სისხლის ნაკადის ზემოაღნიშნული ცვლილებები უნდა რეალიზდებოდეს მექანიზმით ,,ფუნქცია-მეტაბოლიზმი-სისხლის ნაკადის" კავშირის გზით. ამდენად, ადგილობრივი სისხლის ნაკადის შემცირება უნდა აიხსნას ამ სტრუქტურათა ფუნქციურ-მეტაბოლური აქტიობის დათრგუნვით, ხოლო გაზრდა-კრუნჩხვითი აქტივობის განვითარებით და შესაბამისად, ჰიპერმეტაბოლიზმით.

ბიბლიოგრაფია

კეკოშვილი, თ., & ნიკოლაიშვილი, ლ. (2000). *ადგილობრივი სისხლის ნაკადის ფენტანილით გამოწვეული ცვლილებები ვირთაგვების თავის ტვინის ქერქსა და ლიმბურ სტრუქტურებში.* საქართველოს ფიზიოლოგთა მეორე ყრილობა. თბილისი.

Baughman, V., & Hoffman, W. (1987). Cerebral vascular and metabolic effects of fentanyl and midazolam in young and aged rats. *Anestesiology*.

Carlsson, C., & Smith, D. (1982) The Effects of High-Dose Fentanyl on Cerebral Circulation and Metabolism in Rats. *Anestesiology*.

Koskinen, L., & Bill, A. (1983). Regional cerebral, ocular and peripheral vascular effects of naloxone and morphine in unanesthetized rabbits. *Acta Physiol Scand*.

Law, W. R., & Ritzman, R. F. (1985). The effects of acute and chronic morphine on regional distribution of cardiac output in brain. *Experientia*.

Matsimiya, N., & Dohi, S. (1983). Effects of intravenous or subarachnoid morphine on cerebral and spinal cord hemodynamics and antagonism with naloxone in dogs. *Anesthesiology*.

Werner, C., & Kochs, E. (1995). Effects of sufentanil on cerebral hemodynamics and intracranial pressure in patients with brain injury. *Anesthesiology*.

Tamila Kekoshvili
Gori State University

EFFECTS OF OPIATES AND OPIOIDS ON CEREBRAL BLOOD FLOW AND METABOLISM

RESUME

In the 21st century, one of the pressing issues is the non-prescribed use of opiates and opioids. Therefore, it is quite relevant to study the influence of these substances on the local blood flow of the brain and metabolism. Mature rats weighing 250-270 g were selected for the study. The tests were conducted under both severe and chronic experimental conditions. What we found was that during the intraperitoneal injection of fentanyl (0.005 mg/kg) in the frontoparietal cortex of the brain, in 100% of cases, the local blood flow is statistically reliably reduced, which can be explained by the inhibition of the functional-metabolic activity of the limbic structures.

Key words: Brain, Blood flow, Metabolism.

ნელი პაპუკაშვილი
საქართველოს ფიზიკური აღზრდისა და სპორტის
სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი

სასკოლო ტანვარჯიშში გამართული ტანადობის საკითხისათვის

საკვანძო სიტყვები: ტანადობა, გამართული დგომა, ხერხემალი, მხრები, მენჯ-ბარძაყი, გამმართველი ვარჯიშები, გამჭიმავი ვარჯიშები, მოსადუნებელი ვარჯიშები

შესავალი. ცნობილია, რომ ტანადობის (ტანდეგობის) მუშაობისუნარიანობა დაკავშირებულია ფზიკურ განვითარებასთან. სასკოლო ტანვარჯიშის წინაშე მდგარ ამოცანებიდან ყველაზე მნიშვნელოვანია გამართული (სწორი) ტანდეგობის სკითხი. ჩვენი მიზანია ვაჩვენოთის, თუ როგორ განვავითაროთ სწორი ტანადობა. პირველი რაც უნდა განვიხილოთ ადამიანის აღნაგობა. მასწავლებელმა კარგად უნდა იცოდეს ადამიანის აღნაგობადა მისგან გამოდინარე კანონზომიერებები

ცნობილია, სხეულის(ტანის) გარეგანი ფორმა ეფუძნება ძვლების, სახსრებისა და კუნთების ურთიერთმდებარეობას. ტანის ფორმების ჩამოყალიბებისათვის უნდა ვიცოდეთ, თუ როგორ შვძლოთ ძვალთა სისტემაზე ზემოქმედება. ნებისმიერი მოძრაობისას მცირე თუ დიდი ამპლიტუდით სახსრებში ძვრები მიმდინარეობს. სასურველია , რომ მოსწავლეს ვასწავლოთ ამ ძვრების შეგრძნება; თავიდან დიდი ცვლილებებზე, რომელიც მიიღება ფართო (დიდიამპლიტუდის) და ქნევითი მოძრაობების შესრულებისას, მოგვიანებით ვასწავლოთ მცირე ძვრების შეგრძნება, რომლებზეც ტანდეგობის ცვლილებები არის დამოკიდებული. ჩვენი ამოცანაა მოსწავლეს ვასწავლოთ საკუთარი მოძრაობების შეგრძნება, რაც შემდგომში სწორი ტანდეგობის პრობლემის გადაჭრაში დაგვეხმარება.

ლიტერატურის მიმოხილვა. საკითხის ამოცანიდან გამომდინარე საჭიროდ ვცანითგაგვეცნო, როგორც ანატომია-ანთროპოლოგიის წყაროები და სამკურნალო ვარჯიშების გზამკვლევები. პირველ რიგში გავეცანით ს. კახიანის „ადამინის ანატომია“, სადაც მოცემულია მთელი ძვალ-სახსროვანი აპარატი

და კუნთური სისტემა(მუსკულატურა) ანუ სხეულის მომცველი ძვლები და კუნთები. ადამიანის სხეულის მორფოლოგიური საკითხების გაგებისათვის გავეცანით წყაროს ადამიანის მორფოლოგიაზე - Морфологиа человека. Под обш. ред. В.А.Никитюка и В.П.Чтецова. ამ წყაროში გავეცანით ისეთი საკითხები, როგორიცაა სხეულის პროპორცია, ტანის სიგრძე და სხეულის წონა და მათი ცვლილებები ასაკთან ერთად; გულ-მკერდის გარშემოწერილობა და მისი ცვლილებები ასაკთან ერთად; გავეცანით სხეულის პროპორციის სახეებს.

ნათლად ჩამოგვიყალიბდა სურათი ზედა და ქვედა კიდურების ძვლების შეერთებებზე, კუნთების, ზედა და ქვედა კიდურების კუნთებისა და ფასციების, გულმკერდის და მხრის სარტყელის კუნთებისა და ფასციების შესახებ ისეთ ლიტერატურული წაყაროდან როგორიც არის Е.А Воробева, А.Б. Губарь, Е.Б. Сафьян-никова - „Анатомия и физиологиа."

გავეცანით ადამიანის სომატოსკოპიურ კვლევებსა და ანთროპოლოგიური კვლევების შედეგებს წყაროში „Спортивная медицна", Под обш. Ред. В.Л.Карпмана. სადაც მოცემულია ხერხემლის ფიზიოლოგიური სიმრუდეების სიდიდის გაზომვის მეთოდებიდან გამომდინარე სკოლიოზის დადგენა კილოსკოლიო საზომით.

ლიტერატურულ წყაროში „Лечебная физическая культура", Под обш. ред. С. Н. Попова და ზ. თელიას წიგნში „სამკურნალი ფიზიკური კიულტურა" მოცემულია სამკურნალო ფიზკულტურის გამოყენების ძირითადი საფუძვლები და სამკურნალო ვარჯიშების გამოყენების მეთოდიკა. წყაროში განხილულია ტანადობის სხვადასხვა დარღვევები და მათი შესაბამისი სამკურნალო ვარჯიშების კომპლექსები. ზოგადად კი მიიჩნევს მიიჩნევენ ისეთ ვარჯიშებს , როგორიცაა: მაკორეგირებელი ვარჯიშები; ვარჯიშები წყალში; მასაჟი; მდგომარეობის კორექცია; სპორტის ელემენტები.

რ. სვანიშვილის წიგნში „ საექიმო კონტროლი და სამკურნალო ფიზიკური კულტურა" მოცემულია სამკურნალო ფიზკულტურის ფორმები: სამკურნალო ტანვარჯიში, დილის ჰიგიენური ტანვარჯიში, ტერენკური, ისეთი ფიზკულტურული ღონისძიებები, როგორიცაა - ტურიზმი, ცურვა, ნიჩბოსნობა, ველოსიპედით და თხილამურებით სეირნობა, მოძრავი თამაშები და სხვ.

ლიტერატურული წყაროების მიმოხილვის შედეგად ჩვენთვის ნათელი გახდა რომ სკოლაში ტანვარჯიშის მეცადინეობაზე ტანადობის საკითხებზე არ გაგვაჩნია მეცნიერული კვლევები და რჩევები მასწავლებლებისთვის, რომლებიც წარმართავენ ამ მეცადინეობებს. მეცნიერული ხედვები და მეთოდები ზემოთხსენებული ავტორებისა შესანიშნავია, თუმცა არ არის არსად აღნიშნული სკოლასთან მიმართებაში მეცადინეობებეზე, თუ როგორ გადავლახოთ ტანადობის საკითხი.

მეთოდოლოგია. კვლევის მასალების მზადება კვლევის მეთოდოლოგიის გამოყენებით. კერძოდ, კეთდება შედარებითი, აღწერილობითი და შეფასებითი კვლევები. შედარებითი კვლევის მეთოდების საშუალებით მოვახდინეთ საკვლევი მოსწავლეების მონაცემების შედარება. რიგ შემთხვევაში ჩავატარეთ მეცადინეობაზე ჩვენს მიერ ჩტარებული ვარჯიშების შესრულებისას პროცესის დაკვირვება, რაც ინფორმაციის მოპოვების ერთ-ერთი კარგისაშუალებაა იმისათვის, რომ გამოგვეკვლია სხვადასხვა სიტუაციები და განსაკუთრებული შემთხვევები. ამ დროს აღწერილობით კვლევას მივანიჭეთ უპირატესობა. შედარებითი კვლევის მეთოდი ძრითადად გამოვიყენეთ სტატისტიკური მონაცემების შესწავლისას.

შედეგები და მათი განსჯა. ტანის აღნაგობის საკითხის განხილვისას რომელი ღონისძიებებია ჩასატარებელი. გამართული ტანდეგობისთვის მნიშვნელოვანია:

ა) გავის და მენჯის დაფიქსირება, რომელსაც ემყარება სხეული(ტანი);

ბ) ხერხემლის მოქნილობა და ძალა, რასაც ტანი ვერტიკალურ მდგომარეობაში უჭირავს და,რაც აღნაგობის ძირითად ღერძს წარმოადგენს.

გ) სწორი სუნთქვა, რაც სუნთქვის ბუნებრივ პროცესთან შესაბამისობაში უნდა იყოს.

თუ ეს სამი მომენტი გაგავაჩნია მაშინ სხეული -ტანი წესრიგშია და არ გააჩნია გადახრები.

განვიხილოთ ტანადობის ბუნებრივი ფორმა. განვიხილოთ გავა და **მენჯი,** რომელიც ხერხემლის საყრდენია და ეყრდნობა(ებჯინება) ქვედა კიდურებს-ბარძაყის ძვლებს. ის ორ საყრდენ წერტილზე არის დაბჯენილი-დამყარებული. გავა-მენჯი უნდა წარმოვიდგინოთ როგორც თასი, რაც მდებარეობს დახრილ მდგომარეობაში ისე, რომ მისი წინა კიდე მდებარეობს უფრო ღრმად და უფრო ქვევით ვიდრე უკანა კიდე. დახრილობის გასაგებად კუთხის მითითება არის საკმარისი, რაც მენჯში ჰოროზონტალურთან მიმართებაში შესასვლელის სიბრტყეს ქმნის.

გავა ორივე მენჯ-ბარძაყის სახსარში მოძრავუნარიანი არის, იგი მენჯ-ბარძაყის კუნთებისა და სახსრების იოგებით მოძრავად მაგრდება და შეუძლია ბრუნვა, როგორც საუკეთესო ბერკეტი. გავის წინ დახრა უსაზღვროა, ხოლო უკან დახრა, მენჯ-ბარძაყის მყესების წინააღმდეგობის გამო, შედარებით

შეზღუდულია. გავა-მენჯი ყველა მხრიდან ძლიერი კუნთებით არის გამაგრებული, რომლებიც გავიდან ფეხებამდე ერთმანეთს კვეთენ და მენჯ-ბარძაყის სახსარში მრავალნაირი მოძრაობის შესაძლებლობას ქმნიან. მენჯის დახრილობის კუთხე 45^0 არის. იგი ცვალებადობს ფეხის დადგმის მიხედვით: მათი გრძლივი ღერძების წინ დახრის დროს და ტერფების შიგნით შებრუნებისას მცირდება, ხოლო უკან დახრისას დატერფების გარეთ გატანის დროს - იზრდება. სწორი ტანდეგობის გამოსამუშავებლად მენჯის კუთხის დახრის სიდიდე მოქმედებს ხერხემლის სვეტის მდგომარეობასა და ფორმაზე.

ხერხემალი შედგება კისრის, გულმკერდის, წელისა და გავა-კუდუსუნის მალებისაგან. მალები ერთმანეთთან დაკავშირებული არიან მყესებით, იოგებით, ხრტილებით. მალებს შორის ძვრადობა დიდი არ არის, თუმცა მთლიანობაში ხერხემლის სვეტი მნიშვნელოვნად მოძრავუნარიანია.

ხერხემლის სვეტი, რასაც სხეული ვერტიკალურად უჭირავს, გავიდან კისრამდე სწორხაზობრივად მიემართება და ქმნის სამ გაზნექილობებს (ფიზიოლოგიურ სიმრუდეებს). პროფილში თუ შევხედავთ დავინახავთ კისრის, მკერდის და წელის გაზნექილობებს. სწორი დგომისას ამ გაზნექილობებს გარკვეულ ხარისხამდე შეუძლიათ გაიზარდონ ან დაპატარავდნენ, თუმცა სრულიად გაქრობა არ შეუძლიათ. ისინი ერთმანეთთან მჭიდრო დამოკიდებულებაში არიან. ერთის გაზრდა იწვევს მეორე გაზნექილობის გაზრადს (როგორც წესი მოპირდაპირე გაზნექილობების), რითაც დაცულია წონასწორობა. წელის გაზნექილობის გაზრდის შემთხვევაში იზრდება გულ-მკერდის გაზნექილობა და მკერდი წინ გამოდის.

გამართული (სწორი) დგომისათვის ხელსაყრელი იქნებოდა სრულიად სწორხაზოვანი ხერხემალი. თუმცა ამ შემთხვევაში მოძრაობები მაქსიმუმამდე შეიზღუდებოდა. ხერხემლის ძვრადობა იზრდება მისი ბუნებრივი ფორმების მეშვეობით. რადგანაც ორჯერ მოდრეკილი ზამბარა უფრო მობილურია და ნაკლებად ექვემდებარება დატვირთვას, ვიდრე მხოლოდ ერთჯერ მოდრეკილი. მაშასადამე ხერხემლის გაზნექილობები უნდა არსებობდეს, მაგარამ ზედმეტი ხარისხით არ უნდა იყვნენ.

თავი. საკითხი დგება თავის სწორი დგომის შესახებ. თავი ხერხემალზე დგას და ერთმანეთზე ურთიერთზემოქმედებენ. თავის სწორად დაჭერა ხერხემლის სვეტისთვის მნიშვნელოვანია და პირიქით სვეტის გამართულობა თავის სწორად დაჭერას ხელს უწყობს. თავის დაჭერისათვის საჭიროა კეფის სახსარში გაშლისათვის განკუთვნილი კუნთების, აგრეთვე კისრის უკანა ზედაპირი კუნთებისა და იოგების დაძბვა.

სწორი ტანადობის მარეგულირებელი **კუნთები**, რომლებიც უზრუნველყოფენ გამართულ ტანდეგობას, ხერხემლის გასწვრივ მდებარეობენ. მათი ამოცანაა ხერხემლის სწორ მდგომარეობაში დაჭერა. კუნთების ნორმიდან, ყველანაირი გადახრა, რომლებიც გამართულ ტანადობას უზრუნველყოფენ, ტანადობის დარღვევას გამოიწვევს.

როგორც ვიცით გამართული ტანდეგობა დამოკიდებულია ხერხემალზე და მის გამამაგრებელ კუნთებზე და მაშასადამე ტანდეგობა დამოკიდებულია ზურგის კუნთებზე და უდავოდ სხეულს წინა ნაწილის - მკერდის და მუცლის კუნთებზე. ეს ნაწილი თავისუფალი უნდა იყოს, რათა ადამიანმა თავისუფლად ისუნთქოს.

გამართული ტანდეგობის ჩამოყალიბებისას უნდა ვიმუშაოთ ზურგის კუნთებზე. მეორე მხრივ, ეს მნიშვნელოვანია ბუნებრივი - სწორი სუნთქვისთვის. სუნთქვის დროს მუცლის და გულმკერდის კუნთები რითმულად იწევიან და ეშვებიან, ვიცით რომ ამ დროს მუცლის და ულმკერდის ფარები უძრავად არ უნდა იყვნენ, რასაც ხელს უწყობს ადამიანის ტორსის წყობა და ამასთანავე ძლიერი ზურგის კუნთები.

გავრცელებული მოსაზრება - სწორი ტანდეგობისთვის საჭიროა მუცლის შეწევა და გულმკერდის გამოწევა - არ არის მართებული. ასეთი მდგომარეობისას სუნთქვა გაძნელებულია; გულმკერდის წინ გამოწევამ შეიძლება მუცლის წინ გამოწევა გამოიწვიოს. ასეთ მდგომარეობაში მენჯთან მიმართებაში ვერტიკალურ ხაზს ასცდება, რის შდეგად გულმკერდის და გავა-მენჯის გამაერთიანებელი კუნთები არასახარბიელო მდგომარეობაში აღმოჩნდებიან. მეორეს მხრივ ხერხემლის მონაკვეთი გავას და გულმკერდს შორის აღმოჩნდება არასწორ, ირიბ და წინ გამოწეულ მდებარეობაში.(ლორდოზში)

ამრიგად შეიძლება დავასკვნათ, რომ არასწორი ტანდეგობის ერთ-ერთი მიზეზი გავა-მენჯისა და ხერხემლის არასწორ დგომაში უნდა ვეძებოთ.

მხრების მდებარეობა. სწორი ტანდეგობისთვის მხრების მდებარეობა ძალიან მნიშვნელოვანია. როდესაც ხერხემალი გამართულია და თავი უმნიშვნელოდ აწეულია, მაშინ მხრები სწორ მდებარეობას იღებენ. მხრების უკან გატანა კუნთების ჩართულობით ტანდეგობისთვის კარგი ვარჯიშია. თუმცა ხერხემლის გამართული ტანდეგობისვის არა არის საკმარისი. ეს მიიღწევა გულმკერდის სარტყელის სწორი დაჭერით, აქვე უნდა გავითვალისწინოთ ბეჭები, რომლებიც ასევე მხრის სატყელში შედიან.

ტანდეგობის ჩამოსაყალიბებლად უნდა ვიცოდეთ როგორია სწორად დაყენებული ტანი ვერტიკალურ მდგომარეობაში, რის შედეგადაც ჩვენ გვეცოდინება მოსწავლის ტანის ფორმები რამდენად

და რომელი მიმართულებით სცილდებიან ნორმას. საკუთრივ ტანდეგობის განვითარება შესაძლებელია მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც გვეცოდინება ბავშვის სხეული.

გამართული ტანადობისათვის ვარჯიშების ამოცანაა ჩონჩხის სწორად დაყენება და კუნთების მიზანშეწონილი განვითარება. მოსწავლეს უნდა ვასწავლოთ ამ კუნთების სხვაგვარად დაძაბვა. ამისთვის ტანდეგობის ყველა ვარჯიში, რაც ამ მიზნით გაგვაჩნია, ცხადია უნდა ემსახურებოდნენ კუნთების მოქმედებას (დაძაბვას). მაგრამ ეს ვარჯიშები არა მხოლოდ კუნთების გასაძლიერებლად გამოიყენება, არამედ ამ ვარჯიშებით კუნთების ურთიერთმოქმედებას უნდა მივაღწიოთ.

კუნთები, რომლებიც ტანდეგობას ავითარებენ, უწოდებენ მაკოორდინებელ (კორექციულ)ვარჯიშებს. ეს კუნთები მოსწავლეებს აგრძნობინებენ იმას, რომ სხეულში შეიძლება გარკვეული ძვრები ხდებოდეს. ამ ვარჯიშებით ნელ-ნელა მოსწავლე მცირე ძვრებს შეიგრძნობს და თანდათანობით კარგ ტანადობას მიაღწევს.

მიუხედავად იმისა, რომ გაცნობიერებული გვაქვს სწორი ტანადობა და მისი მნიშვნელობა, მაინც გამართული ტანის დაჭერა გვიჭირს. ამაში თვითონ სხეული გვიშლის ხელს და რატომ: სახსრები ძედმეტად უძრავია, კუნთები მუდმივად დაძაბულია ან დაჭიმულია და დამოკლებული. ამ პრობლემების დასაძლევად უნდა გამოვიყენოთ ვარჯიშები, რომლებსაც ჩვენ ვუწოდებთ გამმართველ ვარჯიშებს. მათ მიეკუთვნება: 1) გაწელვითი ვარჯიშები; 2) მოსადუნებელი ვარჯიშები; 3)მიზანშეწონილად ძალის განმავითარებელი ვარჯიშები;

გაწელვითი ვარჯიშების მიზანია სხეულის ყველა ნაწილის, სახსრების(რგოლების) სრული მოძრავუნარიანობის განვითარება. თუ რომელიმე სახსარში მოძრავუნარიანობა დარღვეულია, მაშინ თვითეულ მოქმედებაში შეზღუდვები წარმოიშობა. რომელიმე სახსარში ან რიგ სახსრებში მოძრავუნარიანობის აღსადგენად მსუბუქი. ქნევითი ვარჯიშებით უნდა დავიწყოთ. შემდგომში მათი ამპლიტუდის თანდათანობითი გაზრდით, იქამდე სანამ ზღვრულ ნორმას არ მიაღწევენ. გარდა ამისა შეიძლება მივცეთ წრიული ვარჯიშები ზუსტად იგივე რიგითობით.

მნიშვნელოვანია, ასევე ზამბარისებური ხასიათის გაწელვითი ვარჯიშები. მათი შესრულებისას მოძრაობები ზღვრულ ამპლიტუდამდე უნდა მივიყვანოთ. გაწელვითი ვარჯიშობის ნაირსახეობა არის გაწლვითი პასიური ვარჯიშები, სადაც მასწავლებელი ან მოსწავლე აიძულებს პაციენტს ზეწოლით იმ მოძრაობების შესრულებას, რომელიც წელავს მყესებს და კუნთებს სახსრების მოძრავუნარიანობისთვის.

გაწელვითი ვარჯიშების გამოყენებისას უნდა გვითვალისწინოთ მთავარი პრინციპი - უნდა დავიწყოთ მსუბუქი საშუალებებიდან. მათ უფრო ძლიერი საშუალებებით შევცვლით მაშინ, როდესაც მსუბუქები ზემოქმედებას აღარ მოახდენენ. განსაკუთრებული სიფრთხილით უნდა მოვეკიდოთ პასიურ ვარჯიშებს, რადგანაც ისინი ბავშვებზე დამთრგუნველად მოქმედებს. ამ ამიტომაც ისინი უნდა გამოვიყენოთ მაშინ, როდესაც სხვა საშუალებები აღარ მოქმედებს.

ამა თუ იმ სახსარს როდესაც სრულყოფილად ვერ ვფლობთ ეს კუნთების სიმოკლიდან არის გამოწვეული. ამ დროს გაწელვისვარჯიშებს უნდა მივმართოთ, რაც სამკურნალო ტანვარჯიში ანუ კინზოთერაპიას განეკუთვნება. ამ შემთხვევაში სახსარი დამოკლებული კუნთებით მოგვყვავს მოქმედებაში ზღრვულ მდგომარეობაში და გარკვეული დრო ასე ვტოვებთ. ხანდახან ზამბარისებრ მოძრაობებს ვუმატებთ, რის დახმარებითაც თანდათან სახსარი ზღვრულ მდგომარეობამდე დაგვყავს. ასეთი ვარჯიშები ხშირად უნდა გავიმეოროთ და ხანგრძლივად უნდა გრძელდებოდეს, რადგანაც ხანგრძლივი გაწელვები კუნთების სიგრძეში გაზრდაზე გამღიზიანებლად-მასტუმულირებლად მოქმედებს. გასაგებია, რომ შედეგის მისაღწევად დიდი დრო არის საჭირო. ექსტრემალური გაწელვები სასკლო ტანვარჯიშში არ დაგვჭირდება. მოვიყვანთ ამ ვარჯიშებიდან რამოდენიმეს:1. ზნექები სხვადასხვა მიმართულებით; 2.ჯდომში ზამბარსებური მოძრაობები; 3. ჯდომში წინ ზნექები და გაქნევები;4. დგომში მუხლის მკერდამდე მაქსიმალურად აწევა ; 5. ჯდომში დამხმარე ადამიანი ზურგიდან ზამბარისებურ ზეწოლებს აკეთებს;6. ჯდომში, დამარმარე მუხლით ბეჭებს შუა აწვება, რათა ტანი უკან გადაიხაროს, ხელები ჩაკდებული აქვს მოვარჯიშეზე ზამბარისებურად ხელებს ჭიმავს ზევით.

ვარჯიშები მოდუნებაზე. ეს ვარჯიშები მოდუნებაზე კუნთების ზედმეტი ან ხაგრძლივი დაძაბულობის მოხსნას ემსახურება. მათ განეკუთვნება ისეთი მოძრაობები როგორიცაა „დაბერტყვა“, მოსადუნებელი „ტრიალები“, შესაძლებელია „პასიური გაქნევები“, სხეულის ნაწილების „მოწყვეტილად დაშვება“, სხეულის ცალკეული ნაწილების „ბიძგები“.

ძალის განმავითარებელი ვარჯიშები. ბავშვებთან მეცადინეობისას ჭარბობს ვარჯიშები, რომლებიც ავითარებენ ძალას. ტანადობა საკუთრივ ძალაზე არ არის დამოკიდებული, ამ დროც მნიშვნელოვანია ძალთა თანაფარდობა და ურთიერთშეთანხმებულობა. ამიტომ განურჩევლად ყველა კუნთის განვითარება არ არის სწორი. ეს მიგვიყვანს ძალების არასწორ განაწილებამდე. მასწავლებელმა უნდა დაინახოს ბავშვის სუსტი ადგილები და იქ გამოიყენოს გამაძლიერებელი ვარჯიშები. კუნთების გაძლიერება თანდათან ხდება და შესაბამისად ტანადობის დარღვევები ნელ-ნელა აღმიფხვრება.

დასკვნა. მასწავლებელმა უნდა იცოდეს ტანის აღნაგობა როგორც სწორი ისე დარღვევებით. ტანდეგობის განვითარებაზე მოქმედება შესაძლებელია, როდესაც კარგად გვეცოდინება ბავშვის სხეული; კერძოდ ხერხემალი, მხრის სარტყელი, მენჯ-ბარძაყის სწორი დგომა, ტანის ვერტიკალური დაჭერა. პრობლემის დადგენის შემდეგ მიმართოს კორექციულ ვარჯიშებს, ეს არის გაწელვითი, მოსადუნებელი, გამაძლირებელი ვარჯიშები, სხვა ვარჯიშებისთვის გამოიყენოს ვარჯიშები სამკურნალო ტანვარჯიშის არსენალიდან.

ბიბლიოგრაფია

თელია, ზ. (1985). *სამკურნალო ფიზიკური კულტურა.* თბილისი.

თვალაძე, ა. (1965). *ადამიანის სხეულის მოძრაობათა ანატომიური ანალიზი.* თბილისი.

მიქიაშვილი, თ. (2005). *სპეციალური ოლიმპიადა და ადაპტიური ფიზიკური აღზრდა.* თბილისი.

სვანიშვილი, რ. (2003). *საექიმო კონტროლი და სამკურნალო ფიზიკური კულტურა.* თბილისი.

სვანიშვილი, რ. & კახაბრიშვილი, ზ. (2010). *სპორტული მედიცინა და კინეზოთერაპია.* თბილისი.

ჭაბაშვილი, ნ., კახაბრიშვილი, ზ., სოფრომაძე, ზ., კასრაძე პ., ელიავა, გ., სვანიშვილი, თ. & თათარაძე, ლ. (2007). *სპორტული მედიცინის საფუძვლები.* თბილისი.

Воробева, Е. А., Губарь, А. Б. & Сафьян-никова, Е. Б. (1992). *Анатомия и физиологиа.* Москва.

Лечебная физическая культура. (1991). Под обш. ред. С. Н. Попова. Москва.

Морфологиа человека. (1992). Под обш. ред. В.А.Никитюка и В.П.Чтецова. Москва.

Спортивная медицна. (1987). Под обш. Ред. В. Л. Карпмана. Москва.

Neli Papukashvili

Georgian State Teaching University of Physical Education and Sport

ISSUES OF STATELINESS IN SCHOOL GYMNASTICS

RESUME

In the curriculum of the national education a role of a physical training in childrens physical features are clearly expressed. As for the children, who have stateliness disorders, they need special approach. In this case, school gymnastics and of course, a teacher play great roles. He has to realize the importance of medicinal gymnastics. A teacher has to asknowledge a human build: spine, croup, rhizomelic, the right stand of all these body parts, hold and their interrelationship. We, within school teachers, knowledge and ability, easily describe body parts and their importance. A teacher's duty is to find out stateliness disorders and to use healing exercises. These are stretching, relaxing, strengthening exercises. A teacher has to find out how a child fels changes and how to realize them.

The exercises, the purposes of which are to straighten a body, are called straightenin exercises of the body parts. We have to perform step by step. that is to start first with the position of feet, then rhizomelic, then we pay attention to spine, brachiacirle, head stand and their interrelationship with other parts of the body.

We advise teachers to be careful with using these healing exercises and that this process requires certain time.

Key words: Posture, Proper standing, Spine, Shoulders, Pelvis, Straightening exercises, Stretching exercises, Relaxation exercises.

მარიამ უბირია
საქართველოს ფიზიკური აღზრდისა და სპორტის
სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი

დისკოგენური რადიკულოპათიის კომპლექსური ფარმაკოთერაპია

საკვანძო სიტყვები: ქსეფოკამი, ტკივილის სინდრომი, აქტოვეგინი, ანთების საწინააღმდეგო არასტეროიდული პრეპარატები, ფარმაკოთერაპია.

კლინიკურ პრაქტიკაში სხვადასხვა ასაკის პაციენტთა ჰოსპიტალიზაციის ყველაზე ხშირი მიზეზია ხერხემლის არეში განვითარებული ტკივილის სინდრომი. იმის და მიუხედავად, რომ ამ მიდამოში განვითარებული ტკივილის სინდრომის მკურნალობისას გამოიყენება კომპლექსური მიდგომა, რომელიც ითვალისწინებს ფიზიოთერაპიას, მასაჟს, სამკურნალო ფიზკულტურას, მანუალურ თერაპიას, რეფლექსოთერაპიას და სხვ., სამკურნალო პრეპარატებით ჩატარებული თერაპია რჩება ტკივილის სინდრომის მკურნალობის ძირითად მეთოდად. ნევროლოგიურ პრაქტიკაში ტრადიციულად გამოიყენებიან ანთების საწინააღმდეგო არასტეროიდული პრეპარატები (ასაპ), რადგან მათ გააჩნიათ გამაყუჩებელი და ანთების საწინააღმდეგო ეფექტი და ზემოქმედებას ახდენენ მრავალი პათოლოგიური პროცესის პათოგენეზზე. უნდა ითქვას, რომ სამედიცინო პრაქტიკაში ხშირია ტკივილის სინდრომის რეზისტენტულობის გამოხატულება სამკურნალო თერაპიის მიმართ, რაც დამოკიდებულია:

1). ეფექტურობის ვარიაბელობასთან და პრეპარატის გამაყუჩებელი მოქმედების ხანგრძლივობასთან;

2). ანთების საწინააღმდეგო არასტეროიდულიპრეპარატების მიღების შემცირებასთან, რადგან ამ ჯგუფის პრეპარატებს გააჩნიათ კუჭ-ნაწლავის ტრაქტზე გამაღიზიანებელი ეფექტი.

ხშირ შემთხვევაში ამ პრეპარატების გვერდითი მოქმედება განპირობებულია პლაზმიდან ნივთიერების ნახევრად დაშლის პერიოდის გახანგრძლივებით, რაც იწვევს პროსტაგლანდინების სინთეზის ბლოკირებას და აქედან გამომდინარე - სამკურნალო გასტროპათიას (Авксентюк, 1999).

ქსეფოკამი (ლორნოქსიკამი) მიეკუთვნება ანთების საწინააღმდეგო არასტეროიდული პრეპარატების ჯგუფის ოქსიკამების კლასს და გააჩნია ყველაზე ძლიერი გამაყუჩებელი ეფექტი, რომელიც 20 მგ. მორფინის ექვივალენტია (Авксентюк, 1999; Монография по продукту, 1998). ასეთი ძლიერი გამაყუჩებელი მოქმედების მექანიზმი აიხსნება არა მხოლოდ პროსტაგლანდინების სინთეზის დაბლოკვით,არამედ საკუთარი ენდომორფინების გამოყოფის სტიმულირებით (McCormack, 1994). სხვა ანთების საწინააღმდეგო არასტეროიდული პრეპარატებისგან განსხვავებით ქსეფოკამი არ თრგუნავს ლეიკოტრინების სინთეზს. მაშასადამე, ქსეფოკამის გამოყენება უზრუნველყოფს ანესთესიის ფიზიოლოგიურ გზას (Hitzenberger, Radhofer-Welte, Takács & Rosenow, 1990). ქსეფოკამის შემდეგი მახასიათებელია - უვნებელი ფარმაკოლოგია, ანუ (Монография по продукту, 1998):

- ორგანიზმის მიერ სწრაფი და სრულყოფილი შეწოვა და ამასთანავე ქსეფოკამის ბიოშეღწევადობა პერორალურად უდრის 100% -ს;
- გააჩნია პლაზმიდან გამოყოფის მოკლე პერიოდი (4 სთ), რაც უზრუნველყოფს პროსტაგლანდინების დონის აღდგენას და ამით ამცირებს კუჭის ლორწოვანზე გვერდით მოქმედებას;
- ქსეფოკამის ორგანიზმიდან ელიმინაციის ორი გზა არსებობს (1/3 შარდის მეშვეობით, 2/3 - ექსკრიმენტებით) და ამიტომ არ საჭიროებს დოზის კორექციას მომატებული რისკის ჯგუფის მქონე პაციენტებში (ხანდაზმულები, ღვიძლის და თირკმელების ფუნქციების დარღვევით).

დისკოგენური რადიკულოპათიების მკურნალობაში ასევე დიდ როლს ასრულებს **აქტოვეგინი**, რომელსაც გააჩნია ანტიჰიპოქსიური და ანტიოქსიდანტური თვისებები. იგი აუმჯობესებს მიკროცირკულაციას და გამოირჩევა ჟანგბადის და გლუკოზის სინთეზის და უტილიზაციის ძლიერ აქტიური სტიმულაციით. ყოველივე ეს აუმჯობესებს ჟანგბადოვან მეტაბოლიზმს.

აქტოვეგინის სტრუქტურული ანალიზის კვლევის შედეგად აღმოჩნდა, რომ მის შემადგენლობაში შედის ექვსი ძირითადი მიკროელემენტი (ნატრიუმი, კალციუმი, ფოსფორი, მაგნიუმი). აქტოვეგინში შემავალი მაგნიუმი ითვლება ნეიროპეპტიდური ფრაგმენტების და ფერმენტების კატალიზური ცენტრის კომპონენტად და თანამედროვე ნეირობიოქიმიის მონაცემებით მაგნიუმი შედის თავის ტვინის დღეისათვის ცნობილ ყველა ნეიროპეპტიდში და ასევე მას გააჩნია ნეიროსედატიური იონის სტატუსი.

ცხრილში მოცემულია აქტოვეგინში შემავალი სუბსტრატები და მათი სანოგენური მოქმედების მექანიზმები.

სუბსტრატის სახელწოდება	მოქმედების მექანიზმი	ზემოქმედების წესი
ალანინი, ლეიცინი	პლასტიკური და ენერგეტიკული ცვლის გააქტიურება	გლუკოზის რესინთეზი, კალციუმის ცვლის რეგულაცია
ქოლინი, გლუტამატი	ნეირომედიატორების ცვლის გააქტიურება	ნეიროტრანსმისიის გააქტიურება
ადენოზინი	პურინების და პირიმიდინული ფუძეების პლასტიკური თვისებების გააქტიურება	ნუკლეინური მჟავების სინთეზი, თავისუფალი რადიკალების დამჭერი
ჰიპოქსანტინ ტრანსფერაზა	ფერმენტატული აქტივობის გაძლიერება	ატფ-ის პროდუცირების ზრდა

აქტოვეგიბისთვის დამახასიათებელია როგორც ცენტრალური (ასტიმულირებს ცერებრალური მეტაბოლიზმის პროცესებს), ასევე გამოხატული პერიფერიული მოქმედება.

კვლევაში მონაწილეობა მიიღო ნევროლოგიური განყოფილების 62 პაციენტმა დისკოგენური რადიკულოპათიის, ხერხემლის რეფლექტორული ტკივილის სინდრომის და ტრავმული ტკივილის სინდრომის დიაგნოზებით.

ტკივილის მიზეზები	ავადმყოფთა რაოდენობა
დისკოგენური რადიკულოპათია	28
მწვავე რეფლექტორული ტკივილის სინდრომი	8
ქრონიკული რეფლექტორული ტკივილის სინდრომი	19
ხერხემლის ტრავმები	7
სულ	62

პაციენტები გადანაწილებული იყვნენ ორ ჯგუფად. 1 ჯგუფის პაციენტებს (n=30) დაენიშნათ ქსეფოკამი დოზით 16 მგ. (8 მგ. 2-ჯერ) დღე-ღამის განმავლობაში, 2 ჯგუფის პაციენტებს (n=32) ინდომეტაცინი ან ვოლტარენი დოზით 75 მგ. (25 მგ. 3-ჯერ დღეში). ორივე ჯგუფის 10-10 პაციენტი დისკოგენური რადიკულოპათიის დიაგნოზით დამატებით ღებულობდნენ 5 მლ. აქტოვეგინს კუნთში 14 დღის განმავლობაში.

შედეგები. ქსეფოკამის გამოყენებისას ტკივილის სინდრომის კუპირება განუხორციელდა 95% პაციენტს. სწრაფი გაუტკივარების მეშვეობით და ნაადრევი რეაბილიტაციით 1 ჯგუფის პაციენტებს შეუმცირდათ სტაციონარში მკურნალობის დრო 20%-ით. პაციენტების 10% -ს, რომლებიც ღებულობდნენ ქსეფოკამს, აღენიშნებოდათ გვერდითი ეფექტები ტკივილის სახით ეპიგასტრიუმის მიდამოში. ამავე დროს, ანთების საწინააღმდეგო არასტეროიდული პრეპარატების დანიშვნის შემთხვევაში ტკივილებს ეპიგასტრიუმის მიდამოში უჩივის ავადმყოფთა 25%.

პაციენტებში აქტოვეგინის გამოყენების შემთხვევაში აღინიშნებოდა ტკივილის სინდრომის უფრო სწრაფი რეგრესი, პერიფერიული ნევროლოგიური დარღვევების გამოხატულების მკვეთრი კლება, ამასთანავე აღინიშნება გუნებ-განწყობის და მოძრაობითი აქტივობის გაუმჯობესება.

დასკვნები:

1. ქსეფოკამს გააჩნია მაღალი ანალგეზიური ეფექტურობა სხვადასხვა გენეზის ტკივილის სინდრომის დროს, რაც საშუალებას იძლევა შემცირდეს სტაციონარული მკურნალობა და განხორციელდეს პაციენტების სწრაფი რეაბილიტაცია.

2. პრეპარატის კარგი ამტანობა და უვნებლობა საშუალებას იძლევა ქსეფოკამი ფართოდ გამოვიყენოთ ხანდაზმულ პაციენტებში.

3. აქტოვეგინის ჩართვა პაციენტების მკურნალობის კომპლექსურ თერაპიაში საშუალებას იძლევა უფრო სწრაფად განხორციელდეს ტკივილის სინდრომის კუპირება, გახანგრძლივდეს თერაპიის ეფექტი, გაუმჯობესდეს ნევროლოგიური დარღვევების რეგრესი და პაციენტის მდგომარეობა.

ბიბლიოგრაფია

Авксентюк, А. В. (1999). Лорноксикам – новай НПВП класса оксикамов сильным анальгетическим эффектом. Обзор литературы. *Боль и ее лечение*. №10. стр. 9.

Актовегин в неврологии. (2002). Сборник научно-практических статей. Москва.

Hitzenberger, G., Radhofer-Welte, S., Takács, F., & Rosenow, D. E. (1990). Pharmacokinetics of lornoxicam in man. *Postgraduate medical journal,* Suppl 4. S 22-26.

Монография по продукту. (1998). *Лорноксикам. Новый обезбаливающий и противовоспалительный препарат.* Никомед Фарма. JPBureau.

McCormack, K. (1994). Non-steroidal anti-inflammatory drugs and spinal nociceptive processing. *Pain,* 59. S 6-23

Mariami Ubiria

Georgian State Teaching University of Physical Education and Sport

COMPLEX PHARMACOTHERAPY OF DYSCOGENIC RADICULOPATHY

RESUME

At present, the most common cause of hospitalization of patients is pain syndrome in the spine. Modern complex pharmacotherapy for the treatment of this syndrome uses xefocam (lornoxicam), which belongs to the group of nonsteroidal anti-inflammatory drugs.

Actovegin also plays a major role in the treatment of discogenic radiculipathies, which has antihypoxic and antioxidant properties.

Key words: Xefocam, Pain syndrome, Actovegin, Anti-inflammatory non-steroidal drugs, Pharmacotherapy.

მაია აზმაიფარაშვილი
გორის სახელმწიფო უნივერსიტეტი

კურორტების მდგრადი განვითარების ტენდენციები და მიდგომები რეგიონის ეკონომიკის განვითარებისთვის, შიდა ქართლის მაგალითზე

საკვანძო სიტყვები: კურორტები, რეკრეაცია, კლიმატო-ბალნეოლოგიური, პერსპექტივა.

შესავალი.

ჯანმრთელობასთან დაკავშირებული ტურიზმის მხარდაჭერას ქვეყნისთვის მნიშვნელოვანი ეკონომიკური სარგებლის მოტანა შეუძლია. დღეს ღირებული და საჭირო გახდა დაისვენო იქ, სადაც ხელსაყრელი ჰავა და სამკურნალო რესურსებით გამორჩეული ადგილებია. ყველაზე მეტად გავრცელებული და მასობრივია ტურიზმი, როდესაც უნიკალურ ბუნებრივ სამკურნალო რესურსებზეა ორიენტირებული. გაჯანსაღება შეგნებული ქმედებაა და განისაზღვრება იმ პირობებით, ფაქტორებითა და მეთოდებით, რომლებიც ყველაზე მეტად კეთილსასურველია ადამიანის ორგანიზმის აღსადგენად. გაჯანსაღების აუცილებლობა განპირობებულია იმით, რომ შრომითი საქმიანობის, ფსიქოემოციური დატვირთვის დროს პრაქტიკულად ჯანმრთელ ადამიანსაც უჩნდება გადაღლის, შრომის უნარიანობის დაქვეითების მდგომარეობა. უნდა აღინიშნოს, რომ მომხმარებელთა კატეგორია საკურორტო ადგილებში ბოლო დროს თანდათანობით ახალგაზრდავდება, რაც არა მარტო დაავადებათა პროფილაქტიკას, არამედ ფიზიკური ძალების აღდგენას და სტრესის მოხსნას უკავშირდება.

კოვიდ პანდემიის შემდეგ მსოფლიო ტურისტული ინდუსტრია, დიდ ყურადღებას უთმობს ბუნებრივი სამკურნალო გამაჯანსაღებელი ტურიზმის, სამკურნალო და სარეაბილიტაციო ცენტრების განვითარების საკითხს. საქართველოს გააჩნია უდიდესი პერსპექტივა სარეკრეაციო ტურიზმის განვითარების მთელი ქვეყნის მასშტაბით. კურორტების შექმნა საქართველოში იწყება მე-19 საუკუნის დასაწყისიდან, ქართველი ხალხი ძველთაგანვე იყენებდა მინერალურ წყლებს სხვადასხვა დაავადების სამკურნალოდ და მთის კლიმატის ჰავას გაჯანსაღების მიზნით. საქართველო ტერიტორია დაყოფილია ერთგვაროვანი ნიშნებისა და ხასიათის მქონე რეკრეაციული პოტენციალის მიხედვით. სხადასხვა რანგის რეკრეაციული რეგიონის პერსპექტიულობა დამოკიდებულია საკურორტო-რეკრეაციული მეურნეობის განვითარებაზე, მომსახურების ინფრასტრუქტურის შექმნაზე. თბილისის ბალნეოლოგიურ კურორტზე განხორციელებული მოდერნისტული რეფორმები კარგი მაგალითია იმისა, რომ თბილისი გახდა საერთაშორისო დონის სპა-დედაქალაქი, აღდგენილია ამ ცენტრის ბალნეოლოგიური პროფილი, მისი გამოცდილების გაზიარება დაეხმარება რეგიონებს რეკრეაციული-გამაჯანსაღებელი ტურიზმის განვითარებაში. მნიშვნელოვანია, რომ ქვეყნის საკურორტო სივრცე იწყება სწორედ ქვეყნის დედაქალაქიდან – ბალნეოკლიმატური ცენტრიდან, რომელსაც საერთაშორისო აღიარება უკვე აქვს მოპოვებული. როგორც მეცნიერ-მკვლევარები აღნიშნავენ გასათვალისწინებელია თანამედროვე ტექნოლოგიების დანერგვა, კურორტული პროდუქტისა და მომსახურების მაღალი ხარისხი, რომ საქართველო გახდეს განვითარებული სამკურნალო ტურისტული მიმართულების ქვეყანა (გრძელიშვილი & კვარაცხელია, 2023 ა).

საქართველოს ძირძველი ტერიტორია, შიდა ქართლი, როგორც ტურისტული ცენტრი, რესურსული პოტენციალით იმკვიდრებს თავს ქვეყნის ტურისტულ სამყაროში. თუმცა ოდესღაც არსებული საკურორტო ადგილები, უნიკალურ სარეკრეაციო ზონები, უფუნქციოდ არის დარჩენილი. ნაშრომში მნიშვნელოვანი ყურადღება ეთმობა შიდა ქართლის საკურორტო პოტენციალს, სამკურნალო ფაქტორებს, ბუნებრივი გარემოს გამაჯანსაღებელ რესურსებს, რეგიონის რეკრეაციული შესაძლებლობებს, რომლიც მრავალ ადგილას გვხვდება და ხშირ შემთხვევაში ფუჭად იკარგება. ძველი საკურორტო ადგილების აღდგენა, რეკრეაციული სივრცეების მრავალგანზომილებიანი განვითარება, რეკრეაციული ტურიზმის

განსაზღვრა და ბუნებრივი ფაქტორებით მდიდარი უნიკალური ადგილების რეკრეაციული მიზნებისთვის გამოყენება, მიგვაჩნია მნიშვნელოვან ამოცანად.

ლიტერატურის მიმოხილვა. ნაშრომში განვიხილეთ მეცნიერ-მკვლევართა სამეცნიერო პუბლიკაციები. საქართველოს ტურისტულ-საკურორტო რესურსები სხვადასხვა კუთხით აქვთ შესწავლილი მკვლევარებს: მ. უკლება, გ. ყუფარაძე, თ. ჩილინგარიშვილი, ნ. კვარაცხელია, ნ. გრძელიშვილი, ნ. პავლიაშვილი, ი. თარხან-მოურავი, ნ. სააკაშვილი, მ. ტაბიძე, ნ. ქუთათელაძე, ც. დავითულიანი და სხვა.

კვლევის მეთოდოლოგია. კვლევის მიზნისთვის ვიხელმძღვანელეთ თვისებრივი კვლევის მეთოდებით, რაც გულისხმობს ღია წყაროებში წარმოდგენილი ანალიტიკური მასალის დამუშავებას, სტატისტიკურ კვლევას, სამაგიდო კვლევის ფარგლებში გაანალიზდა ლიტერატურა, პუბლიკაციები, მოხდა მონაცემთა თავმოყრა, მიგნებების განხილვა.

დისკუსია/შედეგები. მსოფლიოში არსებული ყველა ტიპის სამკურნალო პროფილის კურორტი არსებობს საქართველოში, სადაც გვხვდება ბუნებრივი სამკურნალო ფაქტორები, გამაჯანსაღებელი ჰავა, სამკურნალო ტალახი, მინერალური წყაროები და ა. შ. ქვეყანაში აღრიცხულია 102 კურორტი და 182 საკურორტო ადგილი, რომლებსაც სხვადასხვა დაავადებათა მკურნალობის, რეაბილიტაციისა და გაჯანსაღების შესაძლებლობა აქვთ. განსაზღვების მიხედვით კურორტი სამკურნალო ადგილს ნიშნავს, სადაც მკურნალობის ძირითად საშუალებას საკურორტო ფაქტორები, როგორიცაა მინერალური და სამკურნალო წყალი, კლიმატი და ტალახი ქმნის. კურორტისგან განსხვავებით, საკურორტო ადგილი არ ფლობს შესაბამის ინფრასტრუქტურას ბუნებრივი სამკურნალო ფაქტორების გამოსაყენებლად დასვენებისა და სამკურნალო-გამაჯანსაღებელი ან/და პროფილაქტიკური მიზნებისათვის. ამ საკითხზე საინტერესოა თანამედროვე მიდგომები. მემფისის უნივერსიტეტის სასტუმროებისა და კურორტების მენეჯმენტის სკოლის, კურორტებისა და სასტუმროების ბიზნესის ცენტრის მიერ შემოთავაზებული დეფინიცია: „კურორტი არის მომსახურების სრული კომპლექსის საცხოვრებელი დაწესებულება, რომელიც უზრუნველყოფს ხელმისაწვდომობას სხვადასხვა დონის კომფორტსა და რეკრეაციულ შესაძლებლობებზე (უკლება, 2017:51). ამდენად, საკურორტო დესტინაციის კომპლექსური კრიტერიუმების მიხედვით მნიშვნელოვანია როგორც ადგილის მაპროფილებელი მახასიათებლები, ასევე პროდუქტის კომფორტული ელემენტები, ინფრასტრუქტურის ხარისხი, კეთილმოწყობის ხარისხი და ა. შ.

2014 წლის საქართველოს მთავრობის დადგენილების თანახმად, შიდა ქართლის ტერიტორიაზე მდებარეობდა 9 კურორტი და 16 საკურორტო ადგილი. 49 კურორტებიდან 5 (ნაგუთნი, კოდიბინა, ჯავა, ხოვლე და ბაგიათა) ბალნეოლოგიური, 3 (სურამი, ქვიშხეთი და ბიისი) კლიმატო-ბალნეოლოგიური და ერთი ბალნეო-კლიმატური ტიპისაა. საკურორტე ადგილებიდან 4 (აბანო, ხვედურეთი, ქაშვეთი და ხცისი) ბალნეოლოგიური 4 (ტყემლოვანა, ედისა, ყემულთა და ქოთანთო) კლიმატო-ბალნეოლოგიური და 8 (ატენი, ფელი, საყავრე, ბატეთი, ბულბულისციხე, ახალქალაქი, გოსტიბე და წრუ) კლიმატური ტიპისაა. რაც შეეხება, შიდა ქართლის ოკუპირებულ ტერიტორიებს ამ ნაწილში კურორტები და საკურორტო ადგილები გვხვდება საკურორტო რაიონებში: ჯავა, ბაგიათა, კოდიბინა, ნაგუთნი, ედისა, ქოთანთო, წრუ და ყემულთა. (საქართველოს მთავრობა, 2014).

შიდა ქართლში რეკრეაციული რესურსები, ტრანსფორმირებულია ბუნებრივ პირობებში და ხელს უწყობენ ფიზიკური და სულიერი ძალების აღდგენას. გამოვყოფთ ზოგიერთ მათგანს, რეგიონის უმთავრესი კლიმატური კურორტია დაბა სურამი, პროფილით კლიმატო-ბალნეოლოგიური ტიპის კურორტი დაბალმთიან საკურორტო ზონაში მდებარეობს. დაბა სურამი მიეკუთვნება კურორტს, რომელიც თავისი პროფილით ბავშვებისთვის მნიშვნელოვანია. მის ბუნებრივ სამკურნალო ფაქტორებს წარმოადგენს დაბალი მთის ჰავა, დაბის ირგვლივ 120 ჰექტარზე გაშლილი ფოთლოვანი ტყე, რომელშიც ხელოვნურად გაშენებული წიწვოვანი მასივებია შერეული, სუსტად სულფიდური, ჰიდროკარბონატული, მაგნიუმიანი და კალციუმიანი მინერალური ცივი წყლებით. (კვაშილავა-ცეკვავა, 2011: 54). იგივე პროფილით ხასიათდება ქვიშხეთი, კლიმატო-ბალნეოლოგიური კურორტი, სულფიდური წყლის ტიპით, სამთო კლიმატური კურორტი, რომელიც მოქცეულია წიწვოვან-ნაძვნარი და შერეული ტყის შუაგულში.

რეკრეაციული საქმიანობა კავშირშია ბუნებასთან, ადამიანებთან, ამიტომ ტურიზმის განვითარებისათვის მნიშვნელოვანია ბუნებრივი ლანდშაფტების დაცვა და ეკოლოგიური მდგომარეობის შენარჩუნება. საკვლევ რეგიონში, კერძოდ ატენის ხეობაში შეიქმნა დაცული ტერიტორიები, ეს ყოველივე მნიშვნელოვნად წაადგება რეკრეაციული ტერიტორიული სისტემების ჩამოყალიბებას. მთის კლიმატის ბიოლოგიური ზემოქმედება ფართო სპექტრისაა, ამშვიდებს ნერვულ სისტემას, მატებს ტონუსს, აუმჯობესებს სასიცოცხლო პროცესებს, ააქტიურებს ასიმილაციას და დისიმილაციას, აუმჯობესებს

სუნთქვის ფუნქციას, სისხლის მიმოქცევასა და საჭმლის მონელებას, ზრდის ორგანიზმის იმუნიტეტს სხვადასხვა დაავადების მხრივ, ამ ფაქტორის გამო მთის კურორტებზე დასვენება ახდენს მატონიზებელ და გამაკაჟებელ ეფექტს ადამიანის ორგანიზმზე (ნიკოლეიშვილი, 2009: 145).

რეგიონული განვითარების მნიშვნელოვანი პირობები ემყარება ტურისტულ-რეკრეაციულ მდგენელს, რომლის ძირითად ელემენტებს წარმოადგენენ ბუნებრივი რეკრეაციული რესურსები და კლიმატური პირობები. შიდა ქართლში ატენის ხეობა გამოირჩევა მრავალფეროვანი, მიმზიდველი ლანდშაფტით და ულამაზესი ბუნებით. ამ ტიპის დასასვენებელ ადგილას მთავარი სანკურნალო კლიმატია. შენარჩუნებულია მდიდარი ფლორა და ფაუნა, მაღალი რეკრეაციული ღირებულება, ტყის სუფთა და ჯანსაღი კლიმატია, ბუნებრივი საპიკნიკე და რეკრეაციული ადგილები, ბუნებრივი მინერალური წყაროები. რეგიონში სამკურნალო-გამაჯანსაღებელი ტურიზმის განვითარებას ხელს უწყობს ბალნეოლოგიური კურორტი ბიისი, რომელიც მდინარე ტანას ხეობაში, ბოშურის თემში მდებარეობს, სიმაღლე ზღვის დონიდან – 1080 მ მისი ბუნებრივი სამკურნალო-სარეაბილიტაციო ფაქტორებია, საშუალო მთის ჰავა და თბილი სულფიდური, წყლები1,3 გ/ლ მინერალიზაციით, ქლორიდულ-ჰიდროკარბონატული, სუსტი ტუტე მინერალური წყლები, კლიმატური კურორტი საშუალომთიანი საკურორტო ზონის, აქ ბუნებრივი სამკურნალო ფაქტორებია ჰავა, წიწვოვანი და შერეული ფოთლოვანი ტყეები და სულფიდური წყლების მინერალიზაციით. მკურნალობის სახეობებია მინერალური წყლის აბაზანები, პასიური კლიმატოთერაპია. სამწუხაროდ დღეს, ინფრასტრუქტურა მოშლილია, მაგრამ ინვესტორების მოძიების და შესაბამისი ინვესტიციების განხორციელების (წყლის დებეტის, გეოგრაფიული მდებარეობის და იქ არსებული სუფთა ჰაერის გათვალისწინებით) შემთხვევაში სოფელ ბიისს აქვს შესაძლებლობა ქვეყნის მასშტაბით გადაიქცეს სამკურნალო ტურიზმის ერთ-ერთ ძლიერ ცენტრად. გორის მუნიციპალიტეტში გორიჯვარი გამოირჩევა ბუნებრივი გამაჯანსაღებელი ფაქტორებით: დაბალი მთის ჰავა და სულფიდური, ქლორიდულ-ჰიდროკარბონატული, ნატრიუმიანი მინერალური წყლები, თუმცა საკურორტო საქმიანობა არ არის ორგანიზებული, ეს ტურისტული პროდუქტი მიმართული არაა შესაძლებლობების სრულად გამოყენებისკენ.

კურორტი „ხოვლე“ ზღვის დონიდან მდებარეობს 720 მეტრის სიმაღლეზე. ხოვლე ცნობილია ბუნებრივი სამკურნალო ფაქტორებით: დაბალი მთის ჰავა და სულფიდური, სულფატურ-ჰიდროკარბონატული, ნატრიუმიანი მინერალური წყაროებით, რომლიც ათეული წლების განმავლობაში იყო ფუნქციონირებადი, მაგრამ დღეს დაკეტილია. სამკურნალო წყალი აბაზანის სახით მოიხმარებოდა. წყალი რამოდენიმე ხევში გამოედინება ერთდროულად და მილებით შედის კურორტის შენობაში. წყალი გამოიყენება რევმატიული, ოსტრიოქონდროზის, გინეკოლოგიური და კუჭნაწლავური დაავადების სამკურნალოდ. „გოსტიბე“ კლიმატური ტიპის საკურორტე ადგილია, სადაც მთავარი სამკურნალო ფაქტორი კლიმატია. სოფელი და მისი თრიალეთის ქდის ჩრდილო კალთების ტერიტორიაზეა გაშენებული. ზღვის დონიდან 600-1800 მეტრის სიმაღლეზე. გოსტიბე განსაკუთრებით სასარგებლოა ბავშვებისათვის ბრონქიალური ასთმის განსაკურნად. აქ წლების განმავლობაში ფუნქციონირებდა „მოსწავლეთა ბანაკი“, რომელიც რესპუბლიკური მასშტაბით იღებდა ბავშვებს. კურორტი „აბანო“, ქარელიდან 27 კილომეტრის დაშორებით მდებარეობს, სიმაღლე ზღვის დონიდან 720 მეტრი, აბანოს კლიმატი დაბალი მთის, ზომიერად მშრალი, საკურორტო ადგილის აბანოს ბუნებრივ სამკურნალო ფაქტორებს მიეკუთვნება სასიამოვნო მთის ჰავა და გოგირდ-წყალბადიანი, ქლორიდული, ჰიდრო-კარბონატული, კალციუმიანი, ნატრიუმიანი მინერალური წყლები, მკურნალობის სახეობებია მინერალური წყლის აბაზანები, პასიური კლიმატოთერაპია (ქართული სამედიცინო ინტერნეტ-ქსელი, თ.გ.).

შიდა ქართლში არსებული უნიკალური ბუნებრივი რესურსების პოტენციალი ქმნის იმ ნიშას, რაც უზრუნველყოფს ვიზიტორთათვის გამაჯანსაღებელი თვალსაზრისით რეგიონის მიმზიდველობის ზრდის პერსპექტივას. აქ არსებული რესურსების ბაზარზე ცნობადობის ხარისხი დაბალია. გასათვალისწინებელია ტერიტორიის ბუნებრივი პირობები, კლიმატური გარემო, ბუნებრივი ლანდშაფტები, წყლის, ტყის რესურსები და მათი უნიკალურობა, ესთეტიკური მიმზიდველობა, ბუნებრივი გამაჯანსაღებელი მნიშვნელობა, რეკრეაციულ საქმიანობაში მათი ჩართვის და ეკონომიკური მიზანშეწონილობის შესაძლებლობებები. როგორც აღვნიშნეთ, შიდა ქართლში საკურორტო მეურნეობის აღორძინებისა და განვითარებისათვის შესანიშნავი ბუნებრივი პირობები არსებობს.

ამგვარად, შიდა ქართლის რეგიონში არსებული საკურორტო ადგილების შესწავლა, ლანდშაფტის ხარისხის გაუმჯობესება, სტრატეგიისა და დესტინაციის მენეჯმენტის გეგმის შემუშავება, ლოკალურ დონეზე ინფრასტრუქტურის მოწესრიგება, ინვესტიციების მოზიდვა, იძლევა დიდ პოტენციალს, როგორც ლოკალური ეკონომიკის გაძლიერების, ასევე ადგილობრივი საზოგდოების დაინტერესების და ბოლოს მდგრადი განვითარების მიზნების მიღწევის შესაძლებლობას. უნდა ჩატარდეს კვლევები სამეცნიერულ არგუმენტებზე დაფუძვნებული, გადაწყვეტილბები მიღებული იქნას საკურორტო

დესტინაციის მდგრადი განვითარებისთვის. მნიშვნელოვანია მონიტორინგის ჩატარება რომელიც შეეხება, ბიზნესს, ადგილობრივ მოსახლეობას, ტურისტებს, მათ მოლოდინებს. სწორი გადაწყვეტა იქნებოდა საკვლევი ტერიტორიის ფარგლებში რეკრეაციული გამოყენების ანალიზის გაკეთება. შემუშავდეს ღია საჯარო გეგმები, შეჯერდეს ინფორმაცია, რომელიც უნდა მოიცავდეს მგრძნობიარე გარემოს დაცვის საკითხებს, ღირსშესანიშნაობების დაცვის საკითხებს და სხვა მრავალი. ჩვენს მიერ აღწერილი საკითხების შესწავლა ხელსაყრელ, ახალ პოტენციალს შექმნის სარეკრეაციო - გამაჯანსაღებელი ტურიზმის განვითარების გზაზე.

ბიბლიოგრაფია

გრძელიშვილი, ნ., & კვარაცხელია, ლ. (2023)ა. რეკრეაციული რესურსების რაციონალურად გამოყენების პერსპექტივა საქართველოში. *ბიზნესი და კანონმდებლობა.*

გრძელიშვილი, ნ., & კვარაცხელია, ლ. (2023)ბ. *ტურიზმის განვითარების რესურსული ბაზის გამოყენების ეფექტიანობის განსაზღვრის თავისებურებები რეგიონებში.*

კვარაცხელია, ლ., & მესხია, ი. (2015). საქართველოს ბუნებრივი რესურსები. ტ. 2. თბილისი.

კვაშილავა-ცეკვავა, ა. (2011). *კურორტები.*

ნიკოლეიშვილი, დ. (2009). *საქართველოს ლანდშაფტების სივრცე-დროითი ანალიზი.* თსუ.

სააკაშვილი, ნ., & ჩილინგარიშვილი, თ. (2011). *საქართველო - ტურიზმისა და კურორტების ქვეყანა.* თბილისი: საქართველოს მაცნე.

საქართველოს 100 კურორტი. (2014). თბილისი: კლიო.

საქართველოს მთავრობა. (2014). *საქართველოს მთავრობის დადგენილება საქართველოს კურორტების ნუსხისა და სტატუსის დამტკიცების შესახებ.* (#428, 03/07/2014). მოძიებულია ვებგვერდიდან: https://matsne.gov.ge/ka/document/view/2386144?publication=0

საქართველოს კანონი კურორტებისა და საკურორტო ადგილების სანიტარული დაცვის ზონების შესახებ 1998. (#1296). მოძიებულია ვებგვერდიდან: https://matsne.gov.ge/ka/document/view/32476?publication=14

უკლება, მ. (2017). *ტურისტული დესტინაციის მენეჯმენტი.* თბილისი.

ქართულ სამედიცინო ინტერნეტ-ქსელი. (თ.გ.). ვებგვერდი: www.medgeo.net

Maia Azmaiparashvili

Gori State University

TENDENCIES OF SUSTAINABLE DEVELOPMENT OF RESORTS AND APPROACHES TO THE DEVELOPMENT OF THE ECONOMY OF THE REGION, ON THE EXAMPLE OF SHIDA KARTLI

RESUME

In terms of development of tourism and resort resource potential, Georgia is an outstanding country, there has been interest in it since ancient times. Among the republics of the Soviet Union, Georgia was in one of the first places with diverse natural healing resources, and was especially distinguished by balneological and climatotherapy resources. It is important to specialize in the resort and recreation of the different regions. Among recreational areas, the study of recreational and health facilities of Shida Kartli has shown that there is a wide range of recreational resource factors. Historically, some of the resorts in Georgia existed in this region. Most of them belong to microclimatic, mixed function and balneological resorts.

In addition to resorts, the region has more than 30 resort locations with great potential for development into resorts. The diversity of climatic conditions and its use in resort activities is an important basis for the development of tourism. About 60 locations have been studied by the Department of Resorts in Georgia. It is important to study and utilize the existing resort-tourism industry in the regions of Georgia, especially in Shida Kartli, effective use of the resort factors of the recreational area, material-technical improvement, creation of quality conditions, renewal of the region's tourism product, sharing of international experience and attraction of the vacationers' market will contribute both to the local development of the economy, as well as protection of the physical environment.

Key words: Resorts, Recreation, Climate-Balneological, Perspective.

მანია გოგიძე, ნანა ნადირაძე
გორის სახელმწიფო უნივერსიტეტი

საერთაშორისო გამოცდილება და ქართველი მენეჯერის, როგორც კორპორაციული ლიდერის უნარ-ჩვევები

საკვანძო სიტყვები: მენეჯერი, კორპორაციული ლიდერი, ორგანიზაციული კულტურა, მოტივაცია, გუნდური მართვა.

დღევანდელ ურთიერთდაკავშირებულ სამყაროში, მრავალეროვნული კორპორაციების წარმატება დამოკიდებულია ეფექტურ ლიდერობაზე გლობალური პერსპექტივით. ქართველი მენეჯერები, თავიანთი მდიდარი კულტურული მემკვიდრეობით და მზარდი საერთაშორისო ექსპოზიციით, ფლობენ უნიკალურ გამოცდილებას და უნარებს, რაც ხელს უწყობს მათ, როგორც კორპორატიული ლიდერების ეფექტურობას გლობალურ არენაზე. ეს სტატია ეძღვნება საერთაშორისო გამოცდილებას და უნარებს, რომლებიც ახასიათებს ქართველ მენეჯერებს და ხაზს უსვამს მათ პოტენციალს, როგორც გავლენიან ლიდერებს კორპორატიულ სამყაროში

ქართველი მენეჯერები, რომლებიც ჩამოყალიბებულნი არიან თავიანთი ქვეყნის გეოპოლიტიკური მნიშვნელობითა და ისტორიული კონტექსტით, ფლობენ სტრატეგიულ ხედვას, რომელიც სცილდება საზღვრებს. მათი ზემოქმედება მრავალფეროვან პოლიტიკურ და ეკონომიკურ სისტემებთან აწვდის მათ გლობალური ტენდენციებისა და რისკების ნიუანსური გაგებით, რაც საშუალებას აძლევს მათ ჩამოაყალიბონ გამძლე ბიზნეს სტრატეგიები, რომლებიც მორგებულია სხვადასხვა ბაზრებზე. ეს სტრატეგიული შორსმჭვრეტელობა ქართველ მენეჯერებს საშუალებას აძლევს განჭვრიტონ ბაზრის ცვლილებები, გამოიყენონ ახალი შესაძლებლობები და წარმართონ თავიანთი ორგანიზაციები მდგრადი ზრდისკენ ,მზარდი არასტაბილურ გლობალურ ლანდშაფტში. ქართველმა მენეჯერებმა გამოავლინეს შესანიშნავი გამძლეობა, გატარებული პოლიტიკური არასტაბილურობისა და ეკონომიკური გაურკვევლობის პერიოდებში

მსოფლიოში წარმოებული პროდუქციის მოცულობითა და შრომის ნაყოფიერების მაჩვენებლებით XX საუკუნის 70-იან წლებამდე აშშ ლიდერობდა, რაც უმთავრესად ამერიკული მენეჯმენტის ეფექტიანობას მიეწერებოდა. 70-იანი წლების შემდეგ კი აშშ-ს ნაცვლად მსოფლიო ეკონომიკაში იაპონია ხდება ლიდერი. იაპონიის მენეჯმენტის თავისებურებამ არაერთი მეცნიერის ყურადღება მიიპყრო, რომელიც განსხვავდება ამერიკულისგან. აშშ-ში გადაწყვეტილებების მიღების მექანიზმი ავტორიტარულობით ხასიათდება, იაპონიაში კი იერარქიის გადაწყვეტილებებს კოლექტიურად იღებენ. აშშ და იაპონია ორგანიზაციული კულტურის მიხედვითაც განსხვავდება ერთმანეთისგან.

ქართულ მენეჯმენტში დამკვიდრებული პრაქტიკის ანალიზი ცხადყოფს, რომ ხშირია მოტივაციის თანამედროვე მეთოდების უგულებელყოფა და ყურადღება მოტივაციის მოძველებულ ეკონომიკურ მეთოდებზე არის გადატანილი. განვითარებული ქვეყნების გამოცდილება და მოტივაციის თანამედროვე მეთოდების შესწავლა ადასტურებს, რომ ეკონომიკური მოტივაცია ნაყოფიერი შრომის აუცილებელი, მაგრამ არასაკმარისი პირობაა. დასახული მიზნის მისაღწევად, ბიზნესში შრომის ანაზღაურებისა და პრემირების მოქნილი სისტემის პარალელურად ფართოდ უნდა იყოს გამოყენებული მოტივაციის არაეკონომიკური მეთოდებიც.

ქართველი მენეჯერების საერთაშორისო გამოცდილება და უნარები აქცევს მათ მაღალ ეფექტურ კორპორატიულ ლიდერებად, რომელთაც შეუძლიათ განვითარდნენ დღევანდელ გლობალურ ბიზნეს გარემოში. მათი კულტურული ადაპტირება, ენის ცოდნა, სტრატეგიული ხედვა, გამძლეობა და კულტურათაშორისი ლიდერობის შესაძლებლობები აყალიბებს მათ, როგორც ღირებულ აქტივებს იმ ორგანიზაციებისთვის, რომლებიც ცდილობენ საერთაშორისო ბაზრების სირთულეებში ადგილის დამკვიდრებას. ვინაიდან ქართველი მენეჯერები აგრძელებენ თავიანთი მრავალფეროვანი გამოცდილების და უნარების გამოყენებას, ისინი მზად არიან მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანონ მრავალეროვნული კორპორაციების წარმატებასა და მდგრადობაში მთელ მსოფლიოში.

სამეცნიერო თანამშრომლობის საერთაშორისო ბუნების გათვალისწინებით, ქართველ მენეჯერს სჭირდება კომუნიკაციის ძლიერი უნარები, რათა ეფექტური ურთიერთობა ჰქონდეს სხვადასხვა კულტურული წარმომავლობის მეცნიერებთან, მკვლევარებთან და კორპორატიულ პარტნიორებთან. მეცნიერების სფერო დინამიურია და მუდმივად ვითარდება. წარმატებულ მენეჯერს უნდა შეეძლოს

მოერგოს ინდუსტრიის ცვლილებებს, იქნება ეს ახალი ტექნოლოგიები, კვლევის მეთოდოლოგია თუ ბაზრის ტენდენციები. ქართველ მენეჯერს უნდა ჰქონდეს სტრატეგიული აზროვნების უნარები, რათა განავითაროს გრძელვადიანი მიზნები და გეგმები თავისი გუნდისთვის ან ორგანიზაციისთვის. ეს მოიცავს მონაცემთა ანალიზს, შესაძლებლობების იდენტიფიცირებას და ინფორმირებული გადაწყვეტილებების მიღებას წარმატების მისაღწევად. მეცნიერთა და მკვლევართა გუნდის ხელმძღვანელობა მოითხოვს ძლიერ ლიდერულ უნარებს. ეს მოიცავს გუნდის წევრების მოტივაციას, თანამშრომლობის ხელშეწყობას, კონფლიქტების მოგვარებას და ხელმძღვანელობისა და მხარდაჭერის უზრუნველყოფას, რათა დაეხმარონ ინდივიდებს თავიანთი პოტენციალის სრულად მიღწევაში. მიუხედავად იმისა, რომ არ არის აუცილებელი იყოს ექსპერტი ყველა სამეცნიერო დარგში, ქართველ მენეჯერს უნდა ჰქონდეს სოლიდური გაგება მათი ინდუსტრიის შესაბამისი სამეცნიერო პრინციპების შესახებ. ეს ცოდნა ხელს უწყობს ინფორმირებული გადაწყვეტილებების მიღებას და გუნდის წევრებთან ეფექტურ კომუნიკაციას. პრობლემის გადაჭრა: მეცნიერების სფეროში ხშირია მოულოდნელი გამოწვევები და დაბრკოლებები. ქართველი მენეჯერი უნდა იყოს პრობლემის გადამჭრელი გამოცდილი ადამიანი, რომელსაც შეუძლია სწრაფად შეაფასოს სიტუაციები, გამოავლინოს ძირითადი მიზეზები და განახორციელოს ეფექტური გადაწყვეტილებები.

პროფესიული კონტაქტების ძლიერი ქსელის შექმნა და შენარჩუნება გადამწყვეტია საერთაშორისო სამეცნიერო საზოგადოებაში წარმატებისთვის. ქართველმა მენეჯერმა აქტიურად უნდა მიიღოს მონაწილეობა კონფერენციებში, ვორქშოფებსა და სხვა ქსელურ ღონისძიებებში, რათა დაამყაროს ურთიერთობები და იყოს ინფორმირებული ინდუსტრიის ტენდენციებზე. მთლიანობა და ეთიკური ქცევა ნებისმიერი კორპორატიული ლიდერისთვის არსებითი თვისებაა, განსაკუთრებით მეცნიერების სფეროში, სადაც ეთიკური მოსაზრებები უმთავრესია. ქართველმა მენეჯერმა უნდა გამოიჩინოს მაგალითი, ხელი შეუწყოს პატიოსნებას, გამჭვირვალობას და ეთიკურ ქცევას მთელ ორგანიზაციაში. ამ უნარების დახვეწით, ქართველ მენეჯერს შეუძლია ეფექტურად გაუმკლავდეს საერთაშორისო სამეცნიერო საზოგადოებაში ლიდერობის სირთულეებს და წარუმატოს მათ გუნდს ან ორგანიზაციას

საერთაშორისო გამოცდილების მქონე ქართველი მენეჯერები აწვდიან ღირებულ შეხედულებებს კულტურათაშორისი კომუნიკაციის, მოლაპარაკებებისა და ურთიერთობების დამყარების შესახებ, რაც მათ საშუალებას აძლევს ეფექტურად ითანამშრომლონ მრავალფეროვან გუნდებთან და დაინტერესებულ მხარეებთან. საერთაშორისო ბაზრებზე, ტენდენციებსა და ბიზნეს პრაქტიკაზე გაცნობა აფართოებს ქართველ მენეჯერის პერსპექტივას და საშუალებას აძლევს მათ გამოავლინონ ზრდისა და ინოვაციების ახალი შესაძლებლობები. ეს გლობალური აზროვნება ფასდაუდებელია სტრატეგიული გეგმების შემუშავებაში, ახალ ბაზრებზე გაფართოებისა და გლობალური ეკონომიკის ცვლილებებთან ადაპტაციაში. ერთი ან რამდენიმე უცხო ენის ცოდნა აძლიერებს ქართველ მენეჯერს საერთაშორისო პარტნიორებთან, კლიენტებთან და კოლეგებთან კომუნიკაციის უნარს. ეს ხელს უწყობს უფრო გამარტივებულ ურთიერთქმედებებს, ამყარებს ურთიერთობას და ხელს უწყობს უფრო მყარ ურთიერთობებს, რაც საბოლოოდ იწვევს ბიზნესის წარმატებას გლობალურ დონეზე. საერთაშორისო გამოცდილება ავითარებს ქართველ მენეჯერებს ახალ გარემოსთან ადაპტირებასა და გამძლეობაში, რადგან ისინი სწავლობენ გადალახონ გამოწვევები და განვითარდნენ მრავალფეროვან კულტურულ გარემოში. ცვლილებების გატარების ეს უნარი აუცილებელია გაურკვეველ დროში წამყვანი გუნდებისთვის და ორგანიზაციული სისწრაფისთვის. კონტაქტებისა და თანამშრომლების გლობალური ქსელის შექმნა ქართველი მენეჯერებისთვის საერთაშორისო გამოცდილების კიდევ ერთი ღირებული შედეგია. ეს კავშირები უზრუნველყოფს წვდომას ახალ შესაძლებლობებზე, რესურსებზე და გამოცდილებაზე, რაც მათ საშუალებას აძლევს დარჩნენ ინფორმირებულნი, გამოიყენონ საუკეთესო პრაქტიკა და შექმნან სტრატეგიული პარტნიორობა თავიანთი ორგანიზაციის მიზნების მისაღწევად.

ეფექტური ლიდერობა მულტიკულტურულ კონტექსტში მოითხოვს სპეციფიკურ უნარებს, როგორიცაა თანაგრძნობა, ინკლუზიურობა და კულტურული მგრძნობელობა. საერთაშორისო გამოცდილების მქონე ქართველი მენეჯერები უკეთ არიან აღჭურვილნი სხვადასხვა გუნდების ხელმძღვანელობისთვის, ინკლუზიის კულტურის გასაზრდელად და თავიანთი თანამშრომლების კოლექტიური ძალების ასამაღლებლად ინოვაციებისა და მუშაობის წარმართვისთვის. მრავალ იურისდიქციაში ოპერირება მოითხოვს საერთაშორისო რეგულაციების, სამართლებრივი ჩარჩოების და შესაბამისობის სტანდარტების საფუძვლიან ცოდნას. საერთაშორისო გამოცდილების მქონე ქართველი მენეჯერები დახელოვნებულნი არიან რთულ მარეგულირებელ გარემოში ადგილის დამკვიდრებაში, რისკების შერბილებაში და ადგილობრივ კანონებთან და რეგულაციებთან შესაბამისობაში საზღვრებს მიღმა. მოკლედ, ქართველ მენეჯერებს ააქვთ შესაძლებლობა, აღჭურვა ღირებული უნარებით, პერსპექტივებითა და ქსელებით, რომლებიც აუცილებელია წარმატებისთვის, როგორც კორპორატიული

ლიდერები დღევანდელ გლობალიზებულ ბიზნეს სამყაროში. მათი საერთაშორისო გამოცდილების გამოყენებით,

ორგანიზაციული ქცევის ამერიკული და იაპონური მოდელების მახასიათებლები რომ გახდეს შედარებადი ქართულ კულტურაში გავრცელებულ ორგანიზაციული ქცევის მოდელის მახასიათებლებთან, აუცილებელია კვლევების ჩატარება ერთი და იგივე მეთოდებითა და თანაბარი პირობების დაცვით აშშ-ში, იაპონიასა და საქართველოში. მსგავსი კვლევების ჩატარება კი საერთაშორისო კომპლექსური პროგრამის ფარგლებშია შესაძლებელი.

ბიბლიოგრაფია

გოგიძე, მ. (2016). *პერსონალის მართვის გუნდური მიდგომის თავისებურებები ქართულ კომპანიებში.* დისერტაცია. კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი. თბილისი.

Mania Gogidze*, *Nana Nadiradze

Gori State University

INTERNATIONAL EXPERIENCE AND SKILLS OF A GEORGIAN MANAGER AS A CORPORATE LEADER

RESUME

Influenced by the geopolitical significance and the historical context of their country, Georgian managers possess a strategic vision that transcends borders. Their exposure to diverse political and economic systems provides them with a nuanced understanding of global trends and risks, enabling them to craft resilient business strategies tailored to various markets. This strategic foresight enables Georgian managers to foresee market shifts, capitalize on emerging opportunities, and navigate their organizations toward sustainable growth amidst the ever-evolving global landscape. Georgian managers have demonstrated remarkable resilience through periods of political instability and economic uncertainty.

In order for the characteristics of the American and Japanese models of organizational behavior to become more accurately comparable with the characteristics of the organizational behavior model prevalent in Georgian culture. it is necessary to conduct research utilizing identical methodologies and under equitable circumstances across the United States of America, Japan, and Georgia. It is clear that conducting such research is feasible only within the framework of an international complex program.

Key words: Manager, Corporate leader, Organizational culture, Motivation, Team management.

მაკა მაკარიძე
დამოუკიდებელი მკვლევარი, დოქტორი
თეა ანესაშვილი
გორის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ნავთობი - უმნიშვნელოვანესი ბუნებრივი რესურსი და მისი როლი საქართველოს ეკონომიკის განვითარებაში

საკვანძო სიტყვები: ნავთობი, ნავთობის მოპოვება, გადამუშავება, ნავთობის თავისებურებები, მდგრადი ეკონომიკური სარგებელი.

მსოფლიო მეურნეობის ბუნებრივ საფუძველს ბუნებრივი რესურსები შეადგენენ. მათ რიცხვს მიეკუთვნება ყველაფერი, რაც ბუნების მიერაა შექმნილი: მზის ენერგია, დედამიწის სიღრმისეულ ფენებში არსებული სითბური რესურსი, მინერალური წყლები, მიწის და მცენარეული რესურსი და ა.შ. უმნიშვნელოვანეს როლს ასრულებენ ადამიანის სიცოცხლის უზრუნველყოფაში, ისინი წარმოადგენენ ბუნებრივი გარემოს კომპონენტებს და გამოიყენებიან სხვადასხვა სახის საზოგადოებრივი პროდუქტის წარმოების პროცესში მისივე მატერიალური, კულტურული და სხვა სახის მოთხოვნილებების დასაკმაყოფილებლად.

გარკვეული ბუნებრივი რესურსებით ქვეყნის უზრუნველყოფამ შეიძლება გამოიწვიოს მისი შედარებითი უპირატესობა და უზრუნველყოს იმ საქონლით ვაჭრობის მომგებიანობა, რომლის წარმოება ამ რესურსებზეა დამოკიდებული. ბაზარზე მიწოდებული ბუნებრივი რესურსები, რომლებიც უშუალოდ განკუთვნილია საწარმოო მიზნებისათვის, ვაჭრობის ობიექტი ხდება და იძენს ეკონომიკურ მნიშვნელობას. მსოფლიო ეკონომიკაში აქტიურად ვაჭრობენ სათბობ-ენერგეტიკული და ლითონის შემცველი მინერალური რესურსებით (გუროვა, 2014).

როგორც ვიცით, ქვეყნების საგარეო პოლიტიკა და ეკონომიკა დიდწილად დამოკიდებულია ისეთ ენერგორესურსებზე, როგორიც არის ნავთობი, ქვანახშირი, ბუნებრივი აირი თუ სხვა. დროთა განმავლობაში იცვლება სხვადასხვა რესურსების პოპულარობა, რაოდენობა, ისინი იცვლება იმის მიხედვით თუ რა დადებითი და უარყოფითი გავლენა მოაქვთ ჩვენი პლანეტისთვის. შესაბამისად, მსოფლიო პოლიტიკაში დიდი სიტყვა ეთქმით იმ ქვეყნებს, რომლებსაც აქვთ ან ექნებათ ისეთი რესურსესი, რომლებიც მსოფლიოს „აცოცხლებს". დღესდღეობით ყველაზე პოლიტიკური ენერგორესურსებია ნავთობი და ბუნებრივი აირი, რადგან მოითხოვენ მცირე დანახარჯს, სამაგიეროდ კი, მაღალმომგებიანია. (თსუ, თ.გ.)

ნავთობი ესაა აალებადი სითხე, რომელიც ქიმიური შემადგენლობით, ძირითადად, სხვადასხვა სახის ნახშირწყალბადებისა და სხვა ორგანული ნივთიერებებისაგან შედგება. იგი ძირითადად არის სპეციფიკური სუნის მქონე მუქი ყავისფერი, შავი, უფრო იშვიათად კი - მომწვანო ან მოყვითალო ფერის სითხე. ნავთობი გავრცელებულია დედამიწის დანალექ ფენებში და წარმოადგენს ერთ-ერთ ყველაზე მნიშვნელოვან სასარგებლო წიაღისეულს.

არსებობს ნავთობის წარმოშობის რამდენიმე ჰიპოთეზა: აბიოგენური ჰიპოთეზის თანახმად, რომ დედამიწის ნავთობისა და ბუნებრივი აირის საბადოების უმეტესობა წარმოიქმნება არაორგანული გზით - საზღვაო ნალექების წყალქვეშა ცხელი წყაროებით გაჟღენთვის შედეგად, მაგრამ მეცნიერთა უფრო დიდი ნაწილი მხარს უჭერს ნავთობ-საბადოების ბიოგენურ წარმოშობას - ანუ თეორიას, რომ ნავთობი და ბუნებრივი აირი წარმოიქმნება მიწისქვეშეთში, რამდენიმე ათეული მილიონი წლის განმავლობაში, პრეისტორიული ორგანიზმებისგან, რომლებიც მაღალი მიწისქვეშა სითბოს და მიკროორგანიზმების გავლენით იშლება და საბადოებად გროვდება მიწისქვეშა წარმონაქმნებში.

პირველად ნავთობი ძველი წელთაღრიცხვით, 600 წელს ჩინელებმა აღმოაჩინეს, ხოლო ნავთსადენ მილებად ბამბუკი გამოიყენეს, ასევე VII საუკუნეში მას იყენებდნენ ბიზანტიელები ბერძნული ცეცხლის ერთ-ერთი აუცილებელი ინგრედიენტად, თუმცა, ნავთობის მასშტაბურ მოპოვებასა და ეკონომიკას საფუძველი ჩაეყარა 1859 წელს, პენსილვანიაში პოლკოვნიკ დრეიკის მიერ და 1901 წელს ტეხასში სპინდლეტოპში ნავთობის აღმოჩენის შემდეგ.

თავდაპირველად, საბადოების დაზვერვა-აღმოჩენისათვის ვიზუალურ დაკვირვებას იყენებდნენ და ჭაბურღილებს იქ ამონტაჟებდნენ, სადაც ნავთობის თანმხლები აირების და ნავთობის გაჟოვნა შეიმჩნეოდა, დღეს კი საბადოს აღმოჩენის ყველაზე გავრცელებული გზაა დარტყმითი ტალღების

გენერირება, რომელიც გადის კლდის ფენებს და აირეკლება უკან ზედაპირზე, რითაც ხდება ნავთობის მდებარეობის პროგნოზირება. თანამედროვე სისტემებში ნავთობის მოპოვება შეიცავს შემდეგ ეტაპებს (Oil & Gas Portal, n.d.):

- მონაცემთა ბაზის შექმნა;
- არსებული მონაცემების ანალიზი;
- რუკების და გეოლოგიური და ფოტოგეოლოგიური კვლევების პროგრამირება;
- სეისმური კვლევები და სეისმური მონაცემების ინტერპრეტაცია;
- ჭაბურღილის ადგილების არჩევანი, ბურღვა;
- შედეგების ანალიზი და გადაწყვეტილება გაგრძელდეს თუ არა იჯარაზე განაცხადის განხილვა ან ტერიტორიის გათავისუფლება ვალდებულებების შესრულების შემდეგ.

გამომდინარე იქიდან, რომ ერთი ჭაბურღილის ბურღვა 5-დან 20 მილიონ დოლარამდე და მეტიც კი შეიძლება ღირდეს, ნავთობის საბადოს მოძიების კვლევითი სამუშაოები მაღალი რისკის შემცველია. ამიტომ, საძიებო აქტივებისა და მასთან დაკავშირებული ოპერაციების მართვა ნავთობკომპანიების მთავარი ამოცანაა (Library of Congress, n.d.). რისკის სრულად აღმოფხვრა შეუძლებელია, მაგრამ მისი კონტროლი და შემცირება შესაძლებელია როგორც შესაბამისი სამუშაო პროცესის, ასევე კონცეპტუალური და ტექნოლოგიური ინოვაციების გამოყენებით. უნდა აღინიშნოს, რომ როდესაც პროექტი წარმატებულია და ნავთობისა და გაზის მოპოვება პროდუქტიულია, საძიებო ხარჯები სწრაფად ანაზღაურებადია და მნიშვნელოვნად ნაკლებია სხვა წარმოების ხარჯებთან შედარებით.

ენერგიის საერთაშორისო სააგენტოს (IEA) მონაცემებით (ცხრილი, 2014), წარმოგიდგენთ ცხრილს, რომელშიც თავმოყრილია 10 ლიდერი ქვეყანა ნავთობის დღიური მოპოვებით:

ცხრილი 1. – *ლიდერი ქვეყნები ნავთობის მოპოვების რაოდენობის მიხედვით*

	ქვეყანა	ბარელი დღეში, მლნ	მიახლოებითი დღიური შემოსავალი, მლნ $
1	ამერიკის შეერთებული შტატები	13,973	580
2	საუდის არაბეთი	11,624	480
3	რუსეთის ფედერაცია	10,853	450
4	ჩინეთი	4,572	190
5	კანადა	4,383	80
6	არაბთა გაერთიანებული საამიროები	3,471	34
7	ირანი	3,375	14
8	ერაყი	3,371	6
9	ბრაზილია	2,950	3
10	მექსიკა	2,812	1

ნავთობისა და გაზის ბუნებრივი გამოვლინებები უძველესი დროიდანაა ცნობილი საქართველოში. ადგილობრივი მოსახლეობა თვითონ იყენებდა მას და გაჰქონდა მეზობელ ქვეყნებში. ლეგენდების თანახმად, ბერძნებს ნავთობი გაჰქონდათ კოლხეთიდან და თავიანთ საიდუმლო იარაღს "ბერძნულ ცეცხლს" ამზადებდნენ. დღეისათვის საქართველოში ცნობილია 1500-ზე მეტი ნავთობისა და გაზის გამოვლინება, როგორც ბუნებრივი (ზედაპირული), ასევე ჭაბურღილებში. ეს ამტკიცებს საქართველოს ნავთობ-გაზიანობის დიდ პერსპექტივას.

საქართველოში ნავთობისა და გაზის საბადოების მოძიებისა და მოპოვების განვითარებას საფუძველი XIX საუკუნის მეორე ნახევრიდან, 1929 წლიდან დაედო, როდესაც ფუნქციონირება დაიწყო ნავთობის ეროვნულმა კომპანია ,,საქნავთობმა", რომლის უფლება მონაცვლე ამჟამად არის სააქციო საზოგადოება „საქართველოს ნავთობისა და გაზის კორპორაცია".

გასული საუკუნის 80-იან წლებში საქართველოში ნავთობის მოპოვება წელიწადში 3.3 მილიონ ტონას აღწევდა. ნავთობის პროგნოზული რესურსი შეადგენდა 2,4 მლრდ. ტონას. ამჟამად მოპოვება

წელიწადში მხოლოდ რამდენიმე ათეულობით ათასს ტონას შეადგენს. გამოდის, რომ საქართველოში ბევრი ნავთობი არსებობს, მაგრამ ის არ მოიპოვება. ამის გამო, ქვეყანა წელიწადში რამდენიმე მილიარდ დოლარს კარგავს, რაც მნიშნელოვნად ამცირებს ხალხის ცხოვრების დონეს.

საქართველოს ნავთობ-გაზიანობის პროგნოზული პოტენციალის მაღალი შეფასება არ არის შემთხვევითი. საქართველო თავისი გეოგრაფიული მდებარეობისთ და გეოლოგიური აგებულებით ერთდროულად მიეკუთვნება ორ ნავთობისა და გაზის შემცველ ტერიტორიას: აღმოსავლეთ შავი ზღვის ოლქს (დასავლეთ საქართველო) და სამხრეთ-კასპიის ნავთობ-გაზიან რეგიონს (აღმოსავლეთ საქართველო) (ჯეოქეისი).

"საქართველოს ნავთობისა და გაზის კორპორაციის" ინფორმაციით (საქართველოს ნავთობისა და გაზის კორპორაცია, თ.გ.), საქართველოს ტერიტორიაზე აღმოჩენილია და დამუშავებაშია ნავთობის, გაზის და მისი კონდენსატის 15-მდე საბადო. სულ, ჯამში, ამ საბადოებიდან 28 მილიონ ტონაზე მეტი ნავთობი და 3 მილიარდ m^3-ზე მეტი გაზია მოპოვებული. საქართველოს სახმელეთო, საზღვაო და შელფური ტერიტორია დაყოფილია სალიცენზიო ბლოკებად, სადაც ნავთობისა და გაზის ძებნა-ძიებისა და მოპოვების სამუშაოებს საერთაშორისო ტენდერებით შერჩეული კომპანიები ასრულებენ. მოპოვებული პროდუქციის გადანაწილება ხდება საქართველოს ხელისუფლებასთან გაფორმებული ხელშეკრულებების საფუძველზე. ზემოხსენებულ ნავთობის საძიებო და მოპოვებით სამუშაოებს ასრულებენ საქართველოში დაარსებული კომპანიები. ჯერჯერობით, არ არის შესწავლილი შავი ზღვის მიმდებარე ტერიტორიები. ამ ეტაპზე, ჩვენს ქვეყანაში ნავთობის მოპოვება მხოლოდ მცირე მასშტაბებით მიმდინარეობს და მიუხედავად იმისა, რომ ქვეყანაში 7 ნავთობ-მომპოვებელი კომპანი ფუნქციონირებს, მათგან არც ერთი არა არის ნავთობის გადამამუშავებელი. ამიტომ, მოპოვებული ნავთობი მთლიანად ექსპორტზე გადის. ამის გამო, სხვა ქვეყნებზე ვართ დამოკიდებული.

საქართველო არც წარსულში და არც დღესათვის არ მიეკუთვნება ნავთობის წამყვან რეგიონს. ამიტომ, ქართული ნავთობის გადამუშავება საწვავ პროდუქტებად, გაუმართლებელია. იგი ქვეყნის მოთხოვნას მხოლოდ რამდენიმე პროცენტით დააკმაყოფილებს. უფრო ხელსაყრელია, ამ მიზნით გამოვიყენოთ იმპორტირებული ნავთობი. ხოლო ადგილობრივი რესურსი უმჯობესი იქნება მაღალხარისხოვანი ნავთობ-ქიმიური სინთეზის (ძირითადი ორგანული, ნატიფი ორგანული სინთეზის და მაღალმოლეკულური) პროდუქტების წარმოებისათვის (გაჯიევი-შენგელია & არეშიძე, 1999). ქართული ნავთობის ასეთი გამოყენება გაცილებით დიდ სარგებელს მოუტანს ჩვენს ქვეყანას.

ბიბლიოგრაფია

გაჯიევი-შენგელია, დ., & არეშიძე, გ. (1999). *ნავთობქიმიის საწყისები.* თბილისი.

გუროვა, ი. პ. (2014). *მსოფლიო ეკონომიკა.* თბილისი.

თსუ. (თ.გ.). *ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პაატა გუგუშვილის სახელობის ეკონომიკის ინსტიტუტის საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციები "ეკონომიკა – XXI საუკუნე".* ვებგვერდი: https://conferenceconomics.tsu.ge

საქართველოს ნავთობისა და გაზის კორპორაცია. (თ.გ.). *ნავთობი.* მოძიებულია ვებგვერდიდან: https://www.gogc.ge/ka/page/activities-fields/oil/7

ტაბულა. (2014 წლის 8 ივლისი). *BP: მსოფლიოში ნავთობის 53 წლის მარაგი დარჩა.* მოძიებულია ვებგვერდიდან: https://tabula.ge/ge/news/565236-bp-msoplioshi-navtobis-53-clis-maragi-darcha

ჯეოქეისი. ვებგვერდი: https://www.geocase.ge

Library of Congress. (n.d.). *Oil and Gas Industry: A Research Guide.* Retrieved from https://guides.loc.gov/oil-and-gas-industry

Oil & Gas Portal. (n.d.). *Upstream. Petroleum Exploration.* Retrieved from https://www.oil-gasportal.com/upstream/petroleum-exploration/

Maka Makaridze
Dr., Independent researcher
Tea Anesashvili
Gori State University

OIL - THE MOST IMPORTANT NATURAL RESOURCE AND ITS ROLE IN THE DEVELOPMENT OF THE GEORGIAN ECONOMY

RESUME

Oil is the most important natural resource, which plays an immeasurable role not only in the process of sustainable economic development of all countries, but also in the geo-political situation of the world. The nature of oil, the general processes of its origin, extraction and processing are discussed in the work. Aspects of oil extraction in Georgia, perspectives, peculiarities of Georgian oil are presented and a conclusion is made to get the economic benefit from it for country.

Key words: Oil, Oil extraction, Refining, Characteristics of oil, Sustainable economic benefits.

ლეილა მამულაშვილი
გორის სახელმწიფო უნივერსიტეტი
მარია კლდიაშვილი
კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი

პირდაპირი უცხოური ინვესტიციების განხორციელების გავლენა საქართველოს ბიზნეს-გარემოზე

საკვანძო სიტყვები: ინვესტიცია, კაპიტალი, ინვესტორი, ვალდებულება, ეკონომიკა.

უკანასკნელი პერიოდის მონაცემების ანალიზის საფუძველზე შეიძლება ითქვას, რომ პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მოცულობის გაზრდა დადებით გავლენას ახდენს ქვეყნების ბიზნეს-გარემოს გაუმჯობესებაზე და მათ შორის საქართველოც არ წარმოადგენს გამონაკლისს. მნიშვნელოვანია ზოგადად ინვესტიციების და მათ შორის პირდაპირი უცხოური ინვესტიციების სამართლებრივი ბაზით უზრუნველყოფა და მათი შესაბამისობაში მოყვანა ქვეყანაში მოქმედ პრაქტიკასთან. სხვადასხვა ქვეყნის ეკონომიკის განვითარებისათვის დიდი მნიშვნელობა ენიჭება პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მოზიდვას. მათი მეშვეობით შესაძლებელია ეკონომიკური ზრდის მიღწევა და ეფექტიანობის ამაღლება. ფუნქციონირებას იწყებენ ახალი საწარმოები, იზრდება დასაქმების მაჩვენებელი, იქმნება დოვლათი და შესაბამისად ხდება ახალი საქონლის და მომსახურების მიწოდება ბაზარზე. საბაზრო ეკონომიკის უმნიშვნელოვანესი შემადგენელი ნაწილია ეფექტიანი საინვესტიციო საქმიანობა.

წინა წლის I კვარტალში ქვეყანაში პირდაპირი უცხოური ინვესტიციების სიდიდემ 496.6 მილიონი ამერიკული დოლარი შეადგინა. აღნიშნული მაჩვენებელი 2022 წლის პირველი კვარტლის მაჩვენებელზე 13.7%-ით ნაკლებია და მეოთხე კვარტლში 53.3 პროცენტით მეტია. 2023 წლის პირველ კვარტალში სააქციო კაპიტალი, წინა წლის მონაცემებთან შედარებით 17 პროცენტით გაიზარდა, 300 მლნ. აშშ დოლარს გადააჭარბა და მთლიანი პირდაპირი უცხოური ინვესტიციების 60.5% შეადგინა. რეინვესტიციამ 189.6 მლნ. აშშ დოლარს მიაღწია და მისმა წილმა 38.2% შეადგინა. პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მიხედვით, პირველ ადგილზეა ნიდერლანდები 239.6 მლნ. აშშ დოლარით (48.2%), შემდეგ ადგილს იკავებს იაპონია 63.2 მლნ აშშ დოლარით, ამერიკის შეერთებული შტატები 54.7 მილიონი დოლარით მესამე ადგილზეა, შემდგომ ადგილებს კი რუსეთი და თურქეთი იკავებენ. გადამამუშავებელი მრეწველობის სფეროში განხორციელებული პირდაპირი უცხოური ინვესტიციების

მოცულობამ 226.3 მილიონი აშშ დოლარი შეადგინა ანუ მთლიანი პირდაპირი უცხოური ინვესტიციების თითქმის ნახევარი.

საქსტატის მიერ გამოქვეყნებული ინფორმაციით, პირდაპირი უცხოური ინვესტიციები 2023 წლის მეორე კვარტალში 29.9 პროცენტით და ხუთას მილიონზე მეტი აშშ დოლარი შეადგინა.

ამავე პერიოდში დაახლოებით მეოთხრდით შემცირდა სააქციო კაპიტალი. წინა წლის იგივე პერიოდთან შედარებით, 72.9 მილიონი აშშ დოლარი და მთლიანი პირდაპირი უცხოური ინვესტიციების 14.4 პროცენტი შეადგინა. საქართველოში განხორციელებული ინვესტიციების მიმართულებით ლიდერობს გაერთიანებული სამეფო 168.3 მლნ აშშ დოლარით, რაც ქვეყანაში განხორციელებული მთლიანი პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მესამედს წარმოადგენს; შემდეგ: თურქეთი – 14.0%; ნიდერლანდები – 12.4%; ჩეხეთი – 11.0% და მალტა – 7.3%. მათი წილი სულ ინვესტიციების საერთო მოცულობის 78%-ს შეადგენს.

ყველაზე მეტი პირდაპირი უცხოური ინვესტიცია 2023 წლის II კვარტალში საფინანსო და სადაზღვევო საქმიანობის სფეროში განხორციელდა და 255.7 მლნ აშშ დოლარი შეადგინა (50.6%). ენერგეტიკის სექტორი – 27.1%; გადამამუშავებელი მრეწველობის სექტორი – 7.0%; ვაჭრობის სექტორი – 6.9% და უძრავი ქონება – 2.6%.

2023 წლის მესამე კვარტალში პირდაპირი უცხოური ინვესტიციები 2022 წლის მესამე კვარტლის მაჩვენებლებთან მიმართებაში სამოცდაერთი პროცენტით შემცირდა. აღნიშნულის მიზეზად სავალო ვალდებულებების და რეინვესტიციის მოცულობის შემცირება სახელდება. წინა წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით იმავე პერიოდში სააქციო კაპიტალი 2.5-ჯერ გაიზარდა და 590.3 მლნ აშშ დოლარი შეადგინა, რეინვესტიციის მოცულობა კი 30%-ით შემცირდა და 329.2 მლნ აშშ დოლარი შეადგინა.

საქართველოში განხორციელებული ინვესტიციების კუთხით პირველ ადგილზეა აშშ. 51.8 მლნ აშშ დოლარით, რაც მთლიანი პირდაპირი უცხოური ინვესტიციების 16.43%-ს შეადგენს; გაერთიანებული სამეფო – 14.5%; ნიდერლანდები – 14.3%; თურქეთი – 7.40% და ჩინეთი – 6.1%. მათი წილი ინვესტიციების მთლიან მოცულობაში 58.7%-ს შეადგენს. 2023 წლის მესამე კვარტალში დიდი მოცულობით პირდაპირი უცხოური ინვესტიცია საფინანსო და სადაზღვევო საქმიანობების მიმართულებით განხორციელდა და 25.4% შეადგინა. სატრანსპორტო მიმართულება – 19.6%; ინფორმაციისა და კომუნიკაციის სფერო – 13.0%; ენერგეტიკის მიმართულება – 10.0%;

ევროკავშირში შემავალ ქვეყნებზე მოდის პირდაპირ უცხოური ინვესტიციების ნახევარზე მეტი, შემდეგ კი სპარსეთის ყურის ქვეყნები და აშშ. სააქციო კაპიტალი 2023 წლის პირველ თვეებში, წინა წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით 17 %-ით გაიზარდა და 300 მლნ. აშშ დოლარს გადააჭარბა, ეს კი პირდაპირი უცხოური ინვესტიციების ორ მესამედს შეადგენს. რეინვესტიციის წილმა 38 პროცენტი და 189 მლნ. აშშ დოლარი შეადგინა.

თუ გადავხედავთ საქართველოს პანდემიის წინა პერიოდს ინვესტიციების მოცულობა შედარებით შემცირებული იყო. არსებული კომპანიების რეინვესტიციები წარმოადგენდა მთლიანი უცხოური ინვესტიციების 50 %-ს. 175 მილიონი დოლარით განისაზღვრა სააქციო კაპიტალის შენატანები, ხოლო სავალო ვალდებულებებმა 217 მილიონი დოლარიშეადგინა. მნიშვნელოვნად შეიცვალა ქვეყანაში პირდაპირი უცხოური ინვესტიციების განხორციელების კუთხით მდგომარეობა. რუსეთ-უკრაინის ომმა გარკვეული უარყოფითი გავლენა მოახდინა აღნიშნული მიმართულებით, თუმცაღა საუკეთესო პირობები არსებობდა. დღეისათვის საქართველო კიდევ უფრო მეტად ინარჩუნებს ინვესტორებისათვის მიმზიდველ გარემოს.

ქვეყანაში არსებული ბიზნეს-გარემოს ნდობაზე ინვესტორების მხრიდან მიუთითებს პირდაპირი უცხოური ინვესტიციების ზრდის მაჩვენებელი. ქვეყანაში შენარჩუნებულ იქნა სუვერენული საკრედიტო რეიტინგები, რომელიც დიდი მოცულობით განპირობებული იყო საერთაშორისო რეიტინგის მქონე კომპანიების საქმიანობით, რამაც ასახვა ჰპოვა პირდაპირ უცხოურ ინვესტიციებზე.

ბოლო პერიოდში პირდაპირი უცხოური ინვესტიციების (FDI) მიმართულებით მნიშვნელოვანი, დადებითი ძვრები ფიქსირდება, მაშინ როდესაც საქართველოსთან შედარებით განვითარებად ქვეყნებში ზრდის მაჩვენებელმა 30 პროცენტით ნაკლები შეადგინა. აღნიშნული მიმართულებით რეინვესტირების ტენდენციების ზრდა მკაფიოდ მიუთითებს ინვესტორთა მაღალ ნდობაზე, ქვეყნის ბიზნეს-გარემოს დადებით მოლოდინზე. ქვეყნის ეკონომიკის განვითარებისა და მოდერნიზაციისთვის აუცილებელია მაქსიმალურად იქნას გამოყენებული საკუთარი შესაძლებლობები და შეიქმნას შესაბამისი გარემო აღნიშნული პროცესის ეფექტიანობის გასაზრდელად. საქართველოს ეკონომიკაში შექმნილი პირობები ხელს უწყობს საინვესტიციო სტრატეგიის ორიენტირებულობას სახელმწიფო ინვესტიციებიდან სიმძიმის ცენტრის გადატანაზე ინვესტორებისთვის სასურველი საინვესტიციო გარემოს შექმნისკენ.

თანამედროვე გლობალიზაციის პირობებში, მისი განსაკუთრებული მნიშვნელობიდან გამომდინარე სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მოზიდვა. დიდი პერიოდი არ არის გასული მას შემდეგ, რაც ქვეყნების მთავრობებმა საკუთარ ეკონომიკურ განვითარებაში ყურადღება გაამახვილეს პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მნიშვნელოვან როლზე. საქართველოში განვითარებული ეკონომიკური მოვლენების საფუძველზე შეგვიძლია ვთქვათ, რომ უცხოური ინვესტიციების მოზიდვას მრავალი დადებითი და უარყოფითი ფაქტორი განაპირობებს. საქართველოში უარყოფით ფაქტორებს შეგვიძლია მივაკუთვნოთ მისი მცირე სამომხმარებლო ბაზარი; სამუშაო ძალის დაბალი პროფესიული კვალიფიკაცია; ოკუპირებული ტერიტორიები ქვეყანაში და სხვა. დადებითი მხარეებიდან აღსანიშნავია საკანონმდებლო ბაზის მუდმივი გაუმჯობესება; ეკონომიკის ლიბერალიზაცია, ასოცირების ხელშეკრულების ხელმოწერა ევროკავშირთან, საქართველოს გეოგრაფიული ადგილმდებარეობა და სხვა. აღსანიშნავია, რომ პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მოზიდვის მიმართულებით საქართველო მისაღები ბიზნეს-გარემოთი წარმოადგენს საკმაოდ მიმზიდველ ქვეყანას. უცხოელი ინვესტორები საქართველოში ადგილობრივი ბაზრის ათვისებით არიან დაკავებულნი იაფი სამუშაო ძალის გამოყენებით და მაღალტექნოლოგიური, ექსპორტზე ორიენტირებული დარგების განვითარებას ნაკლებად უწყობენ ხელს. ხშირად პირდაპირი უცხოური ინვესტიციები მიმღები ქვეყნის მაჩვენებლების უპირატესობებზე არ არის დამოკიდებული. მასზე გავლენას ახდენს პირდაპირი უცხოური ინვესტიციების ექსპორტიორ ქვეყნაში მიმდინარე ეკონომიკური პროცესები. იგი დამოკიდებულია ასევე მსოფლიო ფინანსურ კრიზისზე ან ეკონომიკურ ბუმზე. მნიშვნელოვანია, რომ საქართველოში პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მოზიდვისას დარგებს შორის პერსპექტიულია ისეთი კონკრეტული დარგები, როგორიცაა ენერგეტიკა, ტრანსპორტი, უძრავი ქონებისა და სამშენებლო ბაზრები. საქართველოს მთავრობის მიერ სოფლის მეურნეობის მიმართულების ერთ-ერთ პრიორიტეტად გამოცხადების მიუხედავად, ინვესტიციები ამ სფეროში 3%-ს არ აღემატება. დღეისთვის ქართულ-უცხოური წილობრივი მონაწილეობით შექმნილი საწარმოების ექსპორტი მთლიანი ექსპორტის ნახევარზე მეტია. აქედან გამომდინარე პირდაპირი უცხოური ინვესტიციები მნიშვნელოვან როლს თამაშობენ ქართული ექსპორტის ფორმირებაში, რაც ძირითადად დაბალტექნოლოგიური დარგების ექსპლუატირების ხარჯზე ხორციელდება. ამგვარად, მნიშვნელოვანია პირდაპირი უცხოური ინვესტიციების განხორციელების გავლენა საქართველოს ბიზნეს-გარემოზე.

ბიბლიოგრაფია

თბილისი ენერჯი. ვებგვერდი: https://te.ge

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი. ვებგვერდი: https://www.tsu.ge>data

ინტერპრესნიუსი. ვებგვერდი: https://www.interpressnews.ge/ka/article/

მენაღარიშვილი, ზ. (9 ივნისი, 2022). *2022 წლის I კვარტალში $568 მილიონის პირდაპირი უცხოური ინვესტიცია განხორციელდა – საქსტატი.* მოძიებულია ვებგვერდიდან: https://netgazeti.ge/news/614905/

საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო. ვებგვერდი: http://www.economy.ge/?page=ecoreview&s

საინფორმაციო სააგენტო For.ge. ვებგვერდი: https://for.ge/view/

საქართველოს კანონი საქართველოს საგადასახადო კოდექსი 2010. (#3591). მოძიებულია ვებგვერდიდან: https://matsne.gov.ge/ka/document/view/1043717?publication=219

საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური. ვებგვერდი: https://www.geostat.ge

საინფორმაციო სააგენტო BM. ვებგვერდი: https://bm.ge/ka/article/shida-qartlshi-bolo-xuti-w

უცხოური ინვესტიციების მოზიდვის ტენდენციები საქართველოში. მოძიებულია ვებგვერდიდან: https://openscience.ge>bitstream

ჩაკვეტაძე, კ. (დეკემბერი 8, 2023). *III კვარტალში საქართველოში უცხოური ინვესტიციები 61.5%-ით შემცირდა.* მოძიებულია ვებგვერდიდან: https://forbes.ge/iii-kvartalshi-saqarthveloshi-utskhouri-investitsiebi-61-5-ith-shemtsirda/

Europe for Georgia. ვებგვერდი: http://eugeorgia.info/ka/about

Leila Mamulashvili
Gori State University
Maria Kldiashvili
Caucasus International University

THE IMPACT OF FOREIGN DIRECT INVESTMENT ON THE BUSINESS ENVIRONMENT IN GEORGIA

RESUME

In accordance with the trends of recent years, an increase in foreign direct investment flows has a positive effect on improving the business environment of various countries, and Georgia is no exception. Attracting foreign direct investment is of great importance for the development of the economies of various countries. They can help achieve economic growth and improve efficiency.

Judging by the economic events developing in Georgia, it can be said that attracting foreign investment is determined by many positive and negative factors. Foreign investment plays an important role in the formation of Georgian exports, which are mainly carried out through the exploitation of low-tech industries. The impact of foreign direct investment on the Georgian business environment is important.

Keywords: Investment, Capital, Investor, Commitment, Economy.

დავით ჭიოტაშვილი, ხალიანა ჩიტაძე
გორის სახელმწიფო უნივერსიტეტი

კლიმატის ცვლილების გავლენა საბიუჯეტო პროცესების რეგულირებაზე საქართველოში

საკვანძო სიტყვები: საბიუჯეტო პროცესი, კლიმატის ცვლილება, საბიუჯეტო პროგრამა, კლიმატის ცვლილების ინტეგრირება, საბიუჯეტო პროცესის რეგულირება.

შესავალი

მეოცე საუკუნის ბოლოს და ოცდამეერთე საუკუნის დასაწყისში ერთერთი უმნიშვნელოვანესი გამოწვევა გახდა კლიმატის ცვლილება და მისგან გამოწვეული უარყოფითი შედეგების შერბილება და ადაპტაცია, რომელიც სახელმწიფოსგან საკმაოდ დიდ ძალისხმევას მოითხოვს. კლიმატის ცვლილების ინტეგრირების საკითხი საბიუჯეტო პროცესებში ევროკავშირის დირექტივების მოთხოვნებით ხორციელდება და მნიშვნელოვნად განაპირობებს აღნიშნული საკითხის ჰარმონიზაციის რეგულირებას საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად ჩვენი ქვეყნის სპეციფიური თავისებურებების გათვალისწინებით.

კლიმატის ცვლილებიდან გამომდინარე, საქართველოში აქტიურად მიმდინარეობს საბიუჯეტო პროცესის უზრუნველყოფასთან დაკავშირებული პროექტები, რომელიც ჯერ არ არის ჩამოყალიბებული საბოლოო შედეგის სახით. გამომდინარე აქედან, საქართველოში შეიქმნა კლიმატის ცვლილების საბჭო, რომლის მიზანია კლიმატის ცვლილებებთან დაკავშირებული გამოწვევების კოორდინაცია. კლიმატის ცვლილების საბჭოს ფუნქციებში შედის საფინანსო ორგანოებში წარსადგენი პროექტების განხილვა და სხვადასხვა შესაბამისი პროფილის სამინისტროებისათვის კონკრეტული რეკომენდაციების მიცემა და ამ საკითხთან დაკავშირებული ეროვნული სტრატეგიებისა და გეგმების პროცესების ინიცირებას.

კლიმატის ცვლილების ინტეგრირება საბიუჯეტო პროცესებში გრძელვადიან პერსპექტივაში საერთაშორისო ურთიერთობების გლობალურ ენად მოგვევლინება, რაც გასაგებს და შესადარისს გახდის მსოფლიოს ნებისმიერი ქვეყნისათვის. თუმცა ამ მიზნის საბოლოო მიღწევა დამოკიდებული იქნება შემდეგი ამოცანების გადაჭრაზე: რა გამომოწვევების წინაშე დგას საქართველოში ბიუჯეტირების

პროცესში კლიმატის ცვლილების ინტეგრირება; შესაძლებელია, თუ არა კლიმატის ცვლილებასთან დაკავშირებით უნივერსალური მოდელის შემუშავება ეროვნული პოლიტიკის გათვალისწინებით, რომლის მიხედვითაც შესაძლებელი ბიუჯეტირების სრულყოფა?

მეთოდოლოგია

სამეცნიერო ნაშრომში განხილულია საქართველოში კლიმატის ცვლილებასთან დაკავშირებით, საერთაშორისო სტანდარტებთან შესაბამისი საბიუჯეტო პროცესის დანერგვა და რეგულირება. მისი შესაბამისობა სახელმწიფოს და საზოგადოების მოთხოვნილებებთან და ჰარმონიზაცია ევროკავშირის დირექტივებთან.

ნაშრომში გამოყენებულია საქართველოს შესაბამისი პროფილის სამინისტროების საჯარო ინფორმაცია და შედეგები, ინტერნეტ რესურსები, ეფუძნება სტატისტიკურ მონაცემებს და შედეგებს, სხვადასხვა სამთავრობო და არასამთავრობო ორგანიზაციებიდან მიღებულ მონაცემებს. დასკვნა და რეკომენდაციები ემყარება მიღებული მონაცემების ანალიზს არსებული მდგომარეობის შესახებ და საერთაშორისო გამოცდილებას.

განხილვა და დისკუსია

ქვეყნის 2022-2025 წლების ძირითადი დოკუმენტები განსაზღვრავს მთავრობის ძირითად გეგმებს გარემოს დაცვის, მდგრადი შენარჩუნების და არსებული რესურსების ეფექტური გამოყენების მიმართულებით, ქვეყნის ეკონომიკური განვითარებას. 2022 წლის მდგომარეობით წინასაბიუჯეტო დოკუმენტები იმპერატიულად არ ეხებოდა კლიმატის ცვლილებებს და კლიმატის ცვლილებას ცალკე გამოწვევად არ გულისხმობდა. 2023 წლიდან, კლიმატის ცვლილებასთან დაკავშირებული საბიუჯეტო ფორმირება შეიცვალა. 2022 წლის 25 თებერვალის საქართველოს მთავრობის N88 დადგენილებით და 2023–2026 წლების საქართველოს ძირითადი მონაცემებისა და მიმართულებების დოკუმენტით განხორციელებული ღონისძიებებით, რომელის მიხედვითაც შესაბამის დაწესებულებებს ნებაყოფლობით შეუძლიათ განსაზღვრონ შესაბამისი ინდიკატორები და ღონისძიებები კლიმატის ცვლილებასთან დაკავშირებით. ამის შესასრულებლად საჭირო გახდა შესაბამისი პროფილის სამინისტროებში კლიმატის ცვლილების ზემოქმედების შეფასება და ასახვა საშუალოვადიან, წლიურ და გრძელვადიან სტრატეგიულ გეგმებში. აღნიშნული ცვლილებებიდან გამომდინარე შესაბამისი პროფილის მხარჯავი დაწესებულებები აქტიურად ჩაერთვნენ სახელმწიფო ბიუჯეტის მომზადების პროცესში სტრატეგიულ გეგმებში განსაზღვრული წინადადებების შესაბამისობის უზრუნველსაყოფად. ფინანსთა სამინისტროს მიერ მხარჯავი უწყებებისთვის დახმარების გაწევა მნიშვნელოვანია, რომ მოხდეს უზრუნველყოფა ბიუჯეტში სამინისტროების მიხედვით ხარჯვითი პოლიტიკის მიმართულებით. წარსადგენი ხარჯვითი პოლიტიკა თანხვედრილი უნდა იყოს სტრატეგიულ გეგმებში განსაზღვრულ პოლიტიკურ მიზნებთან.

ბიუჯეტის შედგენისას აუცილებელია შესაბამისი პროცესის ასახვა და ინტეგრირება წინასაბიუჯეტო დოკუმენტებში, საშუალოვადიანი და წლიური ბიუჯეტების გრძელვადიან სტრატეგიებში. კლიმატის ცვლილების პოლიტიკის გათვალისწინება ბიუჯეტის შედგენის საწყის ეტაპზე მოიცავს საკუთარი ხარჯების დაგეგმვის შესაძლებლობას და რომელიც დაეხმარება შესაბამისი პროფილის სამინისტროებს, დეპარტამენტებს, სააგენტოებს მოცემული ხარჯების ინტეგრირებაში საკუთარ ბიუჯეტებში. აღნიშნულთან დაკავშირებით შესაბამისი პროფილის სამინისტროებმა ფინანსთა სამინისტროს უნდა წარუდგინონ კლიმატის ცვლილებასთან დაკავშირებული პროგრამების სრული და დეტალური ინფორმაცია. ეს ინფორმაცია მითითებული უნდა იყოს საშუალოვადიანი და წლიური ბიუჯეტების პერიოდში კლიმატის ცვლილების პოლიტიკის პრიორიტეტებთან დაკავშირებით გათვალისწინებულ შესაბამის ასიგნებებში და ხარჯთაღრიცხვაში, რაც თავის მხრივ უზრუნველყოფს კლიმატის ცვლილების პოლიტიკის ასახვას საშუალოვადიან და წლიურ გეგმებში შესაბამისი ხარჯთაღრიცხვის გათვალისწინებით, რომლის მიზანია, როგორც კლიმატის ცვლილების შერბილება, ასევე მასთან ადაპტაცია.

კლიმატის ცვლილების საბჭო, კლიმატთან დაკავშირებული დაფინანსების თემატური სამუშაო ჯგუფის საშუალებით, ეხმარება ფინანსთა სამინისტროს ბიუჯეტების კლასიფიცირების წესის სრულყოფაში. ასევე ისეთი მნიშვნელოვანი თემების განსაზღვრებებში, როგორებიცაა: კლიმატის ცვლილება - დაკავშირებულია საზოგადოების საქმიანობასთან და დამატებით ცვლილებას წარმოადგენს დროის გარკვეული პერიოდის განმავლობაში; შერბილება - მოიცავს საზოგადოების მიერ გასაწევ საქმიანობას სასათბურე აირების შემცირების და შეზღუდვის მიზნით; ადაპტაცია - საზოგადოების ისეთი გადაწყვეტილებები, რომელიც მიზნად ისახავს კლიმატის ცვლილების რისკებს და მათი შემცირების შესაძლებლობებს.

კლიმატის ცვლილების საკითხების ჩართვა ბიუჯეტის შედგენისას ხელს უწყობს კლიმატის ცვლილებასთან დაკავშირებული ინვესტიციების ზრდას. კლიმატის ცვლილების ინვესტიციების შეფასებისას, კლიმატის ცვლილებასთან დაკავშირებული პროექტებისა და პროგრამების შერჩევისას ბიუჯეტის ფორმირების პროცესში, საქართველომ უნდა გაითვალისწინოს სავალუტო ფონდის და კლიმატის მართვის შეფასების კრიტერიუმები.

საქართველოში კლიმატის ცვლილების ინტეგრირებაში საბიუჯეტო პროცესებში, დიდი მნიშვნელობა ენიჭება სხვა განვითარებული ქვეყნების, საერთაშორისო ორგანიზაციების, დონორი ორგანიზაციების, სხვადასხვა საქველმოქმედო ორგანიზაციების, ფონდების და სააგენტოების დახმარებას, ჩართულობას და მათი დიდი გამოცდილების გაზიარებას. განსაკუთრებით აღსანიშნავია კლიმატის მრავალმხრივი ფონდები, რომელიც შექმნილია კონკრეტული მიზნების მისაღწევად და რომელთა დაფინანსებით და თანამშრომლობით ხორციელდება კლიმატის ცვლილების შერბილების და ადაპტაციის პროექტების დაფინანსება.

გაეროს ჩარჩოკონვენციის კლიმატის ცვლილების შესახებ - UN Framework Convention on Climate Change /UNFCCC კლიმატის ფონდებიდან საქართველოში მოქმედებს „ადაპტაციის ფონდი“ (AF), „მწვანე კლიმატის ფონდი“ (GCF) და „გლობალური გარემოსდაცვითი ფონდი“ (GEF). კლიმატის ფონდებიდან საქართველოში დამატებით ფუნქციონირებს „აღმოსავლეთ ევროპის ენერგოეფექტურობისა და გარემოს დაცვის საპარტნიორო ფონდი“ (E5P), „მდგრადი განვითარების ევროპული ფონდი“ (EFSD) და „მწვანე ზრდის ფონდი“ (GGF). კლიმატის მრავალმხრივი ფონდები გასცემენ გრანტებს იმ პროექტებზე, რომლებიც დაკავშირებულია კლიმატის ცვლილებასთან. აღნიშნული ფონდების მიერ მხარდაჭერილი პროექტების მოცულობა დიდი და ხანგრძლივია და ხასიათდება ბენეფიციარების მიერ უზრუნველყოფილი თანადაფინანსების მნიშვნელოვანი წილით.

კლიმატის ფონდების დაფინანსებული სექტორები საქართველოში 2010-2022 წლებში, ასე გამოიყურება:

კლიმატის ფონდების დაფინანსებული სექტორები საქართველოში 2010-2022 წწ.

სქემა 1



2010-2022 წლებში კლიმატის ცვლილებასთან დაკავშირებული კლიმატის მრავალმხრივი ფონდების მიერ საქართველოში მხარდაჭერილი სექტორებიდან, სექტორის სიდიდის თვალსაზრისით, ყველაზე მსხვილი მხარდაჭერა განხორციელდა სატყეო სექტორზე 33%, ენერგეტიკის სექტორზე 15%, ურბანული ინფრასტრუქტურის სექტორზე 10%. დანარჩენი მოდის ჯანმრთელობის, ტრანსპორტის. სოფლის მეურნეობის და სხვა სექტორებზე. საქართველოში კლიმატის ცვლილებასთან დაკავშირებული კლიმატის მრავალმხრივი ფონდების მიერ საქართველოში მხარდაჭერილი სექტორების განსახორციელებლად უზრუნველყოფილი დაფინანსების ჯამურმა მოცულობამ კი 2.19 მილიარდი ლარი შეადგინა.

საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტების, ევროპის საინვესტიციო ბანკის (EIB), ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკის (EBRD), აზიის განვითარების ბანკის (ADB), რეკონსტრუქციისა და განვითარების საერთაშორისო ბანკის (IBRD) და სხვა საერთაშორისო საფინანსო ორგანიზაციების მიერ 2010-2022 წლებში უზრუნველყოფილმა დაფინანსებამ 28.35 მილიარდი ლარი შეადგინა. საიდანაც 97% არის სესხები, ხოლო 3% არის გრანტები, კაპიტალური ინვესტიციები და ტექნიკური დახმარება.

საერთაშორისო გამოცდილების გაზიარება ის მნიშვნელოვანი საკითხია, რომელიც ძალიან ბევრ შეკითხვაზე იძლევა პასუხებს და შემდგომი განვითარებისა და სრულყოფისკენ გადადგმული საგრძნობი ნაბიჯები იქნება, მიუხედავად ქვეყნების სხვადასხვა ისტორიულ-გეოგრაფიული მემკვიდრეობისა.

საკანონმდებლო და აღმასრულებელი ხელისუფლების საქმიანობაში კლიმატის ცვლილებასთან დაკავშირებული საკითხების ჩართვა ხელს უწყობს სწორი და სტრატეგიული გადაწყვეტილებების მიღებას ეროვნულ დონეზე, კლიმატის ცვლილებასთან დაკავშირებული რისკების შესახებ ცნობადობის ზრდას და შესაბამისი პროგრამების დახვეწას, რაც თავის მხრივ ქვეყნის მდგრადი განვითარების საფუძველს წარმოადგენს. მნიშვნელოვანია თემატური კვლევები იმის დასადგენად, თუ რამდენად შეესაბამება აღმასრულებელი ხელისუფლების სამთავრობო პოლიტიკა ბიუჯეტებში კლიმატის ცვლილების ასახვასთან დაკავშირებულ დასახულ მიზანს.

სახელმწიფოს მხრიდან აქტიური მხარდაჭერის, რეგულირების და აქტიურ საფინანსო პოლიტიკის გარეშე პრაქტიკულად შეუძლებელია კლიმატის ცვლილებასთან გარემოსდაცვითი ღონისძიებების კოორდინაცია, ბუნებრივი რესურსების მდგრადი გამოყენების უზრუნველყოფა, ეკოლოგიურ უსაფრთხოებას და ეფექტური ზედამხედველობა, რომელიც უნდა მიეწოდოს საქართველოს მოსახლეობას და დაინტერესებულ მხარეებს, მათ შორის ამ პრობლემის შესწავლით დაინტერესებულ საერთაშორისო ორგანიზაციებს.

დასკვნა:

საქართველოში არამდგრადი ეკონომიკური მდგომარეობის გამომწვევ მიზეზთა შორის ერთერთ შემაფერხებელ ფაქტორად შეიძლება წარმოვიდგინოთ კლიმატის ცვლილება. კლიმატის ცვლილების ინტეგრირების საკითხები საბიუჯეტო პროცესებში უკვე კარგა ხანია ძალიან აქტუალურია, მისი მართვა სახელმწიფოს მხრიდან აქტიური მხარდაჭერის და რეგულირების გარეშე პრაქტიკულად შეუძლებელია და ევროპულ კანონმდებლობასთან ჰარმონიზაციის მოთხოვნებს უკავშირდება. მხოლოდ საერთაშორისო მხარდაჭერით და შესაბამისი გამოცდილების გაზიარებით, სახელმწიფოს აქტიურ საფინანსო პოლიტიკას შეუძლია კლიმატის ცვლილებასთან დაკავშირებული მთელი რიგი ეკონომიკური ამოცანების გადაწყვეტა, რომლებიც მოითხოვენ კომპლექსურ ძალისხმევას ქვეყნის საკანონმდებლო და აღმასრულებელი ხელისუფლებების მხრიდან და რომლითაც შესაძლებელია ეკონომიკური წონასწორობის უზრუნველყოფა. კლიმატის ცვლილებასთან დაკავშირებული ინფორმაცია და მისი ინტეგრირება საბიუჯეტო პროცესებში ნათლად უნდა მიეწოდოს საქართველოს საზოგადოებას და ამ პრობლემის შესწავლით დაინტერესებულ საერთაშორისო ორგანიზაციებს, რაც ხელს შეუწყობს ამ საკითხთან დაკავშირებით ცნობიერების, ანგარიშვალდებულებისა და გამჭვირვალობის ამაღლებას.

ბიბლიოგრაფია

საქართველოს ფინანსთა სამინისტრო. ვებგვერდი: www.mof.gov.ge

საქართველოს ეროვნული ბანკი. ვებგვერდი: www.nbg.gov.ge

საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო. ვებგვერდი: www.economy.gov.ge

საქართველოს მთავრობა. (2022). *საქართველოს მთავრობის 2022 წლის 25 თებერვლის დადგენილება #88 2023–2026 წლების ქვეყნის ძირითადი მონაცემებისა და მიმართულებების დოკუმენტის შედგენის მიზნით განსახორციელებელ ღონისძიებათა შესახებ.*

UN Framework Convention on Climate Change – UNFCCC. www.unfccc.int

United Nations Development Programme. www.undp.org

David Tchitotashvili, Khaliana Chitadze
Gori State University

IMPACT OF CLIMATE CHANGE ON THE REGULATION OF BUDGETARY PROCESSES IN GEORGIA

RESUME

Among the causes of the unstable economic situation in Georgia, we can imagine climate change as one of the hindering factors. The paper analyzes the search for tools and means necessary for the integration of climate change in the budget process in Georgia, for the actualization of action plans and budget programs related to climate change. Issues related to climate change in the budget process in Georgia contribute to the coordination of environmental measures, ensuring sustainable use of natural resources, economic and ecological security of society and effective supervision of their implementation. However, practice has shown that certain problems and challenges have been identified that require further refinement and improvement.

In the integration of climate change in the budget processes in Georgia, great importance is attached to the assistance, involvement and sharing of their great experience of other developed countries, international organizations, donor organizations, various charitable organizations, foundations and agencies. Multilateral climate funds are particularly noteworthy, which are designed to achieve specific goals and with the financing and cooperation of which climate change mitigation and adaptation projects are financed.

Key words: Budget process, Climate change, Budget program, Integration of climate change, Budget process regulation.

სოციალური მეცნიერებები და სამართალი
Social Sciences and Law

იოსებ გაბარაევი
გორის სახელმწიფო უნივერსიტეტი

მსხვერპლის თანხმობა, როგორც მტკიცებულება ქმედების სქესობრივ დანაშაულად კვალიფიკაციისას

საკვანძო სიტყვები: სექსუალური ძალადობა, გაუპატიურება, სქესობრივი დანაშაული, მსხვერპლის თანხმობა.

"nihil consensui tam contrarium est, quam vis atque metus"

სტატიის ეპიგრაფად გამოყენებული ლათინური გამონათქვამი, რომელიც ქართულად შემდეგნაირად ჟღერს ,,არაფერი ეწინააღმდეგება თანხმობას ისე, როგორც ძალადობა და მუქარა" სრულყოფილად არ ასახავს ევროპელი კანონმდებლის ნებას და ცალკეულ შემთხვევებში შესაძლოა სექსუალური ხასიათის ურთიერთიბებში პირის თავისუფალი ნების შეზღუდვის მხარდამჭერი კონტექტსის მატარებელი იყოს.

თანხმობის ჩაწერა შესაძლებლობას მოგვცემს გაუპატიურება, როგორც ძალადობით ჩადენილი სქესობრივი დანაშაული განვასხვავოთ თანხმობის გარეშე არაძალადობრივი სქესობრივი

დანაშაულსიაგან. აღნიშნული საჭიროების საილუსტრაციოდ, მნიშვნელოვანია მითითებულ იქნეს ის მიზეზები, რაც ძალადობრივი სქესობრივი დანაშაულსა და არაძალადობრივ სქესობირვ დანაშაულს შორის მკაფიო ზღვარის გავლებაში გაგვიწევს დახმარებას.

დასახული მიზნის მისაღწევად მართებულია, წარმოდგენილ სტატიაში მსჯელობა წარიმართოს ორი მიმართულებით: განხილული იქნეს ძალადობით ჩადენილი სქესობრვი დანაშაულების და თანხმობის გარეშე ჩადენილი სქესობრივი დანაშაულების კვალიფიკაციის პრობლემური საკითხები.

მიუხედავად იმისა, რომ ძალადობით ჩადენილი სქესობრივი დანაშაულების მოქმედი რედაქცია, მის წინამორბედთან შედარებით პროგრესული შინაარსით ჩამოყალიბდა და შესაბამისობაში მოვიდა „ქალთა მიმართ ძალადობის და ოჯახში ძალადობის პრევენციისა და აღკვეთის შესახებ" ევროპის საბჭოს კონვენციასთან (შემდგომში-კონვენცია), მის მიზნებთან და ამოცანებთან, აღნიშნული კონვენციის 36-ე მუხლის მოთხოვნებს სრულად მაინც ვერ პასუხობს.[1]

კანონმდებლობაში გაუპატიურების, ისევე როგროც სექსუალური ხასიათის სხვაგვარი ქმედების სავალდებულო ნიშნად არ არის გაწერილი იმ ადამიანის ნებაყოფლობითი თანხმობა და ნების თავისუფალი გამოვლენა შეღწევადი (*penetration*) ან შეღწევის გარეშე (*non penetration*) ფორმით ჩადენილი სექსულაური ხასიათის ქმედებაზე, რომლის მიმართაც ხდება სექსუალური ხასიათის ქმედების ჩადენა ძალადობით, ძალადობის მუქარით ან უმწეობის გამოყენებით, აღნიშნული მინდობილი აქვს დოქტრინას. თანხმობის ბარიერი ხშირად გამოიყენება თანამედროვე ლიბერალურ დემოკრატიულ საზოგადოებაში იმის განსაზღვრად თუ რა არის დასაშვები ან აკრძალული ქმედება.

მეცნიერთა გარკვეული ნაწილის აზრით, გაუპატიურების და სექსუალური ხასიათის სხვაგვარი ქმედების შემადგენლობის კანონისმიერი განმარტების მოქმედი რედაქცია, შინაარსობლივად გულისხმობს *in invinitum*[2] მათ ჩადენას და დაზარალებულის ინდივიდუალური ,,თანხმობა" არის ქმედების დაუწერელი, იმანენტური ელემენტი, რომლის არსებობის დადგენა დაბალანსებულია ძალადობის ან ძალადობის მუქარის ელემენტზე მითითებით; თუმცა, ძალადობით ჩადენილი სქესობრივი დანაშაულების მოქმედი საკანონმდებლო დეფინიცია პირის მსჯავრდებისთვის მოითხოვს, გონივრულ ეჭვს მიღმა სტანდარტით, მსხვერპლის წინააღმდეგობის გაწევის დამადატსურებელი მტკიცებულების წარდგენის საფუძველზე დადგინდეს პირის დამნაშავეობა, რაც ხშირად გართულებულია ისეთ შემთხვევების გამოძების დროს, როცა მაგალითად მსხვერპლი მეგობრობდა ბრალდებულთან ან თავდაპირველ სქესორბვ კონტაქტზე თანხმობა ქონდა გაცხადებული. ასეთ დროს მსხვერპლის ,,არა" სავარაუდო მოძალადეს უნდა ესმოდეს როგორც ,,არა" და თავის მხრივ მსხვერპლსაც უნდა ქონდეს აღქმა, რომ მისი ,,არა" გაგებულ იქნა როგორც ,,არა".

საკითხისადმი ამგვარი მიდგომა, სადაო ნორმებს ბუნდოვანს[3] ხდის მათი განჭვრეტადობის თვალსაზრისით, ბუნდოვანება კი ქმნის ნოყიერ ნიადაგს ნორმის ტექტსის ინტერპრეტაციისთვის და იძლევა მათი შინაარსის ფართოდ განმარტების შესაძლებლობას, რაც ეროვნულ საკანონდებლო დონეზე ტოვებს სივრცეს მათი იმგვარად გამოყენებისთვის, რომ სისხლისამართლებრივი წესით შესაძლოა პასუხი აგოს სექსუალური ხასიათის ძალადობრივი დანაშაულის ჩამდენმა პირმა იმ შემთხვევაშიც, როდესაც სექსუალური ხასიათის შეღწევისას პირი თანახმა იყო ძალადობის ფორმით მის სხეულში სექსუალური ხასიათის შეღწევაზე ან არაშეღწევადი ხასიათის სხვაგვარ ქმედებაზე, ასევე არათანხმობითი სქესობრივ კაშირისთვის პირიქით დაუსჯელი დარჩეს პირი, თუკი მსხვერპლი ვერ დაამტკიცებს თანხმობის არარსებობას წინააღდეგობის გაწევის დამადასტურებელი მტკცებულების წარუდგენლობით. ასეთ ვითარებაში, სისხლისამართლებრივი წესით დასჯის შიშით, არც ერთი პირი არ მოინდომებს სექსულური ხასიათის აქტს სხვა პირთან, რაც ბუნებრივია ზღუდავს აქტის მონაწილე პარტნიორთა სქესობრივი თავისუფლების უფლებას.

სისხლის სამართლის კოდექსის დებულებები უნდა იყოს მკაფიოდ და არაორაზროვნად ჩამოყალიბებული. (საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო, 2013: I-12) ადამიანის უფლებათა დაცვის ევროპულმა სასამართლომ საქმეზე *კოკინაკისი საბერძნეთის წინააღმდეგ* მიუთითა კანონის განჭვრეტადობის მნიშვნელობაზე და აღნიშნა, რომ ,,კონვენციის მე-7 მუხლის 1-ლი პუნქტი (მუხლი 7-1)

---

[1] სტატიის ტექსტის ცალკეული ფრაგმენტები, შევსებული და განახლებული სახით, წარმოდგენილია იოსებ გაბარაევის სადისერტაციო ნაშრომიდან „ძალადობით ჩადენილი სქესობრივი დანაშაულის კვალიფიკაციის საკითხები ", (23.07.2022 წ).

[2] ლათ. *in invinitum* ქართულად ნიშნავს: თანხმობის გარეშე, ნების საწინააღმდეგოდ.

[3] ,,ნორმის ბუნდოვანების პირობებში, მისი გამოყენების პრაქტიკა რისკის მატარებელია. ისეთი საკანონმდებლო რეგულაცია, რომელიც სამართალგამოყენებისას იწვევს შეცდომის რისკს, ეწინააღმდეგება კანონის სიზუსტისა და გამჭვირვალობის მოთხოვნას, . . სამართლებრივი სახელმწიფოს პრინციპი კი კანონმდებელს ავალდებულებს მიიღოს ზუსტი, მკაფიო, არაორაზროვანი, განჭვრეტადი კანონმდებლობა (ნორმები), რომელიც პასუხობს კანონის განსაზღვრულობის მოთხოვნას." (საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო, 2007: პარ. 11, 28).

არ შემოიფარგლება მხოლოდ ბრალდებულის საზიანოდ სისხლის სამართლის კანონის რეტროსპექტიული გამოყენების აკრძალვით და სწორედ მისი შინაარსიდან გამომდინარეობს მოთხოვნა, რომ სამართალდარღვევა იყოს მკაფიოდ განსაზღვრული კანონით. კანონის ნორმის ნათელი და არა ბუნდოვანი ფორმულირებიდან გამომდინარე, პირმა უნდა იცოდეს როგორ ქმედებას ან უმექმედობას მიიჩნევს კანონმდებელი დანაშაულად და რა სახის სასჯელი შეიძლება დაეკისროს მას კანონში აღწერილი ქმედების ჩადენისთვის.“ (Kokkinakis v. Greece, 1993, ECHR, #14307/88, §52) ,,აუცილებელია ნორმის შინაარსობრივი სიზუსტე, არაორაზროვნება. ნორმა უნდა იყოს საკმარისად განსაზღვრული არა მხოლოდ შინაარსის, არამედ რეგულირების საგნის, მიზნისა და მასშტაბების მიხედვით, რათა ადრესატმა მოახდინოს კანონის სწორი აღქმა და თავისი ქცევის განხორციელება მის შესაბამისად, განჭვრიტოს ქცევის შედეგები. (საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო, 2008: II-36)

კონვენციის მოქმედების მიზანი არ არის ,,მოძალადე პარტნიორის“ დასჯა მაშინ როდესაც, ეს ძალადობა ხდება იმ პირის თავისუფალი ნების გამოხატვით ძალადობრივი სექსუალური ხასიათის შეღწევაზე, რომლის სხეულშიც ხორციელდება ამგვარი შინაარისის შეღწევა. თუ გავითალისწინებთ, იმ ფაქტს რომ სსკ-ის შესაბამის მუხლებში ცვლილებებს საფუძვლად დაედო ეროვნული კანონმდებლობის სტამბოლის კონვენციასთან, მის მიზნებთან და ამოცანებთან შესაბამისობაში მოყვანა, ძალადობით ჩადენილი სქესობრივი დანაშაულების ამსახველი ნორმების დაცვის მიზანი თანხვედრაში უნდა იყო კონვენციის მიზნებთან. არსებული მოცემულობით, კი სისხლის სამართლის კანონის 137-ე და 138-ე მუხლის დისპოზიციის სიტყვასიტყვითი მნიშვნელობიდან არ გამომდინარეობს აღნიშნული და წინააღმდეგობაში მოდის ამავე ნორმის მიზანთან - დაიცვას პირის უფლება, თავისუფალი ნების გამოვლინების პირობებში, თავად განსაზღვროს როდის, ვისთან და რა გარემო-ვითარებაში იქონიოს ურთიერთშეთანხმებითი სექსუალური ხასიათის კონტაქტი (სექსუალური ავტონომია).

ნორმის ახსნა-განმარტების ტელეოლოგიური მეთოდის გამოყენების პირობებში, სამართალშემფარდებელს ეძლევა შესაძლებლობა ობიექტურად გაარკვიოს კანონის აზრი, მოტივი ***racio legis***[1] (კაპანაძე & კვაჭაძე, 2008: 74), რაც საფუძვლად უდევს მის მიღებას და გადაწყვეტილება მიიღოს სწორედ ნორმის მიზნიდან და არა სიტყვასიტყვითი მნიშვნელობიდან გამომდინარე. (ხუბუა, 2004: 184) თუმცა, იმის გათვალისწინებით, რომ ნორმის ინტერპრეტაცია სუბიექტური ხასიათისაა, საკითხი თუ რომელ მეთოდს უნდა დაეყრდნოს და მიანიჭოს უპირატესობა მოსამართლემ, მთლიანად მასზე, როგორც სამართალშემფარდებლის შეხედულებაზეა დამოკიდებული. (ხუბუა, 2004: 178)

კონვენციის თანახმად, სექსუალური ხასიათის შეღწევა (მიუხედავად იმისა, რომ ეს არის ადამიანის ჩვეულებრივი, ბუნებრივი და საზოგადოების წევრებისთვის მისაღები სექსუალური ქცევა, რომელიც არ ეწინააღდეგება სამართლის ნორმებს), მხოლოდ იმ შემთხვევაში ითვლება დანაშაულად, როდესაც მისი ჩადენა პარტნიორის თავისუფალი ნების უგულებელყოფით და სისხლის სამართლის კოდექსის შესაბამის მუხლებში ჩამოთვლილი ხერხების გამოყენებით ხდება. აღნიშნული დანაწესი სრულადაა შესაბამისობაში საქართველოს კონსტიტუციის გარანტირებულ პირის თვითგამორკვევის უფლებასთან, რომელიც წარმოადგენს პირის თავისუფალი განვითარების უფლების ნაწილს და საქართველოს კონსტიტუციის მე-12 მუხლითაა დაცულია.

მიუხედავად იმისა, რომ სისხლის სამართლის კოდექსის 137-ე და 138-ე მუხლების დისპოზიციაში ფორმალურად არ არის მოხსენიებული ქმედების შემადგენელ ნაწილად იმ ადამიანის თავისუფალი ნების არარსებობა, რომლის სხეულშიც ხდება სექსუალური ხასიათის შეღწევის განხორციელება ძალადობით, ფაქტობრივად, ქმედება რომ დანაშაულად კვალიფიკაცირდეს გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს პარტნიორის თავისუფალი ნების საფუძველზე გაცხადებულ ,,ინდივიდუალურ თანხმობას“, რომლის არსებობაც გამორიცხავს გაუპატიურების შემადგენლობას, თუნდაც სექსუალური ხასიათის შეღწევა ძალადობის გამოყენებით ხორციელდებოდეს.

გაუპატიურების, ისევე როგორც სექსუალურ ხასიათსი სხვაგვარი ქმედების ჩადენის ხერხად მხოლოდ ძალადობის ან ძალადობის მუქარის მითითება *a priori* არ გულისხმობს მეორე პირის თანხმობის არარსებობას და მხოლოდ ძალადობრივი გარემოებების დადასტურება, ცალსახად არ გამორიცხავს თანხმობის არარსებობას სექსუალური ხასიათის ძალადობრივ ქმედებაზე. შესაძლებელია, სექსუალური ხასიათის შეღწევა ძალადობით ჩადენილი იქნეს პარტნიორის გააზრებული და შეცნობილი[2] თანხმობის და სურვილის არსებობის პირობებში. ძალადობის ნებაყოფლობითობის მიუხედავად,

[1] ლათ. ქართულად ნიშნავს: კანონის აზრი, კანონის მოტივი, კანონის საფუძველი.

[2] მედიცინის სფერო იცნობს ინფორმირებული თანხმობის ელემენტს, რაც პაციენტის სამედიცინო მომსახურების გაწევის აუცილებელი წინაპირობაა, თუმცა მოცემულ შემთხვევაში ხსენებული ტერმინი გულისხმობს მსხვერპლის გაცნობიერებულ ნებაყოფლობით თანხმობას ან უარს სექსუალურ ხასიათის შეღწევაზე ან სხვაგვარი ხასიათის სექსუალურ ქმედებაზე.

სექსუალური ხასითის ძალადობრივი ქმედება (შეღწევადი/არაშეღწევადი), მაინც ქმნის სისხლის სამართლის კოდექსის კერძო ნაწილის მოქმედი რედაქციით აკრძალულ ქმედებათა შემადგენლობას, ვინაიდან ძალადობით ჩადენილი სქესობრივი დანაშაულების ორივე შემადგენლობის კანონსიმიერი ჩანაწერი, წარმოდგენილია კუმულატიურად, როგორც მხოლოდ ორი სავალდებულო ელემენტისაგან შემდეგარი ქმედება: (სექსუალური ხასიათის შეღწევა/სხვაგვარი სექსუალური კონტაქტი (არაშეღწევადი ხასიათის)) + (ძალადობა, ძალადობის მუქარა ან დაზარალებულის უმწეო მდგომარეობის გამოყენება) და მათი დადგენა სრულიად საკამრისია სექსუალური ხასიათის ძალადობრივი ქმედების დამფუძნებლი ნიშნების დადგენისთვის.

კონვენციაში მკაფიოდ არის აღნიშნული, რომ სექსუალური სახის აქტი, ჩადენილი თანხმობის გარეშე, არის დანაშაული და ის უნდა იყოს კრიმინალიზებული, ანუ დაზარალებულის მხრიდან უარი და არა დამნაშავის მიერ ძალის გამოყენება უნდა იყოს უმთავრესი ელემენტი ამ დანაშაულის დეფინიციის შემუშავების დროს. კონვენციის 36-ე მუხლში აღნიშნულია, რომ თანხმობა უნდა იყოს ნებაყოფლობითი, როგორც ინდივიდის თავისუფალი ნების გამოვლენის შედეგი და მისი შეფასება არსებული გარემოებების გათვალისწინებით უნდა მოხდეს. კონვენციით გათვალისწინებული „თანხმობა“ ისეთი პირის თანხმობასაც მოიცავს, რომელსაც არ შესწევს უნარი გასცეს ნამდვლი თანხმობა სქესობრივ აქტზე. ეს უუნარობა კი შესაძლებელია შესაბამისი ასაკის არქონით, მსხვერპლის ფიზიკური ან ფსიქიკური მდგომარეობით, ან სხვა ისეთი ფიზიკური ან ფსიქიკური ნაკლით იყოს გამოწვეული, რომელიც ხელს უშლის გასცეს თანხმობა სექსუალურ აქტივობაზე. (Weiner, 2013: 1207) თანხმობის არსებობა მაშინაც უნდა გამოირიცხოს, როდესაც სექსუალური ხასიათის აქტზე თანხმობის გაცხადება ცალსახად ხდება ძალადობის გამოყენებისას.

შედარებისთვის, ***ბელგიის სისხლის სამართლის კოდექსით*** გათვალისწინებული გაუპატიურების დეფინიცია, (Criminal Code of Belgium, 1867: Art. 365) განსხვავებით საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსისაგან, არ მოიცავს გაუპატიურების ჩადენის ხერხებს. კანონმდებელი მხოლოდ იმ პირის თანხმობის არსებობის მნიშვნელობაზე აპელირებს, რომლის მიმართაც ხორციელდება სექსუალური ხასიათის შეღწევა ნებისმიერის სახითა და გზით.[1] უფრო მეტიც, ბელგიის სასამართლო პრაქტიკით დადგენილია, რომ პარტნიორისგან ერთხელ თანხმობის მიღება, მაგალითად, ვაგინალურ კავშირზე, არ მოიცავს თანხმობას ანალურ კავშირზე და რომ ყოველი ახალი შეღწევის წინ ცალკე თანხმობის გაცემა სავალდებულოა იმ პირისგან, რომლის სხეულშიც სექსუალური ხასიათის შეღწევა ხდება. (Rechtliche einordnung sexueller übergriffe ohne einverständnis Belgien, Deutschland, England & Wales, Österreich, Schweden, 2020)

კანადის[2] სისხლის სამართლის კოდექსი (Canadian Criminal Code, 1985: s 273) მოიცავს თანხმობის დეფინიციასა და მისი გამომრიცხველი გარემოებების განმარტებებს, თუ რა ჩაითვლება და როდის გამოირიცხება თავისუფალი და ნებაყოფლობითი თანხმობა სექსუალური აქტივობაში მონაწილეობაზე. კოდექსის 273.1 (1)-ე მუხლის თანახმად, სექსუალური მიზნით გაცხადებული თანხმობა ნიშნავს მომჩივანის ნებაყოფლობით თანხმობას კონკრეტულ სექსუალურ აქტივობაში ჩართვის შესახებ. თანხმობა უნდა იყოს წარმოდგენილი სექსუალური აქტივობის განხორციელების დროს. კოდექსი, აქვე ჩამოთვლის თანხმობის გამომრიცხავ გარემოებებს, რომელთა დადგენისას თანხმობა არ ითვლება მიღებულად, თუ ის გამოიხატა არა უშუალოდ დაზარალებული/მსხვერპლი პირის, არამედ მესამე პირის სიტყვითა და ქცევით, ასევე, თუ განმცხადებელი არის უგონო მდგომარეობაში ან სხვა რაიმე მიზეზით მოკლებულია შესაძლებლობას განაცხადოს თანხმობა, ან კიდევ მაშინ, როცა მოძალადე ნდობის, ძალაუფლების ან ავტორიტეტის ბოროტად გამოყენებით აიძულებს განმცხადებელს სექსუალური ხასიათის აქტივობაში ჩაერთოს და ა.შ.

თანხმობის მოდელს ეფუძნება ***ირლანდიის სისხლის სამართლის (გაუპატიურების) აქტიც***, რომელიც სექსუალური ძალადობისგან განასხვავებს გაუპატიურებას. მეორე განყოფილება (*Section 2.*), სექსუალურ ძალადობას განმარტავს, როგორც უხამსი შეურაცხყოფის ძალადობრივ დანაშაულს ნებისმიერი მამრობითი ან მდედრობითი სქესის პირზე. მეოთხე განყოფილებში (*Section 4.*) კი გაუპატიურება განმარტებულია, როგორც სექსუალურ ძალადობა, რომელიც მოიცავს (ა) პენისით ანუსში ან პირის ღრუში შეღწევას (რამდენად უმნიშვნელოც არ უნდა იყოს), ან (ბ) საშოში შეღწევას (თუნდაც უმნიშვნელოდ) ნებისმიერი საგნით, რომელიც უკავია ან რომლითაც მანიპულირებს სხვა პირი.

[1] ბელგიის სისხლის სამართლის კოდექსის 375-ე მუხლის ჩანაწერი, სტამბოლის კონვენციის რატიფიცირებამდე და მისი ძალაში შესვლამდე, უკვე ითვალისწინებდა და შეესაბამებოდა სტამბოლის კონვენციის მოთხოვნებს, შესაბამისად კონვენციის მიღებას არ მოყვა სათანადო საკანონმდებლო ცვლილებები.

[2] კანადა არ არის სტამბოლის კონვენციაზე ხელმომწერი ქვეყანა, თუმცა, სხვადასხვა კუთხით, მონაწილეობა აქვს მიღებული ტექსტის შემუშავებაში.

მამაკაცის მიერ ქალთან უკანონო სექსუალური კონტაქტის დროს, მამაკაცმა იცის, რომ ქალი არაა თანახმა ასეთ კონტაქტზე ან არ აინტერესებს და მისთვის სულ ერთია, თანახმაა თუ არა ის. (Criminal Law (Rape) Act, 1981: section 2) ასეთ დროს, როცა გაუპატიურების ან სექსუალური ძალადობის ჩადენა ხდება თანხმობის გარეშე, ამ პირის მიერ მის წინააღმდეგ ჩადენილი ქმედებისადმი წინააღმდეგობის გაუწევლობა ან უმოქმედობა, თავისთავად არ შეიძლება სექსუალური ხასიათის ქმედებაზე თანხმობად იქნეს მიჩნეული. (Criminal Law (Rape) (Amendment) Act, 1990: Section 9)

ევროპული პარლამენტის 2011 წლის 5 აპრილის რეზოლუცია „ევროკავშირის პოლიტიკის პრიორიტეტები და საფუძვლები ქალთა წინააღმდეგ ჩადენილ დანაშაულთან ბრძოლაში“ (European Parliament, 2011) პირდაპირ მოითხოვს წევრი სახელმწიფოებისაგან, რომ გაუპატიურება აღიარონ, როგორც დანაშაული, რომელიც ჩადენილი იქნა დაზარალებულის/მსხვერპლის თანხმობის გარეშე, უზრუნველყოფილი იქნეს ამ დანაშაულის ავტომატურად გამოძიება და გამოირიცხოს კულტურული, ტრადიციული თუ რელიგიური თავისებურებების გამოცხადება შემამსუბუქებელ გარემოებებად.

ნათელია, რომ ძალადობით ჩადენილი სქესობრივი დანაშაულების ქმედების ამსახველი დეფინიცია არ პასუხობს ევრპული კონვენციის მიზნებს და არ გამომდინარეობს იმ სულისკვეთებიდან და გაცხადებული მიზნიდან, რაც საფუძვლად დაედო კონვენციის შექმნას და მასზე ხელმომწერ სახელმწიფოთა მოცემული შეთანხმების გარშემო გაერთიანებას. თანხმობაზე დამყარებულ განსაზღვრებასთან შედარებით, მხოლოდ ძალადობაზე დამყარებული განსაზღვრება შეზღუდულია და არ იძლევა სექსუალური დანაშაულით დაზარალებულთა დაცვის ადეკვატურ საშუალებას.

ის გარემოება, რომ ხსენებული პრობლემა სასამართლო პრაქტიკას დღემდე არ უდგას, ვერ გამორიცხავს, მომავალში ნორმის კონვენციის საწინააღმდეგოდ წაკითხვის და გამოყენების თუნდაც ერთეული შემთხვევების შესაძლებლობას. ამიტომ, გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს, რომ დანაშაულის დამდგენი სისხლის სამართლის კოდექსით გაწერილი ნორმის შინაარსი უნდა იყოს ნათელი, განჭვრეტადი და „შესაბამისობაში უნდა იყოს სამართლის უზენაესობის პრინციპთან, რომელიც საფუძვლად უდევს ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის ყველა მუხლს.“ (Amuur v. France, 1996, ECHR, # 19776/92, III, § 50) ნორმა უნდა იძლეოდეს მისი თითოეული ელემენტის ნამდვილი შინაარსისა და ფარგლების დადგენის, მისი სწორად განმარტებისა და კონვენციის მოთხოვნათა შესაბამისად გამოყენების შესაძლებლობას, რათა ადრესატმა სწორად აღიქვას კანონი, მისი მოთხოვნების შესაბამისად განახორციელოს თავისი ქცევა და დაცული იყოს სამართალშემფარდებლის თვითნებობისაგან. (საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო, 2013: I-31)

ამასთან, თანხმობის ელემენტის დამატებამ ძალადობით ჩადენილი სქესობრივი დანაშაულების კანონისმიერ დეფინიციაში, არ უნდა გაართულოს გაუპატიურებისაგან დაცვის კანონისმიერი წესები, მტკიცების სტანდარტი და პირიქით ამ წესების შემოღებამ და პოზიტიურმა ცვლილებებმა უნდა გააძლიეროს მატერიალური კანონმდებლობის შესაბამისი ნორმები, ისინი გახადოს მეტად განჭვრეტადი და ხელი შეუწყოს ძალადობით ჩადენილი სქესობრივი დანაშაულების ფაქტებზე დაწყებული გამოძიების სამართლებრივი შედეგების გაუმჯობესებას, რაც თავის მხრივ ხელს შეუწყობს გონივრულ ეჭვს მიღმა სტანდარტით წარდგენილი მტკიცებულებების საფუძველზე, კანონით გათვალისწინებული ქმედების მატერიალური შემადგენლობის თითოეული ელემენტის დამტკიცებას. ხსენებული ცვლილებით გამოირიცხება ასევე მსხვერპლის დავალდებულება, ადასტუროს წინააღდეგობის გაწევის მომენტი, რაც ყველაფერთან ერთად სასამართლოს მისცემს შესაძლებლობას, პასუხისგებლობის დიფერენციაციის პრინციპის დაცვის შესაბამისად მოახდინოს სქესობრივი დანაშაულის ძალადობით ჩამდენი პირის მომეტებული ოდენობის სანქციის განსაზღვა, იმ პირის პასუხისგებლობის ზომასთან შედარებით, ვინ ჩაიდიან არაძალადობრივი, თუმცა, მსხვერპლის თანხმობის გარეშე სქესობრივი აქტი.

ამდენად, მართებულია, რომ გაუპატიურების, ისევე როგორც სექსუალური ხასიათის სხვაგვარი ქმედების ახალი საკანონმდებლო შემადგენლობა კუმულატიურად განიხილებოდეს, არა მხოლოდ ორი, არამედ როგორც სამი სავალდებულო ელემენტისაგან შემდეგარი: (პირის ნებაყოფლობითი თანხმობა) + (სექსუალური ხასიათის შეღწევა/სხვაგვარი სექსუალური კონტაქტი (არაშეღწევადი ხასიათის)) + (ძალადობა, ძალადობის მუქარა ან დაზარალებულის უმწეო მდგომარეობის გამოყენება). მხოლოდ ,,პირის ნებაყოფლობითი თანხმობის ელემენტის“ დამატებით იქნება კონვენციასთან შესაბამისი ძალადობით ჩადენილი სქესობრივი დანაშაულების ორივე საკანონმდებლო შემადგენლობა, რაც გამორიცხავს შემდგომში მითითებული რისკების დაშვებას. ცხადია, მხედველობაში მიიღება გაუპატიურების და სექსუალური ხასიათის სხვაგვარი ქმედების ის დამამძიმებელი გარემოებები, რომელთა დადგენისას საგამონაკლისო წესით გამოირიცხება თანხმობის გამოხატვის უნარი, ვინაიდან ასეთ დროს დაზარალებულის თანხმობა ირელევანტურია და შეფასდება თანხმობის არ ქონად (მაგ: შშმ პირის მიმართ, არასრულწლოვანის (16 წლამდე) მიმართ და ა.შ.)

ბიბლიოგრაფია

გაბარაევი, ი. (2022). *ძალადობით ჩადენილი სქესობრივი დანაშაულის კვალიფიკაციის საკითხები.* დისერტაცია. ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი. თბილისი.

კაპანაძე, ნ., & კვაჭაძე, მ. (2008). *ლათინურ-ქართული იურიდიული ლექსიკონი.* თბილისი.

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო. (2007 წლის 26 დეკემბერი). *საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს №1/3/407 გადაწყვეტილება.*

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო. (2013 წლის 14 მაისი). *საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს #2/2/516,542 გადაწყვეტილება საქართველოს მოქალაქეები - ალექსანდრე ბარამიძე, ლაშა ტუღუში, ვახტანგ ხმალაძე და ვახტანგ მაისაია საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ.*

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო. (2008 წლის 30 ოქტომბერი). საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს #2/3/406,408 გადაწყვეტილება საქართველოს სახალხო დამცველი და საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ.

ხუბუა, გ. (2004). *სამართლის თეორია.* თბილისი.

Amuur v. France. (1996). ECHR, # 19776/92, III, § 50.

Canadian Criminal Code. (R.S.C., 1985, c. C-46). s 273. Retrieved from https://laws-lois.justice.gc.ca/eng/acts/C-46/FullText.html

Criminal Code of Belgium. (June 8, 1867). Art. 365. Retrieved from https://wipolex.wipo.int/en/text/490589.

Criminal Law (Rape) Act. (1981). section 2, Meaning of "rape". Retrieved from https://www.irishstatutebook.ie/eli/1981/act/10/section/2/enacted/en/html#sec2

Criminal Law (Rape) (Amendment) Act. (1990). Section 9, ,,Consent". Retrieved from https://www.irishstatutebook.ie/eli/1990/act/32/enacted/en/print#sec9

European Parliament. (5 April, 2011). *European Parliament Resolution of 5 April 2011 on priorities and outline of a new EU policy framework to fight violence against women (2010/2209(INI)).* Retrieved from www.ec.europa.eu

Kokkinakis v. Greece. (1993). ECHR, #14307/88, § 52.

Rechtliche einordnung sexueller übergriffe ohne einverständnis: Belgien, Deutschland, England & Wales, Österreich, Schweden. Stand: 31.05.2020, Retrieved from https://www.isdc.ch/media/1974/e-2020-03-20-014-sexuelle-%C3%BCbergriffe.pdf

Weiner, P. (2013). The Evolving Jurisprudence of the Crime of Rape in International Criminal Law. *Boston College Law Review.* 54(3). 1207.

Ioseb Gabaraev

Gori State University

VICTIM'S CONSENT AS EVIDENCE IN QUALIFYING AN ACT AS A SEX CRIME

RESUME

The subject of the presented article is the qualification of rape and other acts of a sexual nature as a sexual crime committed under violence, provided for by Articles 137 and 138 of the Criminal Code of Georgia. Despite the progressive content of the current edition of sex crimes committed with violence compared to its predecessor, the article highlights the issue of non-compliance with the victim's consent as a legal element of Articles 137 and 138 of the Criminal Code, Which indicates the fragmentary nature of the harmonization of Georgian criminal legislation with the goals and objectives of Council of Europe Convention ,,on preventing and combating violence against women and domestic violence".

The legislation does not stipulate rape, as well as any other acts of a sexual nature, does not constitute a voluntary consent and free expression of the will of a person of a penetrative or non-penetrative sexual nature against whom a sexual act of violence is committed by force, threatening or or by abusing a helpless condition of a person affected, the above is entrusted to the doctrine.

Reference to the consent element in the disposition of the referenced article allows us to distinguish rape as a violent sex crime from non-consensual non-violent sex crimes. To illustrate the need for this, the article points out the reasons that will help us draw a clear line between violent sex crimes and non-violent sex crimes.

The urgency of the article is revealed in the improvement of the content of the norms reflecting violent sexual crimes and the need for their further scientific analysis, which is conditioned by the current, in-depth transformations of the political, economic and legal foundations of the society. This need is dictated by the need for Georgia to fulfil its

obligations under the Action Plan on Visa Liberalization between Georgia and the European Union, which primarily aims to bring more violent sex crimes as a separate form of violence by bringing the Code of Criminal Procedure into line with various international instruments. Moreover, in the absence of a concept of violence and a legislative explanation of its types, the presentation of opinions based on the analysis of the presented article further emphasizes the urgency of the topic.

For the provisions of the Criminal Code to be clear and unambiguous, the victim's consent to commit a sexual act must become a legal element in the composition of rape and other sexual acts to better comply with Georgian criminal law and Convention of The Council of Europe ,,on preventing and combating violence against women and domestic violence" (Istanbul Convention).

Key words: Sexual violence, Rape, Sexual crime, Victim's consent.

ქეთევან ლომსაძე
გორის სახელმწიფო უნივერსიტეტი
ნანული (ნანა) ცხვედაძე
სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი

პიაჟეს ფენომენის და უზნაძის კოინციდენციის ფაქტორი ბავშვის აზროვნების განვითარებაში

საკვანძო სიტყვები: ფუნქციონალური ტენდენცია, ასაკობრივი გარემო, პიაჟეს ფენომენი, რაოდენობის შენარჩუნება, კოინციდენცია.

აზროვნების განვითარების საკითხი ერთ-ერთი ცენტრალური საკითხია განათლების ფსიქოლოგიაში (და არა მარტო). ეს საკითხი დღესაც აქტუალურია, მიუხედავად ამ მიმართულებით უამრავი კვლევისა. ამას ადასტურებს მიმდინარე რეფორმა განათლების სისტემაში, რომლის ცენტრალური საკითხიც მეხსიერების განმავითარებელი სწავლების აზროვნების განმავითარებელი სწავლებით ჩანაცვლებაა. განათლების ფსიქოლოგიის ერთ-ერთ ცენტრალურ პრობლემას ბავშვის ფსიქიკური განვითარებისა და სწავლა/სწავლების ურთიერთდამოკიდებულების გარკვევა წარმოადგენს. განვითარების ყოველ სტადიაზე ბავშვს აქვს სამყაროს ხედვის და ახსნის თავისებური ხერხები, რომლის ცოდნაც საჭიროა იმისთვის, რომ სწორად მივუდგეთ ბავშვის სწავლა-განათლებისა და აღზრდის საკითხს.

განვითარების შესახებ ფსიქოლოგიაში მრავალი შეხედულება არსებობს. მათ შორისაა უზნაძის განვითარების კონცეფციაც ,,კოინციდენციის" პრინციპზე დაფუძნებული ასაკობრივი გარემოს ცნების სახით. მასში განსაკუთრებული ყურადღება, სააღმზრდელო გარემოს სტრუქტურაში მოზარდის განვითარების მექანიზმთა შესწავლასა და ახსნას ეთმობა (უზნაძე, 2004; ჩხარტიშვილი, 1974). უზნაძის თეორიით ყოველგვარი ფსიქიკური ფუნქცია იმთავითვე მოიცავს (გულისხმობს) გარემოში არსებულ რაიმე მოვლენას ან გამღიზიანებელს (მაგალ., მოთხოვნილება მის დამაკმაყოფილებელ საგანს გულისხმობს, შეგრძნების ორგანო სათანადო გამღიზიანებელს და ა. შ.). ამიტომ, მოზარდის შინაგანი სისტემების ორგანიზაცია (როგორც კოგნიტური, ისე პიროვნული) გარემოს თავისებურებებთან მიმართებაში უნდა იქნას განხილული, განვითარება კი, როგორც ამ კავშირების საფუძველზე მიმდინარე პროცესების რეალიზება (უზნაძე, 1947). განვითარების ამ მოდელის მიხედვით ბავშვზე დაბადებიდან ის გამღიზიანებლები იწყებს ზემოქმედებას, რომელიც მოცემულ სოციალურ გარემოში მიღებული აღზრდის წესით შეირჩევა. ეს შერჩევა ხანგრძლივი მორგების შედეგად ყალიბდება და სწორედ იმ შინაგანი ძალებისა და ფუნქციების აქტუალიზაციას იწვევს, რომლებიც არსებულ გარემოშია აღიარებული. სხვა სიტყვებით, ბავშვს პოტენციური სახით მოცემულ ძალთა და თვისებათა ფართო რეპერტუარიდან,

უპირატესად ის უვითარდება, რომლებსაც სასწავლო-სააღმზრდელო გარემოს მიერ ეწყობა ხელი. სწორედ ეს შინაარსია ჩადებული დ. უზნაძის ასაკობრივი გარემოს ცნებაში: "ბავშვის განვითარება, რომელიც მხოლოდ შინაგანისა და გარეგანის არსებითი კოინციდენციის ნიადაგზეა შესაძლებელი, სოციალურად განსაზღვრული ასაკობრივი გარემოს ზემოქმედების პირობებში ხორციელდება... ასაკობრივი გარემოს აზრი ისაა, რომ ბავშვზე შემთხვევით მოცემული სტიმულების ნაცვლად მისი შინაგანი ძალების შესატყვისმა სტიმულებმა იმოქმედონ" (უზნაძე, 1947: 26). განვითარების ,,გარეგანი და შინაგანი, თანდაყოლილი და შეძენილი" ფაქტორების ერთიანობის (კოინციდენციის), აგრეთვე, განვითარების პროცესში მათი ურთიერთქმედების თავისებურება, მნიშვნელობა და დინამიკა შ. ჩხარტიშვილის შრომებშია გაშლილი. მისი თქმით, როცა რომელიმე შინაგანი შესაძლებლობა იწყებს განვითარებას, მისგან წარმოიქმნება ფუნქციობის მოთხოვნილება, რომელიც ,,ერთბაშად ვერ ახერხებს ახალი სიტუაციის შესატყვისი ორგანიზაციის მიღებას და ისეთი განწყობა აღმოცენდება, რომელშიც ქცევის სიტუაცია და ქცევის შინაგანი შესაძლებლობანი ერთმანეთთან წინააღმდეგობაში მოდიან" (ჩხარტიშვილი, 1974: 47). ასეთი განწყობის მიერ ნაწარმოები ქცევის აქტები მიზანს ვერ აღწევს და ფუნქციობის მოთხოვნილებასაც ვერ აკმაყოფილებს. ამ მიზეზის გამო ,,მოთხოვნილება აქტივობის იმპულს უშვებს კიდევ და კიდევ, რითაც სიტუაციას უფრო გარკვევით ასახავს განწყობაში და ბოლოს, იგი იღებს მოცემული სიტუაციის შესატყვის სტრუქტურას. შედეგად, ინდივიდი ამ სიტუაციის დონემდე ვითარდება და წინააღმდეგობაც იხსნება მასა და გარე სინამდვილეს შორის, რის საფუძველზეც შესატყვის სიტუაციაში სათანადო ქცევის განწყობა იწყებს აღმოცენებას" (ჩხარტიშვილი, 1974: 47). ამრიგად, განვითარება, ასაკობრივი გარემოს ცნების მიხედვით, განწყობათა ისეთი სისტემის ფორმირებას ნიშნავს, რომელიც ინდივიდს საშუალებას აძლევს ადექვატურად ასახოს საკუთარი მოთხოვნილებები და საკუთარი აქტუალგარემოს მიერ მის მიმართ წაყენებული მოთხოვნილებები თავსებადი გახადოს მასთან. ეს თვალსაზრისი ჟ. პიაჟესთან ასიმილაციის და აკომოდაციის პროცესების მიმდინარეობას ასახავს, რის შედეგადაც მიიღწევა წონასწორობის მდგომარეობა ანუ ადაპტაცია (Пиаже, 1969).

როგორც აღნიშნული გვქონდა, განათლების სისტემაში მიმდინარე რეფორმის ერთ-ერთი ამოცანა აზროვნების განმავითარებელი სწავლების უზრუნველყოფაა, რაც აქტუალურს ხდის ბავშვის ფსიქიკური განვითარებისა და სწავლა/სწავლების ურთიერთდამოკიდებულების რეალური ვითარების შესწავლას. საკითხის აქტუალობითაა ნაკარნახევი წინამდებარე კვლევა, რომლის მიზანი, მიმდინარე რეფორმების ფონზე, 6-10 წლის ასაკის მქონე მოზარდების აზროვნების განვითარების დინამიკის აღწერა და ანალიზია. კვლევის ჰიპოთეზა ასაკობრივი გარემოს ცნების საფუძველზე იქნა შემუშავებული. აზროვნების განვითარებაზე ორიენტირებული სწავლება, როგორც ასაკობრივი გარემოს ფაქტორი, განვითარების შედეგად აქტივირებულ ლოგიკური აზროვნების ფუნქციობის მოთხოვნილების დაკმაყოფილებას უნდა იწვევდეს. შედეგად, ასაკის ზრდის კვალდაკვალ უნდა იზრდებოდეს ლოგიკური ამოცანების დაძლევის შემთხვევები და სწორად გადაწყვეტის რაოდენობრივი მაჩვენებლები უნდა აღემატებოდეს არასწორი გადაჭრის შემთხვევებს.

კვლევაში გამოყენებული იქნა ჟან პიაჟეს უწყვეტ და დისკრეტულ მასალაზე რაოდენობის გაცნობიერების უნარის შესაფასებელი ტესტი. კვლევა ექსპერიმენტულია. მასში, დაკვირვებად ცვლადს წარმოადგენდა, ბავშვში რაოდენობის შენარჩუნების უნარი, "პიაჟეს ფენომენი", რომლის ფიქსაციაც დავალებაზე სწორი და არასწორი პასუხებით ხდებოდა. სამანიპულაციო ცვლადებს - ჟან პიაჟეს უწყვეტ მასალას, წარმოადგენდა ორი, ერთი და იგივე ზომის (20 სმ) და მონაკვეთი განსხვავებული ფორმით (წრფე და ტეხილი) (Пиаже, 1969).

ამ ნახატის მიხედვით ბავშვებს ევალებოდათ აზრის დაფიქსირება, თუ რომელს აღიქვამდნენ უფრო დიდად, ან შეენარჩუნებინათ ტოლობა და დაესაბუთებინათ თავისი პასუხი.

დისკრეტული მასალა - ერთფერი და ერთგვაროვანი ღილები(სულ 18 ცალი). ღილები ბავშვებს მიეწოდებოდათ ჯერ შეჯგუფებული და შემდგომ გაშლილი სახით. ბავშვებს უნდა შეენარჩუნებინათ ტოლობა ან ეპასუხათ როდის უფრო მეტი იყო ისინი და აგრეთვე, უნდა დაესაბუთებინათ თავისი პასუხები.

პასუხების რაოდენობრივი მონაცემები ასახულია დიაგრამა #1 ში.

დიაგრამა #1



როგორც დიაგრამიდან ჩანს:

- წყვეტილი ამოცანების მცდარად გადაწყვეტის შემთხვევები, 34% -ით აღემატება სწორად გადაწყვეტის შემთხვევათა რაოდენობას;
- იგივე ტენდენციაა უწყვეტი მასალის შემთხვევაშიც. წარუმატებელი გადაწყვეტის შემთხვევები 35% მეტია, წარმატებულზე;
- ცდისპირებმა, ვინც წარმატებით დაძლია წყვეტილი ამოცანები, მათი მხოლოდ 53 % ძლევს წარმატებით უწყვეტ მასალაზე დავალებებს. რაც მეტად მცირე განსხვავებაა.
- ხოლო, ცდისპირები, ვინც წარუმატებელია წყვეტილი ამოცანების გადაწყვეტაში, მათი უდიდესი უმრავლესობა (86%) წარუმატებელი რჩება უწყვეტი მასალის შემთხვევაშიც;
- უწყვეტი ამოცანების გადაწყვეტაში წარმატებული ცდისპირების 75% ავლენს უწყვეტილი მასალის წარმატებით გადაწყვეტის ტენდენციას;
- ხოლო, უწყვეტში წარუმატებელების 73% წარუმატებელია, უწყვეტი მასალის გადაწყვეტაშიც.

მთლიანი შერჩევის საკვლევ ჯგუფში გამოვლენილი ტენდენციების შედარების საფუძველზე შეიძლება ითქვას, რომ:

1) მთლიან შერჩევაში, როგორც წყვეტილ, ისე უწყვეტი მასალის გადაწყვეტაში მცდარი პასუხები ჭარბობს. მასალის დაუძლევლობისკენ გამოვლენილიეს ტენდენცია სტატისტიკურად მნიშვნელოვანია($X2 = 12.4$; $p<0,001$);

2) წყვეტილი ამოცანების გადაჭრაში წარმატება, არ ირადირდება (გენერალიზდება) უწყვეტი მასალის სფეროში წარმატებაზე. უწყვეტი მასალის დაძლევა კი, პირიქით, წყვეტილ მასალაზე გენერალიზების ტენდენციის მატარებელი აღმოჩნდა;

3) გენერალიზდების ძალის მქონე აღმოჩნდა ამოცანის დაუძლევლობა: უწყვეტ მასალაში წარუმატებლები, წარუმატებელნი არიან წყვეტილი მასალის გადაწყვეტაშიც და პირიქით.

წინამდებარე კვლევის ერთ-ერთი ამოცანა ასაკობრივი პერსპექტივის ჭრილში მოზარდების წყვეტილი და უწყვეტი ტიპის ამოცანების დაძლევის დინამიკის აღწერა და ანალიზი იყო. ამ ამოცანის რეალიზებისთვის, შერჩევის ჯგუფი დავყავით 5 ასაკობროვ ქვეჯგუფათ: 6 წლის ბავშვები (84 ც.პ); 7 წლის ბავშვების ჯგუფი (40 ც.პ.); 8 წლიანების; 9 წლის ბავშვების ჯგუფი (98 ც.პ.); 10 წლის ბავშვების ჯგუფი (40 ც.პ.). მიღებული შედეგები ასეთია:

6-დან 8 წლამდე ბავშვებში, შეიმჩნევა წყვეტილი დავალების წარმატებით გადაჭრის ტენდენცია. 9 წლიანებში ეს ტენდენცია მცირდება, უტოლდება 6 წლიანების ასაკის მაჩვენებელს და უცვლელად რჩება 10 წლის მოზარდებში.

უწყვეტი დავალების შესრულების მაჩვენებლები კი პირიქით, 6-დან 7 წლის ასაკობრივ პერიოდში იკლებს. ხოლო, 8 წლიანებთან და ზემოთ, ასაკის მატებასთან ერთად (9 და 10 წლის მოზარდები) სწორი პასუხების რაოდენობაც იზრდება.

თუმცა ისიც უნდა აღინიშნოს, რომ დავალების წარმატებული გადაჭრის შემთხვევები, როგორც ერთ, ისე მეორე შემთხვევაში (თუ არ ჩავთვლით 8 წლიანებში სწორი პასუხების შემთხვევათა 55%-ს) 50%-ზე დაბალია და მნიშვნელოვნად ჩამორჩება არასწორად გადაწყვეტის შემთხვევებს.

რაც შეეხება ერთ მოდალობაში წარმატებული (ან წარუმატებელი) გადაწყვეტის, მეორე მოდალობის დავალებაზე გენერირების ტენდენციებს, ასაკობრივი დინამიკის ჭრილში სურათი ასეთია:

წყვეტილი დავალების წარმატების გენერალიზების ტენდენცია, უწყვეტი მასალის წარმატებით დაძლევაზე 6-დან 7 წლის ასაკამდე მცირდება, უცვლელი რჩება 8 წლის ასაკამდე. შემდგომ, ნახტომისებურად იზრდება 9 წლიანებში და კვლავ რადიკალურად მცირდება 10 წლის ასაკში. გენერირების იგივე ტენდენციას აქვს ადგილი უწყვეტი მასალის წარმატებით გადაწყვეტის, წყვეტილზე გადატანის შემთხვევაშიც. მხოლოდ, ამ უკანასკნელში გენერირების რაოდენობრივი მაჩვენებლები გაცილებით მეტია.

წყვეტილ დავალებაში წარუმატებლობის გენერირების შემთხვევათა რაოდენობა, უწყვეტი მასალის შესრულებაზე საკმაოდ მაღალია 6 და 7 წლის მოზარდებში, 8 წლის ასაკში გენერირების ტენდენცია საგრძნობლად იკლებს, 9 წლიანებში კვლევ დრამატულად იზრდება და 10 წლის ასაკში, კვლავ ვარდნას განიცდის.

რაც შეეხება უწყვეტი მასალის შემთხვევებს, აქ სურათი შემდეგია: წარუმატებელი გადაწყვეტის გენერირების ტენდენცია წყვეტილი მასალის შესრულებაზე, 6-დან 8 წლის ასაკამდე მცირდება, 9 წლის ასაკში მკვეთრად იზრდება, 10 წლის ასაკში კი, კვლავ მცირდება და თითქმის 50% -ს ანუ შემთხვევათა ნახევარს უთანაბრდება (იხ. სვეტი 11 და 12).

განხილული შედეგების საფუძველზე შეიძლება ითქვას, რომ:

- წყვეტილი და უწყვეტი მასალის დაძლევის ტენდენციები ასაკობრივი დინამიკის ჭრილში, განსხვავებულია, შეიძლება ითქვას ურთიერთსაპირისპირო ტენდენციის მქონეც კი. (6-დან 7 წლის ასაკში წყვეტილი მასალაში სწორი პასუხების რაოდენობა მზარდია, უწყვეტში კლებადი, 8-დან 10 წლის ასაკში პირიქით, წყვეტილში კლებადია, უწყვეტში - მზარდი);
- ამოცანის წარმატებული დაძლევის გენერირების ტენდენციები უწყვეტიდან წყვეტილ და წყვეტილიდან უწყვეტ მასალაზე მსგავსია. წარუმატებლობის შემთხვევაში, განსხვავებული. რაც, ჩვენი აზრით, ლოგიკური შედეგია, რადგან უწყვეტი მასალა პერცეპტული აქტივობის უნარს გვიჩვენებს, რომელიც ასაკთან ერთად მატულობს გამოცდილების საფუძველზე, ხოლო წყვეტილი კი ლოგიკური აზროვნების განვითარების დონეს.

გამოვლენილ ტენდენციათა კანონზომიერების ან მათ შორის არსებული მიმართებების დასადგენად მივმართეთ კორელაციურ კვლევას. კვლევამ აჩვენა, რომ: საკვლევ პოპულაციაში, 6-დან 10 წლის ჩათვლით მოზარდების ლოგიკური აზროვნების განვითარება არასწორხაზობრივი, ხოლო საჭირო ოპერაციული შესაძლებლობები არამდგრადი/ლაბილური. ლოგიკური განვითარების პროცესი 6 წლის მოზარდებში უფრო სტაბილური და კონსტინენტურია. შვიდი წლის ასაკში, განვითარება სტაბილური, მაგრამ კონსტინენტობის ნიშნით ავლენს დასუსტების ტენდენციას. 8 წლის ასაკში განვითარება თითქოს კარგავს სტაბილობას და ინკონსტინენტური ხდება. ცხრა წლის მოზარდებში ლოგიკური განვითარება ყველაზე კონსტინენტური და მყარი ხდება, რომელიც კვლავ, ათი წლის ასაკში, უბრუნდება რვა წლის მოზარდებისთვის დამახასიათებელი განვითარების ნიშნებს. დასკვნა: კვლევაში ჩვენი ვარაუდი არ დაგვიდასტურდა. მეტიც, მივიღეთ მისგან რადიკალურად განსხვავებული შედეგი. რაც საფუძველს გვაძლევს ვიფიქროთ, რომ მიღებული, განვითარების ნორმებთან შეუსაბამო შედეგი, შესაძლოა უკავშირდებოდეს ასაკობრივი გარემოს არაეფექტიან ორგანიზებას. ხოლო მიზეზი, თუ რით შეიძლება იყოს ეს არაეფექტიანობა გამოწვეული, შემდგომ კვლევას საჭიროებს.

ბიბლიოგრაფია

ნათაძე, რ. (1975). *ცნების დაუფლება დაწყებითი სკოლის ფარგლებში.* თბილისი.

ნადირაშვილი, შ. (1975). *განზოგადების განვითარება დაწყებითი სკოლის ასაკში.* თბილისი.

უზნაძე, დ. (2004). *ზოგადი ფსიქოლოგია.* თბილისი.

უზნაძე, დ. (1947). *ბავშვის ფსიქოლოგია.* თბილისი.

ჩხარტიშვილი, შ. (1974). *აღზრდის სოციალური ფსიქოლოგია.* თბილისი.

Пиаже, Ж. (1969). *Избранные психологические труды.* Москва: Просвещение.

Ketevan Lomsadze
Gori State University
Nanuli (Nana) Tskhvedadze
Sukhumi State University

THE FACTOR OF PIAJET'S PHENOMENON AND UZNADZE'S COINCIDENCE IN THE DEVELOPMENT OF CHILDREN'S LOGICAL THINKING

RESUME

According to the experiments carried out on the pupils of primary school have shown that development of logical thinking is decreased. The reason of all these is the lack of quantity understanding. They perceive one and the same quantity differently in various situations. That must not be happening in the children over the age of 8. However our researches proved the opposite. In our point of view it is caused by the age environment and its inadequate influence on them.

Key words: Functional tendency, Age environment, Piaget phenomenon, Quantity maintenance, Coincidence.

ლევან მიდოდაშვილი, ნიკოლოზ მიდოდაშვილი
გორის სახელმწიფო უნივერსიტეტი

მმართველობის ინტეგრირებული რეიტინგული მაჩვენებლის განსაზღვრა

საკვანძო სიტყვები: მმართველობა, რანჟირება, მრავალ კრიტერიუმიანი გადაწყვეტილება.

არსებობს მტკიცე კონსენსუსი, რომ ქვეყნის მდგრადი განვითარების უზრუნველყოფაში გადამწყვეტ ფაქტორს მთავრობის ანგარიშვალდებული, ინკლუზიური და ეფექტური მმართველობა წარმოადგენს. კარგი მმართველობის პირობებში მისი ფუნქციონირება ხელს უწყობს ქვეყნის სოციალურ და ეკონომიკურ განვითარებას და, საზოგადოდ, ქვეყნის მიერ დასახული მიზნების მიღწევას.

ცხადია, რომ თანამედროვე საყოველთაო გლობალიზაციის პირობებში, სანდო ინფორმაცია ამა თუ იმ ქვეყნის მთავრობის საქმიანობის ეფექტიანობის თაობაზე განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს როგორც ამ ქვეყნის, ისე მის გარეთ არსებული დაინტერესებული მხარეებისათვის. ამიტომ მსოფლიოს წამყვანი კვლევითი და ანალიტიკური ცენტრები და ორგანიზაციები, პერიოდულად (ყოველწლიურად ან ორ-სამ წელიწადში ერთხელ), მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნების მთავრობების ფუნქციონირების შეფასების მიზნით, აწარმოებენ სათანადო კვლევებს და უზრუნველყოფენ კვლევის შედეგების ხელმისაწვდომობას ყველა დაინტერესებული მხარისათვის.

აღსანიშნავია, რომ მთავრობის საქმიანობის შეფასების შედეგები არ იძლევა ქვეყნის შიგნით კონკრეტული პრობლემების გადასაჭრელად ან რაიმე საკითხთან დაკავშირებით გადაწყვეტილების მისაღებად საჭირო მონაცემებს. თუმცა, როგორც საერთო საზომი, ის სასარგებლოა, ზოგადად, ქვეყნების შედარებისთვის, კონკრეტული ქვეყნის განვითარების მონიტორინგის ან განვითარების ტენდენციების გასარკვევად. ამავდროულად, აღნიშნული კვლევების შედეგები მნიშვნელოვანია არა მხოლოდ მკვლევარებისა და ანალიტიკოსებისათვის, არამედ იმ კომპანიებისა და ორგანიზაციებისათვის, რომლებიც აპირებენ კონკრეტულ ქვეყანაში საინვესტიციო პროექტების განხორციელებას. იმ პირობებში, როდესაც სულ უფრო რთული ხდება სხვადასხვა ქვეყანაში არსებულ რისკებთან (არასაიმედო საინვესტიციო გარემო, პოლიტიკური არასტაბილურობა, თაღლითობა, კორუფცია და სხვა) გამკლავება, საინვესტიციო კომპანიებისა და სხვა სუბიექტების მიერ გადაწყვეტილების მიღების პროცესში კვლევის

შედეგების გამოყენებით შესაძლებელია აღნიშნული რისკების გონივრული შეფასება და სათანადო გადაწყვეტილების ფორმირებაში მათი გათვალისწინება. მაგალითად, მსოფლიო ბანკის ჯგუფის მხარდაჭერით ჩატარებულ კვლევებში (Kaufmann & Kraay, 2023) ქვეყნის მთავრობის ფუნქციონირება ფასდება ექვსი კომპლექსური ინდიკატორის საშუალებით, რომლებითაც იზომება მთავრობის ანგარიშვალდებულების ხარისხი, პოლიტიკური სტაბილურობა, მმართველობის ეფექტიანობა, მარეგულირებელი კანონმდებლობის ხარისხი, კანონის უზენაესობა და კორუფციის კონტროლი. მსგავს ინდიკატორებს იყენებს თავისი კვლევებისათვის ანალიტიკური ჯგუფი TheGlobalEconomy.com (TheGlobalEconomy.com, n.d.), რომელიც ემსახურება მკვლევარებს, მეცნიერებს, ინვესტორებს და სხვებს, ვისაც ესაჭიროება სანდო ეკონომიკური მონაცემები მსოფლიოს 200-ზე მეტი ქვეყნის შესახებ. შესაბამისი მონაცემთა წყაროები მოიცავს ქვეყნების ცენტრალურ ბანკებს, ეროვნულ სტატისტიკურ ინსტიტუტებს და მრავალ საერთაშორისო ორგანიზაციას. უნდა აღინიშნოს, რომ ანალოგიური კვლევების მიზნით სხვა ორგანიზაციების მიერ ჩატარებულ კვლევებში გამოყენებული ინდიკატორები მნიშვნელოვნად განსხვავდება ზემოაღნიშნული ინდიკატორებისაგან.

უნდა აღინიშნოს, რომ ქვეყნის წარმატებული განვითარების მიზნით მთავრობის საქმიანობის ერთერთ მნიშვნელოვან მიმართულებას ქვეყანაში უცხოური ინვესტიციების მოზიდვისათვის მომხიბვლელი ბიზნეს-გარემოს ფორმირება წარმოადგენს. წინამდებარე ნაშრომში სხვადასხვა აღიარებული საერთაშორისო კვლევითი-ანალიტიკური ცენტრების მიერ ჩატარებული კვლევების მონაცემების გამოყენებით წარმოდგენილია ქვეყნების რანჟირების მოდელი ბიზნეს-გარემოს ფორმირებაში მათი მთავრობების მიღწევათა მიხედვით.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, საერთაშორისო ორგანიზაციების მიერ კვლევები ხორციელდება მრავალი კომპლექსური ინდიკატორის გამოყენებით და კვლევის შედეგები, ჩვეულებრივ, მოიცავს მრავალ პარამეტრს. საზოგადოდ, ცალკეული პარამეტრების მიხედვით რანჟირების შედეგები განსხვავებულია, რაც მნიშვნელოვნად ართულებს ქვეყნების რანჟირების პროცესს. ამასთან ერთად, არცთუ იშვიათად, სხვადასხვა კვლევითი-ანალიტიკური ცენტრების მიერ მსგავსი ინდიკატორების გამოყენებით ჩატარებული კვლევის შედეგები ერთიდაიმავე პარამეტრების მიხედვით მნიშვნელოვნად განსხვავდება.

ნაშრომში წარმოდგენილი მოდელი ითვალისწინებს სხვადასხვა ორგანიზაციების მიერ ჩატარებული კვლევების შედეგებს, მათ შორის ისეთი კვლევების, რომლებიც განხორციელდა განსხვავებული ინდიკატორების გამოყენებით და ამ მოდელის ფარგლებში ქვეყნების რანჟირება ხორციელდება ერთი, მმართველობის ინტეგრირებული რეიტინგული პარამეტრით - მთავრობის წარმატების მაჩვენებლის საშუალებით. ვინაიდან, მიმდინარე ეტაპზე, კვლავ აქტუალურია ევროკავშირთან საქართველოს, მოლდოვას და უკრაინის ინტეგრაციის საკითხი, ნაშრომში, მაგალითის სახით, განხორციელებულია სწორედ ამ სამი ქვეყნის რანჟირება.

კვლევის მეთოდოლოგია ეფუძნება მრავალ კრიტერიუმიანი გადაწყვეტილების მიღების ანალიზის მეთოდის გამოყენებას (Technique for Order of Preference by Similarity to Ideal Solution - შემდგომში - TOPSIS) (Hwang & Yoon, 1981; Yoon, 1987; Hwang, Lai & Liu, 1993). ამ მეთოდის თანახმად, საუკეთესო მრავალ კრიტერიუმიანი გადაწყვეტილების მისაღებად, ყველა არსებული ალტერნატიული გადაწყვეტილებებისათვის უნდა განისაზღვროს დადებითი იდეალური და უარყოფითი იდეალური გადაწყვეტილებები. ხოლო საუკეთესო ალტერნატიულ გადაწყვეტილებას წარმოადგენს ის, რომელიც მინიმალურადაა დაშორებული დადებითი იდეალური გადაწყვეტილებიდან და მაქსიმალურადაა დაშორებული უარყოფითი იდეალური გადაწყვეტილებიდან.

ნაშრომში ქვეყნების რანჟირების მიზნით საერთაშორისო ორგანიზაციების მიერ ჩატარებული კვლევის შედეგებიდან გამოყენებულია ის მონაცემები, რომლებიც დაკავშირებულია ქვეყანაში მომხიბვლელი ბიზნეს-გარემოს ფორმირებასთან:

მსოფლიო ბანკის ჯგუფის მხარდაჭერით 2022 წელს ჩატარებული კვლევის შედეგები:

თითოეული ინდიკატორი ნორმირებულია (-2.5; 2.5) შუალედში ისე, რომ -2.5 შეესაბამება ყველაზე უარეს შედეგს, ხოლო 2.5 - საუკეთესოს.

ქვეყანა	ანგარიშ ვალდებულება	პოლიტიკური სტაბილურობა	მმართველობის ეფექტიანობა	რეგულაციების ხარისხი	კანონის უზენაესობა	კორუფციის კონტროლი
მოლდოვა	0.09	-0.67	-0.31	0.10	-0.29	-0.31
საქართველო	0.01	-0.44	0.65	1.03	0.17	0.62
უკრაინა	-0.2	-2.00	-0.50	-0.33	-0.92	-0.63

ცხრილი 1

TheGlobalEconomy.com კვლევითი-ანალიტიკური ჯგუფის 2021 წლის კვლევის შედეგები: აღნიშნული კვლევებისათვის გამოყენებული ინდიკატორები ასევე ნორმირებულია (-2.5; 2.5) შუალედში ისე, რომ -2.5 შეესაბამება ყველაზე უარეს შედეგს, ხოლო 2.5 - საუკეთესოს.

ქვეყანა	ანგარიშ ვალდებულება	პოლიტიკური სტაბილურობა	მმართველობის ეფექტიანობა	რეგულაციების ხარისხი	კანონის უზენაესობა	კორუფციის კონტროლი
მოლდოვა	0.05	-0.21	-0.4	0.01	-0.33	-0.45
საქართველო	0.02	-0.42	0.65	1.06	0.17	0.69
უკრაინა	0.08	-1.1	-0.41	-0.28	-0.66	-0.77

ცხრილი 2

ორგანიზაციის Trading Economics მიერ 2022-2023 წლებში განხორციელებული კვლევის შედეგები (Trading Economics, n.d.), რომელიც მოიცავს ინფორმაციას მსოფლიოს 196 ქვეყნის შესახებ:

ინდიკატორი	მოლდოვა	საქართველო	უკრაინა
მშპ წლიური ზრდის ტემპი (%)	-2.2	7.5	19.5
უმუშევრობის დონე (%)	3.8	15.6	10.5
დასაქმების მაჩვენებელი (%)	43.7	45.3	65.3
ინფლაციის მაჩვენებელი (%)	3.8	0.8	5.3
საპროცენტო განაკვეთი (%)	4.75	10	16
სახელმწიფო ვალი მშპ-ს მიმართ (%)	32.1	39.8	78.4
კორუპციის ინდექსი (0-დან 100-მდე; 0 - მაღალი კორუპცია)	39	56	33

ცხრილი 3

შვეიცარიულ-კორეული ერთობლივი ანალიტიკური კვლევითი ცენტრის - SolAbility მიერ 2023 წელს განხორციელებული კვლევის შედეგები (Solability, 2023 Global Sustainability Rankings):

ქვეყანა	მდგრადი განვითარება	მთავრობის ეფექტიანობა	სოციალური კაპიტალი
მოლდოვა	45.8	64.6	57.0
საქართველო	45.5	56.9	50.9
უკრაინა	46.2	48.0	50.4

ცხრილი 4

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, წარმოდგენილი მოდელის ფარგლებში, ამოცანის გადასაჭრელად საჭირო მონაცემები სათანადო ინდიკატორების მიხედვით, შესაძლებელია შეირჩეს სხვადასხვა კვლევითი ცენტრების კვლევის შედეგებიდან ამოცანის მიზნების შესაბამისად. ამ დებულების ნათელ დემონსტრაციას წარმოადგენს მეოთხე ცხრილში ისეთი ინდიკატორის გამოყენება, როგორიცაა „სოციალური კაპიტალი". აღნიშნული ინდიკატორი გულისხმობს ქვეყნის მოსახლეობის სოციალური სტაბილურობისა და კეთილდღეობის (აღქმულის თუ რეალურის) ჯამს, რომელიც განაპირობებს სოციალური ერთიანობისა და კონსენსუსის გარკვეულ დონეს, რაც, თავის მხრივ, უზრუნველყოფს სტაბილურ გარემოს ეკონომიკის განვითარებისათვის.

ამოცანის გადასაჭრელად TOPSIS მეთოდის გამოყენებით ყველა ალტერნატიული გადაწყვეტილებისათვის განისაზღვრა დადებითი იდეალური და უარყოფითი იდეალური გადაწყვეტილებები. თითოეული ალტერნატიული გადაწყვეტილებისათვის განისაზღვრა ევკლიდური მანძილები აღნიშნულ იდეალურ გადაწყვეტილებებამდე და ფარდობითი სიახლოვე დადებით იდეალურ გადაწყვეტილებამდე. აღნიშნული ფარდობითი სიახლოვის მიხედვით განხორციელდა ალტერნატიული გადაწყვეტილებების რანჟირება, რომლის შედეგიც ასახულია მე-5 ცხრილში.

ქვეყანა	**მთავრობის წარმატების ინტეგრირებული მაჩვენებელი**
მოლდოვა	0.43197
საქართველო	0.76628
უკრაინა	0.23754

ცხრილი 5

ამრიგად, ნაშრომში წარმოდგენილია წარმატებული მმართველობის მიხედვით ქვეყნების რანჟირების მოდელი, რომელიც იძლევა სხვადასხვა ავტორიტეტული საერთაშორისო ორგანიზაციების მიერ ჩატარებული კვლევების შედეგების გათვალისწინების შესაძლებლობას. ამ მოდელში, რომელიც TOPSIS მრავალ კრიტერიუმიანი გადაწყვეტილების ანალიზის მეთოდს ეფუძნება, რანჟირების შედეგები აღიწერება ერთი პარამეტრის - მმართველობის წარმატების ინტეგრირებული რეიტინგული მაჩვენებლის საშუალებით.

ბიბლიოგრაფია

Hwang, C. L., & Yoon, K. (1981). *Multiple Attribute Decision Making: Methods and Applications*. New York: Springer-Verlag.

Hwang, C. L., Lai, Y. J., & Liu, T. Y. (1993). A new approach for multiple objective decision making. *Computers and Operational Research*, 20 (8), 889–899.

Kaufmann, D., & Kraay, A. (2023). *Worldwide Governance Indicators*. 2023 Update (www.govindicators.org)

Solability, 2023 Global Sustainability Rankings. https://solability.com/the-global-sustainable-competitiveness-index/the-index

TheGlobalEconomy.com (n.d.). *Country rankings.* https://www.theglobaleconomy.com /rankings/GDP_per_capita_PPP/

Trading Economics (n.d.). *Countries*. https://tradingeconomics.com/indicators

Yoon, K. (1987). A reconciliation among discrete compromise situations. *Journal of the Operational Research Society*, 38 (3), 277–286.

Levan Midodashvili, Nikoloz Midodashvili
Gori State University

DETERMINATION OF THE INTEGRATED RATING INDICATOR OF GOVERNANCE

RESUME

The paper presents a model for ranking countries according to successful governance, which provides an opportunity to take into account the results of research conducted by various authoritative international organizations. In this model, which is based on the TOPSIS multi-criteria decision analysis method, the ranking results are described by means of one parameter - the integrated ranking indicator of governance success.

Key words: *Governance, Ranking, Multi-criteria decision.*

ეთერი ორმოცაძე-მახარაძე
აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი

განსაზღვრულობის სპეციფიკისათვის

საკვანძო სიტყვები: დეტერმინაცია, მიზეზობრიობა, კატეგორია, აუცილებლობა, შედეგი, მეტაფიზიკური, პირობა, საფუძველი, თვითსაფუძველი, კანონზომიერება, სუბსტანცია, თვითმიზეზობრიობა, მარადიულობა.

ყოველი განსაზღვრულობა შეიძლება დაიყოს მიზეზობრივ და არამიზეზობრივ დეტერმინაციებად, ანუ განსაზღვრულობებად, რომლებიც მოქმედებენ ობიექტურ სამყაროში. მიზეზობრივ დეტერმინაციაში არსებით როლს თამაშობს მიზეზობრიობის კატეგორია. იგი რეალური სინამდვილის უმრავლესი პროცესების აღწერის საშუალებაა, რის გამოც მიზეზობრიობა, როგორც ფილოსოფიის, ისე ფიზიკის მეცნიერების ერთ-ერთი ურთულესი პრობლემაა. აღნიშნულ კატეგორიას ჩვენ შევეხებით მხოლოდ და მხოლოდ დეტერმინიზმის თვალსაზრისით.

ბუნების საგნები და მოვლენები მრავალგვარ კავშირში იმყოფებიან. კავშირის ერთ სახეს წარმოადგენს მიზეზობრიობა. კავშირები თავიანთი მნიშვნელობით სხვადასხვაა. მიზეზობრიობა აუცილებელი კავშირია, მაგრამ მხოლოდ მიზეზობრივი კავშირები როდია აუცილებელი. წინააღმდეგ შემთხვევაში მიზეზობრიობა და აუცილებლობა ერთმანეთს დაემთხვეოდა. აუცილებლობითაა დაკავშირებული პირობა და საფუძველი შედეგთან. ახალ ფილოსოფიაში მეტაფიზიკური მატერიალიზმის წარმომადგენლების მიერ შემუშავებული მონოკაუზალიზმის კონცეფციის მიხედვით მიღებული იყო, რომ ობიექტური სინამდვილე დეტერმინირებულია ცალსახა მიზეზობრივი დამოკიდებულებით, სადაც გამოირიცხებოდა ყოველგვარი პირობა, როგორც მატერიალური განმსაზღვრელი ფაქტორი. შემდეგში კი შეიქმნა სრულიად საწინააღმდეგო თვალსაზრისი, რომელიც აქტიური მადეტერმინირებელი ფაქტორის როლში ასახელებს პირობებს (ჯ. ს. მილი). ჯ. ს. მილს მიზეზი დაჰყავს პირობათა ჯამზე, უფრო ზუსტად - პირობებამდე. ეს კი ნიშნავს მიზეზისა და პირობის არა იგივეობას (მაშინ გვექნებოდა მიზეზი ანუ პირობა), არამედ მიზეზის განდევნას, მის გაუქმებას. ამ საკითხთან დაკავშირებით კიდევ უფრო შორს წავიდა კონდიციონალიზმის წარმომადგელი მაქს ფერვორნი. მისი აზრით, მიზეზობრიობის ცნება არამეცნიერულია. იგი მოუხმარებადია მეცნიერული შემეცნებისათვის. მეცნიერული კვლევა არ საჭიროებს მიზეზის ცოდნას. მეცნიერების ვალია გაარკვიოს მოვლენებს შორის კანონზომიერი დამოკიდებულებანი, რომლებიც გაშუალებულია მატერიალური პირობებით. მაშასადამე, საძიებელია არა მიზეზები, არამედ კანონზომიერებანი პირობებს შორის. ამასთანავე, ავტორს მიაჩნია, რომ ყველა კანონზომიერი პირობა ერთნაირი ღირებულებისაა. ასე, რომ პირობებს შორის განსხვავება არ არსებობს. ისინი ყველა ერთნაირად აუცილებელია. ამასთანავე, პირობით კანონზომიერებად გაგებული იყო ცდა, ხოლო მიზეზობრივი კანონზომიერება, როგორც

სპეკულაციური მისტიკა. მაშასადამე, ფერვორნთან მიზეზობრიობა მისტიკური, უსარგებლო ცნებაა. ამიტომ იგი მოითხოვდა მის ამოღებას მეცნიერებიდან (Ферворн, 1909: 14).

მიზეზის გაიგივება პირობასა და საფუძველთან მაშინ იქნებოდა გამართლებული, თუ აუცილებლობას დავიყვანდით მიზეზობრიობამდე. მაგრამ პირობა და საფუძველი სპეციფიკური მადეტერმინირებული ფაქტორებია. სწორედ პირობათა ეს თვისება ჰქონდა მხედველობაში პოზიტივისტ ჯ. ს. მილს, როცა მან მიზეზი პირობათა ჯამად გაიგო. მისი აზრით, მიზეზი თავისთავად ვერ წარმოშობს შედეგს; პირობის გარეშე იგი პასიურია. ამიტომ მიზეზი უდრის მადეტერმინირებელ პირობებს. იგი გულისხმობს როგორც დადებით, ისე უაყოფით პირობებს.

ჰეგელი ერთმანეთისაგან განასხვავებს პირობასა და მიზეზს.

პირობის მიმართ ახალი სინამდვილე (შედეგი) გამოდის როგორც განპირობებული. პირობა - შედეგი მოიაზრება როგორც განპირობებულ-განმაპირობებელი. პირობა თავისთავად აქტიური ფაქტორის (მიზეზი) გარეშე ვერ წარმოშობს სინამდვილეს. იგი საშენი მასალაა მიზეზისათვის, რათა წარმოიშვას შედეგი. ამიტომ იყო, რომ ჰეგელი მიზეზსა და პირობას სხვადასხვა როლს მიაწერდა შედეგის წარმოშობაში.

მართლაც აქტიური მიზეზი არ შეიძლება იყოს აქტიური თავისთავად. მას არ გააჩნია აბსოლუტური აქტივობის უნარი. იგი ვერ იფუნქციონირებს, ვერ წარმოშობს შედეგს პირობების გარეშე. ამიტომ მიზეზის ცნებაში იმთავითვე უნდა ვიგულისხმოთ პირობებიც.

როგორია საფუძვლის მიმართება მიზეზისადმი? ისტორიულად აუცილებლობა და მიზეზობრიობა იგივურ ცნებებად ითვლებოდა; ამიტომ მიზეზობრივად გაგებული იყო საფუძველიც. „არც ერთი საგანი არ წარმოიშობა უმიზეზოდ, არამედ ყველაფერი წარმოიშობა რაიმეს საფუძველზე და აუცილებლობით" (Маковельский, 1946: 229), - ამბობდა ლევკიპე. ასეთივე მდგომარეობა გვაქვს არისტოტელესთან. ოთხი მიზეზიდან (მატერიალური, ფორმალური, მოქმედი, მიზნობრივი) მიზეზი არის მხოლოდ მიზნობრივი მიზეზი. პირობა არის მშენებელი (მოქმედი მიზეზი), საშენი მასალა - მატერიალური მიზეზი, ხოლო ფორმალური მიზეზი კი გამოდის საფუძვლის როლში.

საფუძვლისა და მიზეზის გაიგივებას ვხვდებით ახალი დროის ფილოსოფოსებთან - დეკარტესა და სპინოზასთან. სპინოზასთან ტერმინები "causa", "ratio", იხმარება ერთმანეთის ნაცვლად. იგი ხმარობს გამოთქმასაც - (causa sive ratio - რაც იმას ნიშნავს, რომ მიზეზისა და შედეგის დამოკიდებულება ისეთივეა, როგორიც საფუძვლის დამოკიდებულება მის გამომდინარეობასთან. მაშასადამე, აქ საფუძველი გაგებულია, როგორც შედეგის აუცილებელი პირობა. მართლაც, თუ ეს ასეა, მაშინ შედეგი და პირობა ტოლმნიშვნელოვანი ცნებები ყოფილა. ცნებათა ტოლმნიშვნელობიდან გამოდის მათი იგივურობა. მაშასადამე, საფუძველი შედეგის აუცილებელი პირობაა, ამდენად სპინოზასთან საფუძველი მიზეზის ტოლმნიშვნელოვანი ცნებაა.

შედეგის წარმოშობისათვის მიზეზთან ერთად არსებითია პირობაც და საფუძველიც; სადღაც ჭირს მათი როლის გარჩევა შედეგისათვის. მიზეზიც და საფუძველიც გარკვეული აზრით პირობებია. ამიტომ იყო, რომ მიზეზი, პირობა და შედეგი ერთი და იგივე ცნებებად მიაჩნდათ. მართლაც, მიზეზის გარეშე შედეგი არ წარმოიშობა. ე. ი. მიზეზი აუცილებელი პირობაა შედეგის წარმოშობისათვის (მიზეზი აქ პირობას ემთხვევა). ასევე, საფუძველიც თავის მხრივ პირობაა (შედეგი ემყარება საფუძველს). გარკვეული აზრით, მიზეზიც საფუძველია შედეგისათვის. ე. ი. საფუძველიც გამოდის მიზეზის როლში. მაგრამ იმის მტკიცება, რომ პირობა, როგორც საფუძველი შეიძლება მიზეზად ჩაითვალოს ნიშნავს მიზეზობრიობის დაყვანას ისეთ არამიზეზობრივ დეტერმინაციაზე, როგორიცაა საფუძველი და პირობა. ასეთ შემთხვევაში მიზეზთან ერთად განმსაზღვრელის როლში გამოდის საფუძველიც და პირობაც.

მიზეზი, პირობა და საფუძველი ცალ-ცალკე აღებული აუცილებელია შედეგის წარმოშობისათვის. მაგრამ აუცილებლობა არ ნიშნავს საკმარისობას. ყველა ისინი ცალ-ცალკე აღებული არასაკმარისი პირობაა შედეგის მიღებისათვის. მიზეზი, პირობა და საფუძველი მხოლოდ ერთად წარმოადგენენ აუცილებელ და საკმარის პირობას. მაგრამ არ უნდა ვიფიქროთ, რომ მათ შორის განსხვავება არ იყოს. მიზეზი მაინც რჩება აქტიურ, მოქმედ, განმსაზღვრელ ფაქტორად საფუძველსა და პირობასთან შედარებით. თავის მხრივ, პირობაც შედეგისათვის არსებითია, ხოლო შედეგი, როგორც ახალი სინამდვილე გარკვეული აზრით პირობის შინაარსიცაა. პირობა არაა აქტიური. მას თავისთავად არ შეუძლია წარმოშვას შედეგი. იგი შეიძლება შევადაროთ არისტოტელეს მატერიალურ მიზეზს, საიდანაც აქტიური მიზეზი ქმნის შედეგს. მხოლოდ მიზეზის ჩათვლა შეიძლება იმ ძალად, რომლითაც ხდება პირობის შინაარსის გარდაქმნა ახალ სინამდვილედ.

რაში მდგომარეობს მიზეზობრიობის სპეციფიკა? ანუ ის კრიტერიუმი, რომლითაც შეიძლება განვასხვაოთ მიზეზობრივი განსაზღვრულობა არამიზეზობრივისაგან? მიზეზობრიობის კრიტერიუმი წარმოშობაში მდგომარეობს. მიზეზ-შედეგობრივი კავშირი გვაქვს იქ, სადაც წარმოშობას აქვს ადგილი. თუ A B-ს მიზეზია, მაშინ A აუცილებლობით წარმოშობს B-ს. გენეტიკურობა არის ის სპეციფიკური

ნიშანი, რომლითაც მიზეზობრივი დეტერმინაცია განსხვავდება სხვა დეტერმინაციული კავშირებისაგან. მიზეზობრიობა, როგორც გამოწვევა მოიაზრება, როგორც მოქმედების გადაცემა მიზეზიდან შედეგზე. მოქმედება კი წარმოიდგინება, როგორც მატერიალური განსაზღვრულობის, ჩვენს შემთხვევაში ძალის სახით. მაშასადამე, ძალები ისეთი მატერიალური მიზეზებია, რომელთა გადაცემა შეიძლება „მიზეზები..., წერს ნიუტონი, - არიან ის ძალები, რომლებიც სხეულზე უნდა გამოვიყენოთ, რათა მოძრაობა წარმოვშვათ" (Ньютон, 1936: 34). გავარკვიოთ რა როლს ასრულებს ძალის ცნება მიზეზობრიობის კატეგორიაში. ძალის გადაცემა საგნიდან საგანზე ხდება ყოველი შუამავალი პუნქტის გავლით. ე. ი. არა მყისიერად (დროის გარეშე), არამედ რაღაც დროის მანძილზე. დრო მიზეზისა და შედეგის გამაცალკავებელია. ეს კი იმთავითვე გამორიცხავს წარმოდგენას მიზეზისა და შედეგის ერთდროულობაზე, როგორც ეს შესაძლებლად მიაჩნდათ ძველ საბერძნეთსა და ახალ დროში. ზემოთ აღნიშნული ერთდროულობის დაშვება აუქმებს მატერიალურ მიზეზს, მარლთაც, თუ ძალის მოქმედების გადაცემა გაუქმდება, მაშინ ლოგიკურად ვღებულობთ შედეგის გაუქმებასაც. თუ ძალის მოქმედების ამოღებას მაინც ახლავს შედეგის წარმოშობა, მაშინ ამ უკანასკნელს მხოლოდ და მხოლოდ ფატალური არსებობა შეიძლება მიეწეროს. ამრიგად, ერთდროულობა მიზეზობრიობის საწინააღმდეგოა. ერთდროული ხდომილებებიდან ერთიმეორისადმი წინსწრება გამორიცხულია, ამიტომ ერთი არ შეიძლება იყოს მეორის მიზეზი.

დროის ამოგდებამ მიზეზ-შედეგობრივი კავშირიდან მიზეზობრიობა დაიყვანა ფუნქციურ მიმართებებზე. მიზეზობრივი კავშირი კი გენეტური კავშირია და არა უბრალო ფუნქციური დამოკიდებულება. ფუნქციურ მიმართებებში ადგილი აქვს არა ფუნქციის შექმნას, არამედ მის თანადროულობას არგუმენტთან. ასევე ფუნქციათა ნაწილი ასიმეტრიულობის ბუნებისაა. ე. ი. არა მარტო არგუმენტს შეესაბამება (იწვევს) ფუნქცია, არამედ პირიქითაც ხდება. მიზეზ-შედეგობრივ კავშირში კი მიზეზობრიობის ელემენტები ერთმანეთს ადგილს არ უცვლიან; შედეგი არასდროს არ გამოვა მისივე გამომწვევი მიზეზის როლში, იგი სხვა მოვლენის მიზეზი შეიძლება გახდეს და ა. შ.

მოვლენათა ერთდროულობა აუქმებს მიზეზობრიობას იმ გაგებითაც, რომ ხდომილობები შედეგებად იწოდებიან მხოლოდ წინ მსწრებ მოვლენებთან მიმართებაში. ხდომილობათა ერთდროულობის შემთხვევაში (თუ დავუშვებთ, რომ მიზეზობრიობა მაინც არსებობს) არ შეიძლება ერთდროული მოვლენებიდან მითითება მიზეზებზე ან შედეგებზე, ე. ი. ვერ გამოვყოფთ რომელიმე მიზეზ-შედეგობრივ წყვილს; ან კიდევ, ერთდროულ მოვლენებში, რამდენადაც მათი წარმოდგენა არ შეიძლება მიზეზ-შედეგობრივი კავშირების სახით, ყველა მოვლენა შეიძლება ჩავთვალოთ ფატალურ შედეგებად, რომელთა მიზეზები არ არსებობენ. მაშასადამე, ერთდროული მოვლენების დაშვება აუქმებს მიზეზობრიობას. ეს უკანასკნელი კი განვითარების უარყოფას ნიშნავს. აი, ასეთ წინააღმდეგობებამდე მივყავართ მიზეზ-შედეგობრივი კავშირიდან ძალის ცნების განდევნას არადა პოზიტივიზმი თავისი წარმოშობის დღიდან ცდილობდა ძალის ცნების განდევნას ფიზიკიდან. „ძალის ცნების უკუგდება ფიზიკიდან - წერს მ. ჯემერი - მეცნიერებას გაათავისუფლებს მიზეზობრიობის ბორკილებისაგან, მიზეზობრიობისაგან, რომელიც „წინამეცნიერული ფეტიშიზმის ყველაზე აკვიატებულ ნაშთს წარმოადგენს" (Jammer, 1957: 15). პოზიტივისტების მიერ ძალის ცნების განდევნას მოჰყვა ის, რომ მიზეზობრიობა დაყვანილ იქნა ცვლადებს შორის მიმართებებზე. მართლაც, თუ დავდგებით პოზიტივისტების თვალსაზრისზე და თუ ვიტყვით, რომ ძალა ზედმეტია მიზეზობრიობისათვის, მაშინ მიზეზობრიობა მისტიკური გახდება და ამდენად, ზედმეტიც მეცნიერებისათვის.

ძალის ცნება ფიზიკიდან ხომ არ შეიძლებოდა განდევნილიყო იმ მიზნით, რომ დაკმაყოფილებულიყო პერიპატეტელების მოთხოვნა - causa cessante cessat effectus (მიზეზის შეწყვეტას თან ახლავს შედეგის შეწყვეტაც); ან კიდევ, იქნებ შედეგის არსებობის გახანგრძლივების მიზნით იქნა ამოღებული ძალის ცნება მიზეზობრიობიდან. როგორც აღვნიშნეთ, ძალის განდევნა მიზეზ-შედეგობრივი კავშირიდან ნიშნავს იმას, რომ მიზეზიდან შედეგის წარმოშობა ხდება მყისიერად. ანუ შედეგი არსებობას იწყებს მიზეზთან ერთად. აქ გვექნება არა გენეტურობა, არამედ შესაბამისობა. ასევე მიზეზი და შედეგი კარგავენ განმასხვავებელ ნიშნებს. ე. ი. მიზეზობრიობის ნაცვლად ვღებულობთ ცვლადებს შორის წმინდა ფორმალურ დამოკიდებულებას, რის გამოც მიზეზობრიობა რეალობიდან გადადის მათემატიკისა და ლოგიკის სფეროში. მაშასადამე, გენეტურობა აუცილებლობით თხოულობს, რომ მიზეზობრიობა განვიხილოთ როგორც ძალის გადაცემა ერთი სხეულიდან მეორეზე.

მიზეზობრივი დეტერმინაციის სპეციფიკის გარკვევის შემდეგ უნდა გაირკვეს საკითხი იმის შესახებ, თუ რას შეიძლება ეწოდოს უმიზეზო. როგორც ვნახეთ, მიზეზობრიობა მოვლენებს შორის ისეთი აუცილებელი კავშირია, რომელსაც თან ახლავს ახლის წარმოშობა. ემპირიული სამყარო მარადიულ მოძრაობასა და ცვალებადობაში იმყოფება. ერთი მოვლენა არის მეორე მოვლენის მიზეზი, ეს უკანასკნელი კი სხვა მოვლენის მიზეზი და ა. შ. უსასრულოდ. მიზეზობრივი ჯაჭვის ღიაობა გამორიცხავს უმიზეზო მოვლენის არსებობას. ყველა მოვლენას თავისი მიზეზი აქვს. როგორია ეს

მიზეზები თავისი ბუნებით? ცვალებადობას ბუნებაში დასაწყისი არ გააჩნია, ამიტომ ცვალებადობის მიზეზი ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში შეიძლება იყოს მხოლოდ სასრული. აქედან გამომდინარე, შედეგიც სასრული ობიექტია. გამოდის, რომ მიზეზობრიობა, როგორც საყოველთაო პრინციპი, მხოლოდ ცვალებად მოვლენებს შეეხება, ხოლო მარადიულს კი არ შეიძლება მიზეზი ჰქონდეს. მიზეზობრიობის პრინციპი რა თქმა უნდა, არ ეხება მარადიულს. ბუნებაში წარმავალი (მიზეზობრივი) მოვლენის გვერდით ადგილი აქვს თვითონ ცვალებადობის მარადიულობას. სხვანაირად, ბუნებაში ყველაფერი სასრულია, ცვალებადია. მარადიული და უცვლელი კი მხოლოდ ცვალებადობის პრინციპია. შეიძლება თუ არა დაისვას კითხვა ცვალებადობის საწყისის ანუ მიზეზის შესახებ? ან კიდევ, როგორ გვესმის ცვალებადობა? - როგორც შედეგი თუ პროცესი? ცვალებადობა შედეგად მიჩნეული იყო შოპენჰაუერთან. ამავე მიზეზით მასთან ცვალებადობის ამხსნელად გამოდიოდა მიზეზობრიობის პრინციპი. ეს კი ნიშნავდა ერთი საყოველთაო პრინციპის ახსნას მეორე საყოველთაო პრინციპით. ცვალებადობა არაა მიზეზის შედეგი, როგორც ეს მიაჩნდა შოპენჰაუერს. თუ ცვალებადობა შედეგია, მაშინ მისი როგორც პასიურის მიზეზი უნდა იყოს ისევ ცვალებადობა და არა უცვლელობა (მიზეზი ხომ აქტიურია). მაგრამ ცვალებადობა, როგორც აქტივობა თავისთავად შეიძლება იყოს სწორედ მიზეზი. მაგრამ აქ მაინც აუხსნელი დარჩა ცვლილების მიზეზი. მიზეზისა და შედეგის როლში ცვალებადობის ჩასმა მოითხოვს ისევ გაგრძელდეს დასაბუთება.

როგორია მარადიულის, როგორც სუბსტანციის დამოკიდებულება მიზეზობრიობასთან? სუბსტანცია, როგორც ობიექტური, უპირობო ანუ თავისთავად არსებული, თავისთავის მიზეზია. იგი უზოგადესია, არ არის ერთეული. ე. ი. იგი არ შეიძლება იყოს მიზეზობრივი ჯაჭვის ერთ-ერთი რგოლი, ამიტომ სუბსტანცია სხვით აუხსნელია, უმიზეზოა. იგი აიხსნება მხოლოდ თვითმიზეზობრიობით, იმიტომაც არ შეიძლება იყოს მიზეზობრიობა, რომ ეს უკანასკნელი აუცილებელ კავშირში მყოფ მოვლენათა თანამიმდევრობაა. ასეთი თანამიმდევრობა სუბსტანციაში სუბსტანციის ერთადერთობის გამო არ გვაქვს.

ზემოთქმულიდან შეიძლება დავასკვნათ, რომ თვითმიზეზობრიობას არაფერი არ აქვს საერთო მიზეზობრიობასთან, იგი არაა მიზეზობრიობის ფორმა, რადგანაც ასეთი დაშვება სუბსტანციის ცნებას გამორიცხავდა. ამ გარემოებას კარგად მიხვდა თავის დროზე სპინოზა. მასთან თვითმიზეზობრიობა თვითსაფუძველია. ეს იმას ნიშნავს, რომ სუბსტანცია თავისი თავის მიზეზი შეიძლება იყოს მხოლოდ თვითსაფუძვლის აზრით და არა წარმოშობის მიხედვით. სუბსტანცია ინარჩუნებს უნივერსალურ განსაზღვრულობას თავისი თავის, როგორც თვითსაფუძვლის საფუძველზე.

ბიბლიოგრაფია

ავალიანი, ს. (2004). XX საუკუნის ნატურფილოსოფია. თბილისი.

ავალიანი, ს. (1974). *ბუნებისმეცნიერების ფილოსოფია.* თბილისი.

Jammer, M. (1957). *Concepts of Force*. Cambridge.

Маковельский, А. О. (1946). *Древнографические атомисты*. Баку.

Ньютон, И. (1936). *Математические начала натуральной философии.* Москва. Ленинград.

Ферворн, М. (1909). *Вопрос о границах познания*. Москва.

Eter Ormotsadze

Akaki Tsereteli State University

FOR THE SPECIFICS OF DETERMINATION

REZUME

The causality is the necessary condition. Its specific sing is genetics. The grounds are similar to the grounds for wich the nature of the necessity is necessary but, unlike the origin, is not related to origin.Self-rule as selffoundation is not a form of reason. It can only prove that the condition of the substrate can only be expressed.

Key words: Determination, Causality, Category, Necessity, Consequence, Metaphysical, Condition, Basis, Self-ground, Regularity, Substance, Self-causality, Eternity.

მაკა სალხინაშვილი
გორის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ადმინისტრაციული საქმეების დისტანციურად განხილვის თავისებურებანი

საკვანძო სიტყვები: პანდემია, სხდომა, ადმინისტრაციული ორგანო.

1. შესავალი

კოვიდ-19 პანდემია უდიდესი გამოწვევა იყო მთელი მსოფლიოსთვის. მნიშვნელოვანი იყო საჯარო და კერძო სექტორის დისტანციურ სამუშაო რეჟიმზე გადასვლა, რაც თითქმის ორ წელზე მეტხანს გაგრძელდა.

საქართველოს მთავრობამ პანდემიის მასობრივი გავრცელების საფრთხის და ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის რეკომენდაციების გათვალისწინებით, საკუთარი კონსტიტუციური ვალდებულების შესრულების, მოსახლეობის სიცოცხლისა და ჯანმრთელობის დაცვის, მოსალოდნელი რისკების შემცირებისა და სიტუაციის მართვის უზრუნველსაყოფად ახალი რეგულაციები დააწესა. საქართველოს მთავრობამ კოვიდსიტუაციის მართვის მიზნით არაერთი კანონქვემდებარე აქტი მიიღო, მათ შორის 2020 წლის 23 მაისის #322 დადგენილება „იზოლაციისა და კარანტინის წესების დამტკიცების შესახებ“. ადმინისტრაციული ორგანოებსა და სასამართლო სისტემაში საქმეთა განხილვის დროს ახალი რეგულაციები დაწესდა.

2. კოვიდპანდემიის დროს ადმინისტრაციულ ორგანოებსა და სასამართლოებში საჯარო სხდომების ჩატარების პირობები

ადმინისტრაციულ ორგანოებსა და სასამართლოებს პანდემიის დროს თავიდან უნდა აეცილებინათ მათ სივრცეში ვირუსის გავრცელების საფრთხე ისე, რომ არ დარღვეულიყო საპროცესო ვადები. გამოსავალი მოიძებნა, ადმინისტრაციულმა ორგანოებმა და სასამართლოებმა საპროცესო ვადების დაცვით დაიწყეს დისტანციურად ტექნიკური საშუალებების გამოყენებით სხდომების ჩატარება. ისინი იყენებდნენ და იყენებენ პროგრამებს (ზუმი, გუგლი, ნექსუსი, თიმსი, ვებექსი და სხვა).

ადმინისტრაციულ ორგანოებში დისტანციურად სხდომების ჩატარება ისე ხდებოდა, რომ სამართლებრივად ეს საკითხი არ იყო მოწესრიგებული, თუმცა მოგვიანებით სხვადასხვა ადმინისტრაციულმა ორგანოებმა კანონქვემდებარე ნორმატიულ აქტებში ცვლილებები და დამატებები შეიტანეს.

3. ადმინისტრაციულ ორგანოებში საჯარო სხდომების ჩატარების სამართლებრივი რეგულირება

სამწუხაროდ, საქართველოს ზოგად ადმინისტრაციულ კოდექსში 2022 წლის 01 მაისის მდგომარეობით ამ მიმართულებით არ შესულა არანაირი ცვლილება დისტანციურად საჯარო სხდომების ჩატარების შესახებ, რაც ამ კოდექსის ერთ-ერთ ნაკლად შეიძლება ჩაითვალოს. პროფესორ მაკა სალხინაშვილის რეკომენდაციით, ჯერ კიდევ 2021 წლის დასაწყისში ჟურნალში ,,მართლმსაჯულება და კანონი“ (სალხინაშვილი, 2021: 9) გამოთქმული იყო მოსაზრება საქართველოს ზოგად ადმინისტრაციულ კოდექსში დისტანციურად საჯარო სხდომების ჩატარების შესაძლებლობის შესახებ ცვლილების შეტანის თაობაზე, თუმცა აღნიშნული რეკომენდაცია არ იქნა გათვალისწინებული საკანონმდებლო დონეზე.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 35^1-ე მუხლი შეეხება მართვის ერთიანი ავტომატური საშუალებებით საქმისწარმოების საკითხებს, თუმცა ამ მუხლის შინაარსი პირდაპირ არ გულისხმობს დისტანციურად სხდომების ჩატარებას. აღნიშნული ცვლილება შევიდა 2012 წელს და შემდგომ დაიხვეწა 2017 წელს. მითითებული მუხლის თანახმად, ადმინისტრაციული ორგანო უფლებამოსილია საქმისწარმოებისა და ინფორმაციის ხელმისაწვდომობის მიზნით გამოიყენოს პროგრამული უზრუნველყოფა და მართვის ერთიანი ავტომატური საშუალებები; მიმაჩნია, რომ დასახელებულ მუხლს უნდა დაემატოს მეორე ნაწილი, სადაც აღნიშნული იქნება დისტანციურად სხდომების ჩატარების შესახებ.

აღსანიშნავია, რომ ზოგიერთ სპეციალურ ნორმაში დისტანციურად საჯარო სხდომების ჩატარების შესახებ დანაწესი გაკეთდა. კერძოდ, საქართველოს კანონში ,,ენერგეტიკისა და წყალმომარაგების შესახებ“ ცვლილება შევიდა 2021 წლის 22 დეკემბერს და 22^1-ე მუხლში (საქართველოს კანონი ენერგეტიკისა და წყალმომარაგების შესახებ, 2019, მუხლი 22^1) ჩაიწერა, რომ კომისია უფლებამოსილია სხდომა ჩაატაროს დისტანციურად, კომუნიკაციის ელექტრონული საშუალების გამოყენებით, ისე, რომ

დაინტერესებული პირებისთვის უზრუნველყოფილი იყოს ადმინისტრაციულ წარმოებაში კომუნიკაციის ელექტრონული საშუალებით მონაწილეობის შესაძლებლობა.

4. საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციისა და საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის კვლევები დისტანციურად საქმეთა განხილვებთან მიმართულებით

ცნობილია, რო საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციამ (შველიძე, 2020) და საქართველოს სახალხო დამცველმა (საქართველოს სახალხო დამცველი, 2020) გამოაქვეყნეს ანგარიში სასამართლო პანდემიის პირობებში, დისტანციური სამართალწარმოების კუთხით არსებული გამოწვევების შესახებ, სადაც მხოლოდ სისხლის საპროცესო საქმეებზე ჩატარებული მონიტორინგის შესახებ არის საუბარი. კარგი იქნებოდა მსგავსი მონიტორინგი ჩატარებულიყო ადმინისტრაციულ ორგანოებში და სასამართლოებშიც, ადმინისტრაციული საქმეების განხილვის დროსაც.

5. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს დადგენილება საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს სხდომების დისტანციურად ჩატარების თაობაზე. საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის დადგენილება საჯარო სხდომების დისტანციურად გამართვის შესახებ.

მნიშვნელოვანია ასევე საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს პლენუმის 2020 წლის 07 დეკემბრის დადგენილება 127/1 საკონსტიტუციო სასამართლოს რეგლამენტში დამატებების შეტანის თაობაზე, კერძოდ, 20^1-20^6 მუხლების დამატება, რომელიც შეეხება გადაწყვეტილებას საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს სხდომის დისტანციურად ჩატარების თაობაზე. (საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო, 2020) დასახელებული ცვლილებების თანახმად, განსაკუთრებული ვითარების არსებობისას განმხილველი კოლეგია/პლენუმი უფლებამოსილია მიიღოს გადაწყვეტილება კონსტიტუციური სარჩელის განმწესრიგებელი ან/და არსებითი განხილვის სხდომის ზეპირი მოსმენის დისტანციურად, ტექნიკური საშუალების გამოყენებით გამართვის თაობაზე. გადაწყვეტილება სავალდებულოა ეცნობოთ მხარეებს და მხოლოდ მათი თანხმობის მიღების შემდეგ დასაშვებია სხდომის დისტანციურად გამართვა. დისტანციურად გასამართი ზეპირი მოსმენის თარიღს განსაზღვრავს კოლეგიის/პლენუმის თავმჯდომარე. დისტანციური სხდომა მიმდინარეობს ტექნიკური საშუალების გამოყენებით, რომელიც საქმის განხილვის მონაწილეებს აძლევს ერთმანეთთან აუდიო და ვიდეო კომუნიკაციის რეალურ დროში დამყარების შესაძლებლობას. დისტანციური სასამართლოს სხდომა არის ღია და პირდაპირი ტრანსლირების გზით გადაიცემა საჯაროდ. მითითებულ მუხლებში დეტალურად და ამომწურავად არის ასახული საკონსტიტუციო სასამართლოში დისტანციურად სხდომების გამართვის წესი და პირობები.

რაც შეეხება ადმინისტრაციულ ორგანოებში დისტანციურად სხდომების ჩატარების შესახებ სამართლებრივ რეგულირებას მნიშვნელოვანია საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის (შემდგომში ,,სემეკი“) ორ დადგენილებაში ცვლილებების და დამატებების შეტანა.

სემეკის 2021 წლის 13 მაისის #9 დადგენილებაში ,,საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის მიერ ადმინისტრაციული წარმოების განხორციელების დებულება“ შევიდა ცვლილება 2022 წლის 28 თებერვალს, კერძოდ, დებულებას დაემატა 22^1 მუხლი (საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისია, 2021: მუხლი 22^1), სადაც აღნიშნულია, რომ კომისიის სხდომა, შესაძლებელია, ჩატარდეს დისტანციურად, ვიდეოკონფერენციის მეშვეობით. კომისიის დისტანციურად ჩატარებულ სხდომაზე უზრუნველყოფილი უნდა იყოს დამსწრე პირების, მათ შორის, კომისიის წევრების ერთდროული აუდიო და ვიდეოკავშირი ელექტრონული კომუნიკაციის საშუალებების გამოყენებით.

შესაძლებელია ასევე კომისიის ერთი ან მეტი წევრი კომისიის სხდომაში მონაწილეობდეს დისტანციურად. დაინტერესებულ მხარეებს კომისიის სხდომის დისტანციურად ჩატარების თაობაზე ეცნობებათ დებულებით გათვალისწინებული წესით.

„დავების განხილვის წესების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის 2020 წლის 4 ივნისის №24 დადგენილებაში შევიდა ცვლილება 2022 წლის 28 აპრილს, კერძოდ, დადგენილებას დაემატა 18^1 მუხლი და ასე ჩამოყალიბდა (საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისია, 2022: მუხლი 18^1): კომისიის სხდომა, შესაძლებელია, ჩატარდეს დისტანციურად, ვიდეოკონფერენციის მეშვეობით, კომისიის 2021 წლის 13 მაისის №9 დადგენილებით დამტკიცებული „საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის მიერ ადმინისტრაციული წარმოების განხორციელების დებულების“ 20^1 მუხლით გათვალისწინებული მოთხოვნების დაცვით. იმ შემთხვევაში, თუ დაინტერესებულ პირს არ აქვს ტექნიკური შესაძლებლობა მონაწილეობა მიიღოს კომისიის დისტანციურად ჩატარებულ სხდომაში, შესაბამისი მოთხოვნის

საფუძველზე კომისია უზრუნველყოფს სხდომაში მის მონაწილეობას კომისიის ადმინისტრაციული შენობიდან.“

აღნიშნული დანაწესი დაინტერესებულ მხარეს უფლებას აძლევს საჯარო სხდომას დაესწროს ან დისტანციურად მიიღოს მონაწილეობა საქმის განხილვისას. მიგვაჩნია, რომ აღნიშნული ცვლილება მნიშვნელოვანია.

საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის თანახმად, კომუნალური საწარმოები დელეგირებული უფლებამოსილების საფუძველზე იხილავენ ადმინისტრაციულ გადაცდომებს საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 96[1] და 149-ე მუხლების შესაბამისად. პანდემიის პირობებში ეს ორგანოები ადმინისტრაციულ სამართალდარღვევებს იხილავდნენ და იხილავენ დისტანციურად, პლატფორმა ზუმის გამოყენებით. მათ მიერ მიღებული დადგენილება საჩივრდება სემეკში, ხოლო სემეკის მიერ გამოტანილი ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ სამართლებრივი აქტი საჩივრდება სასამართლოში. 2020-2021 წლის არცერთი გასაჩივრებული საქმე უკან არ დაბრუნებია კომუნალურ საწარმოს ხელახლა განსახილველად, არ გაუქმებულა დადგენილება იმ საფუძვლით, რომ სხდომები იმართებოდა დისტანციურად.

6. საზღვარგარეთის რამდენიმე ქვეყნის პრაქტიკა დისტანციურად სხდომების გამართვის თაობაზე

საინტერესოა ასევე ადმინისტრაციული სამართალწარმოების წარმართვა დისტანციურად როგორ ხდებოდა საზღვარგარეთის ქვეყნებში, მაგალითად, 2021 წლის 01 თებერვალს საგადასახადო საქმეებზე მიჩიგანში პრაქტიკაზე დაყრდნობით შემუშავდა გარკვეული რეკომენდაციები, რომლებიც აისახა მიჩიგანის ადმინისტრაციული მოსმენის წესი (Michigan office of administrative hearings and Rules, 2022). აღნიშნული წესის 121-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, ადმინისტრაციული სამართლის მოსამართლეებს მიეცათ უფლება ნაწილობრივ ან მთლიანად ვიდეოკონფერენციის ან სხვა ელექტრონული საშუალებებით ჩაატარონ სხდომები. (Michigan office of administrative hearings and Rules, 2022, მუხლი 121) დისტანციური მოსმენები ტარდება პერსონალური მონაცემების სრული დაცვით. გამოიყენება ზუმის და თიმსის პლატფორმა. აღნიშნულ წესში დეტალურად არის გაწერილი ამ პლატფორმების მეშვეობით დისტანციური სხდომების ჩატარების წესი, რაც ეხმარება საქმის განმხილველ პირს სხდომის ობიექტურად ჩატარებაში. კოვიდპანდემიის დროს, 2022 წლის 22 მარტს ტეხასის უზენაესმა სასამართლომ გამოსცა #29 ბრძანება გადაუდებელ საკითხებთან დაკავშირებით. მითითებული ბრძანების შესაბამისად, შესაძლებელი იყო ვიდეოკონფერენციის საშუალებით საქმეზე მოსმენა, მოწმის დაკითხვა და სხვა. (Forty-Ninth Emergency Order Regarding the COVID-19 State of Disaster#22 -9022)

სასამართლოებში დისტანციურად სხდომების ჩატარების შესახებ საინტერესო ნაშრომი გამოქვეყნდა უკრაინის ეკონომიკისა და ტექნოლოგიების სახელმწიფო უნივერსიტეტში, რომელიც შეეხება უკრაინაში დისტანციური სამართალწარმოების სამართლებრივი რეგულირებას და მისი გაუმჯობესების მექანიზმების შეთავაზებას (Yamkovyi, Telychko, Mima & Ivaniuk, 2021). აღნიშნული ნაშრომი არ ეხება ადმინისტრაციულ ორგანოებში დისტანციურად საქმეთა განხილვას.

გამოქვეყნდა ასევე აშშ-ში ადმინისტრაციულ კონფერენციაზე ჯერემი გრაბოიესის ნაშრომი ადმინისტრაციული სასამართლოებში მოსმენების შესახებ. სტატიაში ძირითადად საუბარია სასამართლოებში დისტანციურად საქმეების განხილვაზე და ადმინისტრაციულ ორგანოებში საქმეთა განხილვა არ არის მსჯელობის საგანი. (Graboyes, 2020)

IBA-ს საპროცესო კომიტეტის თანათავმჯდომარეების ანჯელო ანგლანი და ტიმ სტრონგის მიერ მომზადდა საინტერესო კვლევა (International Bar Association, 2020), სადაც ასევე საუბარია, მხოლოდ სასამართლოებში საქმეთა განხილვაზე კოვიდპანდემიის პირობებში. მითითებულ კვლევაში განხილულია 36 ქვეყნის სასამართლო პრაქტიკა და ნაშრომი პროდუქტიულია, თუმცა ადმინისტრაციულ ორგანოებში საქმეთა განხილვის შესახებ არც ამ კვლევაშია საუბარი.

აღსანიშნავია, რომ ჩატარებული კვლევები და სამეცნიერო ნაშრომები ძირითადად სასამართლოებში დისტანციურად საქმეთა განხილვას ეხება.

7. დასკვნა

ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით:

- ადმინისტრაციულმა ორგანოებმა უნდა იზრუნონ შესაბამის აქტებში ცვლილებების და დამატებების შეტანა, მიუხედავად იმისა, რომ პანდემია დასრულდა და არავინ იცის კიდევ როდის განმეორდება;
- კარგი იქნება თუ საქართველოს ზოგად ადმინისტრაციულ კოდექსში შევა ცვლილება დისტანციურად ადმინისტრაციული სხდომების ჩატარების შესახებ.
- მიგვაჩნია, რომ საქართველოს საკანონმდებლო აქტებსა და კანონქვემდებარე აქტებში სრულყოფილად არ არის ასახული დისტანციურად სხდომების ჩატარების შესახებ;

➢ პანდემიის პირობებში ჩატარდა რამდენიმე კვლევა (ამ კვლევებს არასამთავრობო ორგანოები ატარებდნენ) დისტანციურად სხდომების ჩატარების შესახებ, ეს კვლევები ეხებოდა ძირითადად სასამართლოებში სხდომების დისტანციურად ჩატარების საკითხებს და არსებულ გამოწვევებს, თუმცა ამ კვლევებში არსად არ იყო ცალკე თავად გამოყოფილი ადმინისტრაციულ ორგანოებში დისტანციურად სხდომების ჩატარების დროს გამოვლენილი ხარვეზები და პრობლემები, რაც ჩემი აზრით, მნიშვნელოვანია და შესაბამისი უწყებები უნდა დაინტერესდნენ აღნიშნული საკითხით;

➢ საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 35[1] მუხლს უნდა დაემატოს მეორე ნაწილი, რომელიც ჩამოყალიბდება შემდეგი რედაქციით: ,,ადმინისტრაციული ორგანოები უფლებამოსილნი არიან საჭიროების შემთხვევაში გამართონ სხდომები დისტანციურად".

ბიბლიოგრაფია

სალხინაშვილი, მ. (2021). ადმინისტრაციულ ორგანოებში საჯარო სხდომების განხილვა დისტანციურად, პრობლემები და გამოწვევები. *მართლმსაჯულება და კანონი.* 1. მოძიებულია ვებგვერდიდან: https://www.supremecourt.ge/files/upload-file/pdf/martlmsajuleba-da-kanoni-2021w-n1.pdf (წვდომის თარიღი 10 მაისი, 2022).

საქართველოს ადვოკატთა ასოციაცია. (2020 წლის 21 მარტი). *ადვოკატთა ასოციაციის მნიშვნელოვანი განცხადება. დისტანციური სასამართლო სხდომების ჩატარების შესახებ.* მოძიებულია ვებგვერდიდან: https://gba.ge/ka/მედია-ცენტრი/სიახლეები/ადვოკატთა-ასოციაციის-მნიშვნელო.html (წვდომის თარიღი 10 მაისი, 2022).

საქართველოს კანონი ენერგეტიკისა და წყალმომარაგების შესახებ 2019. (#5646-რს). მოძიებულია ვებგვერდიდან: https://matsne.gov.ge/document/view/4747785?publication=9 (წვდომის თარიღი 10 მაისი, 2022)

საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისია. (2022). *საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის 2022 წლის 28 აპრილის დადგენილება №21 „დავების განხილვის წესების დამტკიცების შესახებ" საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის 2020 წლის 4 ივნისის №24 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ.* (#21). მოძიებულია ვებგვერდიდან: https://matsne.gov.ge/ka/document/view/5454563?publication=0 (წვდომის თარიღი 10 მაისი, 2022).

საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისია. (2021). *საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის 2021 წლის 13 მაისის დადგენილება №9 საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის მიერ ადმინისტრაციული წარმოების განხორციელების დებულების დამტკიცების შესახებ.* (#9). მოძიებულია ვებგვერდიდან: https://matsne.gov.ge/ka/document/view/5167577?publication=0 (წვდომის თარიღი 10 მაისი, 2022)

საქართველოს კანონი საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსი 1997. (#1106). მოძიებულია ვებგვერდიდან: https://matsne.gov.ge/document/view/29962?publication=149 (წვდომის თარიღი 10 მაისი, 2022)

საქართველოს კანონი საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი 1999. (#2181). მოძიებულია ვებგვერდიდან: https://matsne.gov.ge/ka/document/view/16270?publication=39 (წვდომის თარიღი 10 მაისი, 2022)

საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში ცვლილების შეტანის შესახებ 2020. (#38-IIრს-Xმპ). მოძიებულია ვებგვერდიდან: https://www.matsne.gov.ge/ka/document/view/5063582?+publication=&publication=0 (წვდომის თარიღი 10 მაისი, 2022)

საქართველოს მთავრობა. (2020). *საქართველოს მთავრობის 2020 წლის 23 მაისის დადგენილება №322 იზოლაციისა და კარანტინის წესების დამტკიცების შესახებ.* მოძიებულია ვებგვერდიდან: https://matsne.gov.ge/document/view/4877009?publication=163 (წვდომის თარიღი 10 მაისი, 2022)

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო. (2020). *საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს პლენუმის დადგენილება N127/1.* მოძიებულია ვებგვერდიდან: https://constcourt.ge/ka/amendments-rules-of-court/amendment-07-12-2020 (წვდომის თარიღი 10 მაისი, 2022)

საქართველოს სახალხო დამცველი. (2020 წლის 15 ივლისი). *სახალხო დამცველი დისტანციური წესით ჩატარებული სისხლის სამართლის სხდომების მონიტორინგის ანგარიშს აქვეყნებს.* მოძიებულია ვებგვერდიდან: https://www.ombudsman.ge/geo/190411044320siakhleebi/sakhalkho-damtsveli-distantsiuri-tsesit-chatarebuli-siskhlis-samartlis-skhdomebis-monitoringis-angarishs-akveqnebs (წვდომის თარიღი 10 მაისი, 2022).

შველიძე, მ. (2020. 04.02). *ვირტუალურ სივრცეში გადასული სამართალწარმოება.* მოძიებულია ვებგვერდიდან: https://gyla.ge/ge/post/virtualur-sivrceshi-gadasuli-samartaltsarmoeba#sthash.IyE4xyTm.dpbs (წვდომის თარიღი 10 მაისი, 2022).

Forty-Ninth Emergency Order Regarding the COVID-19 State of Disaster #22 -9022. Retrieved from ხელმისაწვდომია: ttps://www.txcourts.gov/media/1453913/229022.pdf (წვდომის თარიღი 10 მაისი, 2022).

Graboyes, J. (June 16, 2020). *Legal Considerations for Remote Hearings in Agency Adjudications.* Retrieved from https://www.acus.gov/sites/default/files/documents/Legal%20Considerations%20for%20Remote%20Hearings%20in%20Agency%20Adjudications_1.pdf (წვდომის თარიღი 10 მაისი, 2022)

International Bar Association. (22 June, 2020). *Impact of COVID-19 on Court Operations & Litigation Practice.* Retrieved from https://www.ibanet.org/MediaHandler?id=E9A83AEF-6B17-4A54-815F-1C6E0D600163 (წვდომის თარიღი 10 მაისი 2022)

Michigan Office of Administrative Hearings and Rules. (2022). Retrieved from https://www.michigan.gov/lara/bureau-list/moahr (წვდომის თარიღი 10 მაისი, 2022).

Yamkovyi, V., Telychko, O., Mima, I., & Ivaniuk, N. (2021). Legal Aspects of Remote Trial. *SHS Web of Conferences.* Vol. 100. Retrieved from https://www.shs-conferences.org/articles/shsconf/pdf/2021/11/shsconf_iscsai2021_03006.pdf

Maka Salkhinashvili
Gori State University

FEATURES OF REMOTE CONSIDERATION OF ADMINISTRATIVE CASES

RESUME

The article discusses the issues of legal regulation regarding the holding of sessions remotely in administrative bodies and courts. In the conditions of the covid pandemic, administrative bodies and courts in Georgia and abroad held sessions remotely, although the mentioned issue was not regulated by legal acts. Later, various administrative bodies adopted subordinate normative acts. The article expresses opinions about the difficulties that accompanied and accompany the remote consideration of cases in administrative bodies and courts.

Key words: Pandemic, Session, Administrative body.

ალექსანდრე ჩხიტაური
გორის სახელმწიფო უნივერსიტეტი

საქართველოს თანამედროვე საბაჟო პოლიტიკა - საბაჟო კოდექსის სრულყოფის საკითხები

საკვანძო სიტყვები: საბაჟო სამართალი, საბაჟო პოლიტიკა, საბაჟო კოდექსი, საბაჟო ორგანოები.

1. საბაჟო სამართლის როგორც სასწავლო დისციპლინის სწავლების აუცილებლობის საკითხი უმაღლესი სასწავლებლების სამართლის ფაკულტეტებზე.

წინამდებარე სტატია პირობითად ორ ნაწილად დავყავი. პირველ ნაწილში ვსაუბრობ საბაჟო სამართალზე როგორც დამოუკიდებელ სასწავლო დისციპლინად შემოღებასა და სწავლების აუცილებლობაზე საქართველოს უმაღლესი სასწავლებლების სამართლის ფაკულტეტებზე, ხოლო სტატიის მეორე ნაწილში ვსაუბრობ საბაჟო საქმის ისტორიის და საქართველოში საბაჟო საქმიანობის ორგანიზაციისა და მართვის საკითხებზე.

დღეს საბაჟო სამართლის სასწავლო დისციპლინით განსაზღვრული ზოგიერთი საკითხი ისწავლება საქართველოს საფინანსო სამართლის დარგის სასწავლო დისციპლინაში მაგრამ საბაჟო სამართლის ინსტიტუტით რეგულირებული საკითხების სრულფასოვნად შესასწავლად მხოლოდ ეს არ კმარა..

საბაჟო სამართალი, როგორც სამართლის დამოუკიდებელ ინსტიტუტი და სასწავლო დისციპლინა დღემდე არ იკითხება არცერთი უმაღლესი სასწავლებლის სამართლის ფაკულტეტის სტუდენტებთან..

ადრე წარსულში 2006 წლამდე საბაჟო სამართალი როგორც დამოუკიდებელი სასწავლო დისციპლინა ისწავლებოდა უმაღლესი სასწავლებლების სამართლის ფაკულტეტებზე, ხოლო 2005-12 წლებში იმდროინდელი ხელისუფლების მიერ საბაჟო კოდექსის გაუქმებასთან ერთად საბაჟო სამართლის, როგორც დამოუკიდებელი სამართლის ინსტიტუტის სასწავლო დისციპლინის სწავლებაც შეწყდა..

ორი წლის წინ საქართველოს მოქმედმა ხელისუფლებამ მიიღო ახალი საბაჟო კოდექსი რომელიც სრულფასოვნად არეგულირებს საბაჟო ურთიერთობების ყველა მიმართულებას და გამომდინარე აქედან მიზანშეწონილად მიმაჩნია რომ საბაჟო სამართლის როგორც დამოუკიდებელი სასწავლო დისციპლინის სწავლება აღდგეს უმაღლესი სასწავლებლების სამართლის ფაკულტეტებზე, გამომდინარე იქიდან რომ საქართველოს სტრაეგიულად ხელსაყრელი გეოპოლიტიკური ადგილმდებარეობა ქმნის ქვეყნის ტერიტორიაზე როგორც ნარკოტიკული, ასევე სხვა სახის კონტრაბანული ტვირთების მოძრაობის საფრთხეს, რაც საქართველოს, როგორც დამოუკიდებელი სახელმწიფოს პოლიტიკური სტაბილიზაციისა და ეკონომიკური სიძლიერისათვის უაღრესად დიდი ზიანის მომტანია. გამომდინარე აქედან საქართველოს ეკონომიკური სიძლიერე, მისი ეკონომიკური საზღვრის უსაფრთხოება, ქვეყნის ბიუჯეტში საბაჟოებიდან შემოსავლების სრული ოდენობით მობილიზება, ბევრადაა დამოკიდებული იმაზე, თუ რამდენად ეფექტურია საქართველოში საბაჟო საქმიანობის პროცესი და რა გარანტიები არსებობს სახელმწიფოში აღნიშული პროცესის რეგულირების მიზნით.

გარანტიებში გვულისხმობთ იმ სამართლებრივ ბაზას, რაც უზრუნველყოფს საქართველოში საბაჟო საქმიანობის ასევე გარანტიებში ვგულისხმობთ იმასაც, თუ რამდენად ეფექტურად წარმოებს უმაღლეს სასწავლებლებში საბაჟო სამართლის, როგორც დამოუკიდებელი სასწავლო დისციპლინის სწავლების პროცესი, რომსაბაჟო დარგით დაინტერესებულ სტუდენტ-ახალგაზრდობას ჰქონდეთ საშუალება მიიღონ სრულყოფილი და ამომწურავი ცოდნა და პრაქტიკული უნარ-ჩვევები საბაჟო-სამართლებრივი ნორმებით რეგულირებულ ურთიერთობებთან დაკავშირებით, რათა შემდგომ მივიღოთ შესაბამისი ცოდნით აღჭურვილი სპეციალისტები, გამომდინარე იქიდან, რომ საბაჟო ორგანოებს აკისრიათ მეტად საპატიო ფუნქცია, რაც გამოიხატება: საქართველოს ეკონომიკური სუვერენიტეტისა და ეკონომიკური უსაფ-რთხოების დაცვის, მსოფლიო მეურეობასთან საქართველოს ეკონომიკური ინტეგრაციის,საბაჟო სფეროში მოქალაქეთა უფლებების დაცვის, ქვეყნის ბიუჯეტში საბაჟოებიდან შემოსავლების მობილიზების და სხვა საქმიანობაში.

ამავე დროს, თანამედროვე საბაჟო სამართლის სწავლებს პროცესში, აუცილებელია სტუდენტ-ახალგაზრდობისათვის, საქართველოში საბაჟო საქმიანობის ისტორიულად არსებული მდიდარი ტრადიციების, მისი განვითარების ეტაპების სწავლება; მათთვის არსებული ისტორიული წყაროების გაცნობა. ვინაიდან საბაჟო სამართალი მისი სპეციფიკური ხასიათიდან გამომდინარე, რაც გულისხმობს

იმას, რომ ეს დარგი მხოლოდ დამოუკიდებელი სახელმწიფოებისთვისაა დამახასიათებელი, რომლებსაც გააჩნიათ საზღვრის დამოუკიდებლად კონტროლის უფლება. საბჭოთა საქართველოს უმაღლეს სასწალებლებში არ იკითხებოდა, შესაბამისად თანამედროვე საქართველოს საბაჟო სამართლის სწავლების პროცესში აუცილებლად ჩავთვალეთ, რომ წარმოდგენილ პროგრამაში აგვესახა შესაბამისი საკითხებიც, რაც გაზრდის სტუდენტების თვალსაწიერს აღნიშნული მიმართულებითაც და სწავლებს უფრო საინტერესოს გახდის.

საზღვარგარეთის განვითარებული ქვეყნებისაგან განსხვავებით, ზოგიერთ პოსტსაბჭოურ ქვეყანაში და მათ შორის საქართველოში საბაჟო ინფრასტრუქტურა და შესაბამისი სამართლებრივი ბაზა ჯერ კიდევ სრულყოფის და ფორმირების პროცესშია, რომლის საფუძველზედაც ჩამოყალიბდა და ვითარდება საბაჟო სამართალი ერთის მხრივ როგორც სამართლის დამოუკიდებელი ინსტიტუტი და მეორეს მხრივ როგორც დამოუკიდებელი სასწავლო დისციპლინა. იგი არის ნორმათა ერთოლიბა, რომლებიც არეგულირებენ საბაჟო ორგანოების საქმიანობას სახელმწიფო საზღვრის ეკონომიკური დაცვის, საგარეო ვაჭრობის და საბაჟო პოლიტიკის განხორციელების პროცესში; ადგენენ საბაჟო და სხვა სახელმწიფო ორგანოთა, ფიზიკურ და იურიდიულ პირთა უფლება-მოვალეობებს საბაჟო ურთიერთობათა განხორციელების პროცესში.

ასე რომ საბაჟო სამართლის შესწავლა სამართლის ფაკულტეტზე მიზნად უნდა ისახავდეს მომავალი იურიტებისათვის ამ სფეროში მყარი სამართლებივი ცონის მიღებას, რათა შემდგომში, საჭიროების შემთხვევაში გამოიყენონ მირებული ცოდნა პრაქტიკულ საქმიანობაში სწორი გადაწყვეტილებების მისაღებად.

საბაჟო სამართლის სწავლება დაეხმარება სტუდენტებს საბაჟო სამართლის შინაარსის, საბაჟო პოლიტიკის, საბაჟო გაფორმების, საბაჟო კონტროლის, საბაჟო გადასახდელების და სხვა საკითხების შესწავლაში; საბაჟო სამართლის ძირითადი ცნებების ტერმინებისა და დებულებების შემეცნებაში; საბაჟო სფეროს კვლევის ფორმებისა და მეთოდების დაუფლებაში.

დამოუკიდებელი სახელმწიფოს პირობებში, საბაჟო სამართალი თანაბრად საინტერესო დისციპლინაა როგორც თეორიული, ისე პრაქტიკული თვალსაზრისით, ამიტომ ამ დარგის შესწავლას სტუდენტებისთვის დიდი მნიშვნელობა აქვს, ამ სფეროში მათი მომავალი როგორც თეორიული, ასევე პრაქტიკული საქმიანობის განხორციელების პროფესის უზრუნველსაყოფად.

2. საბაჟო საქმიანობის ორგანიზაცია დამართვა და საქართველოს თანამედროვე საბაჟო პოლიტიკა - საქართველოს ახალი საბაჟო კოდექსის ფონზე

მე-20 საუკუნის 90-იან წლებში საქართველოს დამოუკიდებლობის მოპოვებასთან ერთად ეროვნული კანონმდებლობის საფუძველზე შეიქმნა და წლების მანძილზე მეტნაკლები ინტენსივობით ვითარდებოდა საქართველოს საბაჟო კანონმდებლობა, რამაც საფუძველი ჩაუყარა საქართველოში დამოუკიდებელი, ეროვნული საბაჟო სამსახურის შექმნას, საბაჟო ორგანოთა მწყობრისი სისტემის არსებობას, მის განვითარებას, პერიოდულად საბაჟო სისტემის სტრუქტურულ რეორგანიზაციას, საბაჟო რეჟიმებისა და საბაჟო გადასახადების ერთიან სისტემას და სხვ.

საკვლევი თემა უაღრესად აქტუალურია. წინამდებარე სტატიას საბაჟო სამართლებრივი ურთიერთობით დაინტერესებულ პირთათვის შესაძლოა როგორც შემეცნებითი ასევე პრაქტიკული დანიშნულებაცჰქონდეს, ვინაიდან იგი ეხება საქართველოში საბაჟო საქმის განვითარების ისტორიულ მიმოხილვას, ასევე თანამედროვე საქართველოს საბაჟო პოლიტიკას და საბაჟო ორგანოების ორგანიზაციული მოწყობის, ანუ თანამედროვე საბაჟო სისტემის მართვის პროცესში არსებული გამოწვევების სამართლებრივი რეგულირების საკითხებს.

გარდა ზემოაღნიშნულისა, სტატიის დაწერა განაპირობა იმ გარემოებამაც, რომ 2019 წელს საქართველოს მოქმედმა ხელისუფლებამ „აღადგინა სამართლიანობა“ საბაჟოსამართლებრივ ურთიერთობათა სფეროში - მიიღო რა საქართველოს ახალი საბაჟო კოდექსი, რომელიც 2003- 2012 წლებში მოქმედმა ხელისუფლებამ პირადად ჩემთვის გაურკვეველი მიზეზების გამო გააუქმა და საბაჟო კოდექსით რეგულირებული ნორმების ერთი ნაწილი გაერთიანა საგადასახდო კოდექსში, ხოლო ზოგიერთი ნორმები კი სხვადასხვა სამართლებრივ აქტებში გაერთიანა, რამაც უაღრესად დაასუსტა იმპერიოდისთვის ჯერ კიდევ განვითარების გზაზე მყოფი საქართველოს საბაჟო ორგანოთა სისტემა და არაეფექტური გახადა საბაჟო კონტროლის და საბაჟო გაფორმების ღონისძიებები (პროცედურები), რომ აღარაფერი ვთქვათ საბაჟო საზღვრებზე, საბაჟო ორგანოების საქმიანობაში წარმოშობილ ქაოსსა და გაუგებრობაზე.

თემის აქტუალობას ასევე განაპირობებს ის გარემოებაც, რომ სტატიაში განხილული საკითხები შეიცავს საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის საბაჟო ორგანოების სისტემის

სტრუქტურული ორგანიზაციის და საბაჟო ორგანოების საქმიანობის სრულყოფის წინადადებებს იმ ნაკლოვანებების აღმოფხვრას რაც შეიმჩნევა საბაჟო ორგანოთა სისტემის მუშაობაში.

მსოფლიოში ბოლო პერიოდში განვითარებული მძიმე პოლიტიკური და ეკონომიკური (კრიზისული) პროცესებიდან გამომდინარე, საქართველოს სტრატეგიული გეოპოლიტიკური ადგილმდებარეობა საქართველოს ეკონომიკური ძლიერება, საქართველოს ეკონომიკური საზღვრების უსაფრთხოება, სახელმწიფოს ბიუჯეტში საბაჟოებიდან შემოსავლების სრული ოდენობით მობილიზება, ჩემი აზრით, ბევრადაა დამოკიდებული იმაზე, თუ რამდენად ეფექტურია საქართველოში საბაჟო ორგანოების მუშაობა - ანუ საბაჟო საქმიანობის ორგანიზაციისა და მართვის პროცესი და თუ რა სამართლებრივი გარანტიები არსებობს სახელმწიფოში აღნიშნული პროცესის შეუფერხებელი განხორციელების მიზნით.

გარანტიების ცნების ქვეშ იგულისხმებ არაოგორც ახალი საბაჟო კოდექსი, ასევე გარანტიების ცნების ქვეშ იგულისხმება ის სამართლებრივი აქტებიც, რომლებიც უზრუნველყოფენ საქართველოში საბაჟო ორგანოთა სისტემის გამართულ მუშაობას - სახელმწიფოს მიერ განსაზღვრული საბაჟო ოლიტიკის სრულფასოვნად განხორციელების მიზნით, სახელმწიფოს ეკონომიკური ინტერესების შესაბამისად.

3. საბაჟოები და საბაჟო ურთიერთობების განვითარების ეტაპები საქართველოში - მოკლე ისტორიული მიმოხილვა.

როგორც უკვე აღვნიშნე, საზღვარგარეთის განვითარებული ქვეყნების განგანსხვავებით, ზოგიერთ პოსტსაბჭოურ ქვეყანაში, მათ შორის საქართველოშიც, საბაჟო კანონმდებლობის და მის საფუძველზე საბაჟო ორგანოების შექმნის და ფორმირების პროცესი იწყება დამოუკიდებლობის მოპოვების დღიდან ანუ მე-20 საუკუნის 90-იანიწლებიდან. თუმცა ეს იმას არ ნიშნავს რომ საქართველოსთვის ისტორიულად საბაჟოები და საბაჟო ურთიერთობები უცხო იყო. პირიქით, საქართველოს, როგორც უძველეს სახელმწიფოს და უმდიდრესი ისტორიის მქონე ქვეყანას, საბაჟო სფეროში მდიდარი ტრადიციები ჰქონდა, რაც დასტურდება ჩვენამდე მოღწეული უამრავი წერილობითი ისტორიული წყაროებით. აქ არ შევუდგები საქართველოში საბაჟო ორგანოების არსებობის ისტორიის ფართოდ განხილვას, ეს სხვა კვლევის თემაა და ამ საკითხზე რამდენიმე სტატია მაქვს გამოქვეყნებული (ჩხიტაური, 2002ა: 35-37; ჩხიტაური, 2002ბ: 109-111; ჩხიტაური, 2003ა: 110-112; ჩხიტაური, 2003ბ: 85-87; ჩხიტაური, 2004ა: 92-94; ჩხიტაური, 2004ბ: 64-67).

მსურს ძალიან მოკლედ მიმოვიხილო საქართველოში საბაჟო საქმის ისტორიის საკითხი. საქართველოში საბაჟოების განვითარების ისტორია შეგვიძლია პირობითად რამდენიმე ეტაპად დავყოთ:

პირველი - საბაჟოები და საბაჟო სამართლებრივი ურთიერთობები ფეოდალურ საქართველოში:

საბაჟო და მებაჟე უხსოვარი დროიდან, პირველი სახელმწიფოების აღმოცენების და ბიბლიური დროიდან, სახელმწიფოების თვითმყოფადობის, ეკონომიკური სიძლიერის და დამოუკიდებლობის უმნიშვნელოვანესი ატრიბუტებია. (Марков, 1998: 8; Фомичев, 1998: 11).

საუკუნეთა მანძილზე არც საქართველოსთვის ყოფილ აუცხო საბაჟო საქმე, რასაც ჩვენამდე მოღწეული როგორც ქართული, ასევე უცხოური საისტორიო წერილობითი წყაროებიც ადასტურებენ (დოლიძე, 1963: 127-221; დოლიძე, 1965: 11, 14, 22, 137, 403, 565; დოლიძე, 1970: 176, 191, 264, 475; ყაუხჩიშვილი, 1989; შარდენი, 1935: 5, 11). თუ თვალს გავადევნებთ საქართველოს ეკონომიკურ ისტორიას, თვალნათლივ დავინახავთ, რომ, როგორც საერო, ასევე საეკლესიო (საკათალიკოსო) საბაჟოებიდან აკრეფილი საბაჟო გადასახდელები წარმოადგენდა ფეოდალური საქართველოს ეკონომიკური შემოსავლების უმნიშვნელოვანეს წყაროს. (დოლიძე, 1970: 176, 191, 264, 475; დოლიძე, 1965: 11, 14, 22, 137, 403, 565) როგორც ქართული საისტორიო წყაროებიდანაც ირკვევა, ქართული სახელმწიფოებრიობის თავდაპირველ ჩანასახში, განვითარების პირველ საფეხურზე, საბაჟო იყო მხოლოდ გადასახადების ამკრეფი პრიმიტიული პუნქტი (ამილახვარი, 2000: 40-41), შემდგომში, საუკუნეთა მანძილზე, საბაჟო ორგანოთა საქმიანობა უფრო ცივილურ სახეს იღებს და იძენს შიდასახელმწიფოებრივი ეკონომიკის დაცვის და პროტექციონიზმის ფუნქციას. (Марков, 1998: 8) გაერთიანებულ ფეოდალურ საქართველოში პარტიკულარულმა (ადგილობრივმა საფეოდალო) საბაჟოებმა საფეოდალოს საზღვრებიდან გადაინაცვლეს გაერთიანებული ფეოდალური საქართველოს (მონაპირე საერისთაოების) საზღვრებზე და ფეოდალური საქართველოს საბაჟოებს საბაჟო გადასახადების ამოღების გარდა უკვე დაევალათ ქვეყნის ეკონომიკური ინტერესების და ეკონომიკური უსაფრთხოების დაცვის ფუნქციის შესრულება. (დოლიძე, 1965: 14, 22) აქვე უნდა აღვნიშნოთ რომ ფეოდალური საქართველოს საბაჟო საქმის ისტორიის შესასწავლად უმნიშვნელოვანეს წყაროებს წარმოადგენენ, როგორც საერო, ასევე საეკლესიო ქართული სამართლის ძეგლები, გამომდინარე იქიდან რომ ფეოდალურ საქართველოში არსებობდა ორი სახის საბაჟო საერო და საეკლესიო ანუ საკათალიკო სოსაბაჟოები. (დოლიძე, 1965: 22) ადრეულ ფეოდალურ საქართველოში ბაჟს ეწოდებოდა - ზუერი,

მებაჟეს ეწოდებოდა - მეზუერე, ხოლო საბაჟოს უწოდებდნენ - საზუერეს. (ბერძენიშვილი, 1964: 193) ასევე ფეოდალურ საქართველოში არსებობდა ე.წ. შინაგანი ბაჟი ანუ ერთი საფეოდელოდან სხვა საფეოდალოს ტერიტორიაზე გადასაადგილებელ საქონელზე რომელსაც იხდიდნენ საქონლის (ტვირთის) მეპატრონენი, ამას უწოდებენ პარტიკულარულ ბაჟს ანუ საფეოდალო ბაჟს, ასევე გაერთიანებულ ფეოდალურ საქართველოში არსებობდა სახელმწიფო ბაჟი (საგარო ბაჟი) რომელსაც იხდიდნენ უცხო ქვეყნებიდან შემოტანილ საქონელზე ვაჭრები, და აქედან მიღებული შემოსავლებით ივსებოდა სახელმწიფო ანუ სამეფო ხაზინა. (ჩხიტაური, 2003ბ: 85-87, 41) გაერთიანებულ ფეოდალურ საქართველოში, როგორც ქართული სამართლის უძველეს ძეგლში „ხელმწიფის კარის გარიგება“ ვკითხულობთ, ქვეყნის ეკონომიკურ, საფინანსო საბაჟო სფეროზე საერთო კონტროლს და ხელმძღვანელობას ახორციელებდა მეფის ერთერთი ვეზირი მეჭურჭლეთუხუცესი ანუ თანამედროვე გაგებით ფინანსთა მინისტრი. (ჩხიტაური, 2003ბ: 85-87, 41)

მეორე ეტაპი - საბაჟო საქმის განვითარების ისტორიის შემდგომ ეტაპად პირობითად შეგვიძლია მივიჩნიოთ საბაჟოები „ცარიზმის“ ეპოქის საქართველოში, ეს ეტაპი იწყება 1801 წლიდან ანუ რუსეთის იმპერიის მიერ ქართლ - კახეთის სამეფოს მიერთებიდან, გრძელდება მთელი მე - 19 საუკუნის მანძილზე ანუ საქართველოს სხვა სამეფო - სამთავროების რუსეთის იმპერიისთვის მიერთებით და გრძელდება 1918 წლამდე, ანუ რუსეთის იმპერიის დაშლით და საქართველოს დამოუკიდებლობის მოპოვების დღემდე. (ჩხიტაური, 2003ა: 110-112) ეს ეტაპი ხასიათდებოდა იმით რომ საქართველოს ტერიტორია იქცა რუსეთის იმპერიის შემადგენელ ნაწილად, რამაც ლოგიკურად გამოიწვია რუსეთის იმპერიის სახელმწიფო წყობილებასთან შეუთავსებელი ქართული პოლიტიკურ - ეკონომიკური სისტემის დაშლა და მათი გარდაქმნა რუსეთის იმპერიის ერთიანი ეკონომიკური სისტემის შემადგენელ ნაწილად. (ბერძენიშვილი, 1953: 310-314) რუსეთის იმპერიამ ეტაპობრივად დაამკვიდრა საქართველოს ტერიტორიაზე (რომელიც უკვე იმპერიის შემადგენელი ნაწილი იყო) საკუთარი საფინანსო ეკონომიკური და საბაჟო ინსტიტუტები და ამის შემდგომ უკვე საქართველოს ტერიტორიაზეც ისევე როგორც მთელს იმპერიაში ახორციელებდა საერთო იმპერიულ საფინანსო, ეკონომიკურ და საბაჟო პოლიტიკას. (კაკულია, 1972: 5-8) გაუქმა მკვიდრი ქართული საფინანსო-ეკონომიკური და საბაჟო ინსტიტუტები და საქართველოს ტერიტორიაზე შექმნა საკუთარი სისტემები, რომლითაც საქართველოს ტერიტორიაზე მოქმედი საფინანსო ინსტიტუტები საერთო იმპერიული ჯაჭვის ერთ - ერთ შემადგენელ რგოლად აქცია. ცარიზმის პერიოდის რუსეთში საგარეო ვაჭრობის და საბაჟო ურთიერთობების სფეროს საერთო ხელმძღვანელობას უწევდა რუსეთის იმპერიის ფინანსთა სამინისტრო, რომელსაც ექვემდებარებოდნენ, მთლიანად იმპერიაში და მათშორის საქართველოს ტერიტორიაზე არსებული საბაჟო დაწესებულებები. (ჩხეტია, 1939: 99)

ცარიზმის პერიოდში საქართველოს ტერიტორიაზე არსებული საბაჟო დაწესებულებათა მთელი სისტემა იყო რუსეთის იმპერიის ერთიანი საბაჟო სისტემის შემადგენელი ნაწილი, სადაც ხორციელდებოდა რუსეთის იმპერიის ერთიანი საფინანსო, საგადასახადო და საბაჟო პოლიტიკა. (ბერძენიშვილი, 1953: 310-314)

მესამე ეტაპად საქართველოში საბაჟო საქმის არსებობის და განვითარებისა შეიძლება მივიჩნიოთ 1918-21 წლების დამოუკიდებელ საქართველოში საბაჟო სამსახურის შექმნის და მისი საქმიანობის პერიოდი. როდესაც დამოუკიდებელი საქართველოს ეროვნულმა საბჭომ მიიღო კანონი დამოუკიდებელი საქართველოს ტერიტორიაზე რუსეთის იმპერიის საერო დაწესებულებათა და მათი განყოფილებების ლიკვიდაციის შესახებ. (ჩხიტაური, 2002ბ: 109-111)

1918-21 წლების დამოუკიდებელ საქართველოს რესპუბლიკაში საბაჟო სამსახური შედიოდა ფინანსთა და ვაჭრობა - მრეწველობის სამინისტროს შემადგენლობაში. (საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის სამართლებრივი აქტების კრებული (1918-21), 1990: 47) იმ პერიოდში საქართველოს საბაჟო ორგანოთა სისტემის საქმიანობას არეგულირებდა 1918 წლის 30 აგვისტოს საქართველოს რესპუბლიკის ეროვნული საბჭოს მიერ მიღებული სამართლებრივი აქტი (კანონი) - „საქართველოს რესპუბლიკის ტერიტორიაზე საბაჟო დაწესებულებათა მოწყობის შესახებ.“ (საქართველოს რესპუბლიკა, 1918)

როგორც ვიცით 1921 წლის 25 თებერვალს საქართველომ დაკარგა დამოუკიდებლობა და საქართველო გახდა საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის შემადგენელი ნაწილი და ამ დღიდან მოყოლებული მთელი 70 წლის მანძილზე ანუ საბჭოთა კავშირის დაშლამდე, 1991 წელს საქართველოს დამოუკიდებლობის ხელახალ მოპოვებამდე - სსრკს შემადგენლობაში მყოფ საქართველოს ტერიტორიაზე საერთოდ არ უარსებია არცერთ საბაჟო ორგანოს და გამომდინარე აქედან საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკა მთლიანად ჩამოშორებულ იქნა ქვეყანაში საბაჟო საქმიანობის განხორციელების ფუნქციებიდან. ანუ საბჭოთა საქართველოს ტერიტორიაზე საბაჟო ორგანოები ფორმალურადაც კი არ ფუნქციონირებდნენ. (ქარუმიძე, 2004: 7-8)

მეოთხე. შემდგომ ეტაპად და ამჯერად უკვე სრულფასოვან ეტაპად საბაჟო კანონმდებლობის შექმნის და კანონმდებლობის საფუძველზე საბაჟო ორგანოთა სისტემის შექმნა - განვითარებისა უნდა მივიჩნიოთ მე - 20 საუკუნის 90 - იანი წლების დასაწყისი და ეს ეტაპი გრძელდება დღევანდელ დღემდე. სწორედ 1991 წლიდან ანუ საქართველოს დამოუკიდებლობის მოპოვების დღიდან ეტაპობრივად იქმნებოდა და წლების მანძილზე ვითარდებოდ ასაქართველოს საბაჟო კანონმდებლობა, რამაც საფუძველი ჩაუყარა საქართველოში დამოუკიდებელი, ეროვნული საბაჟო სამსახურის არსებობას. (საქართველოს რესპუბლიკა, 1991) დამოუკიდებლობის მოპოვების დღიდან ანუ 1991 წლიდან - დღემდე საბაჟო კანონმდებლობის და მის საფუძველზე ქვეყნის საბაჟო პოლიტიკის და საბაჟ ოორგანოების შექმნა - განვითარების პერიოდი მე ჩემისმხრივ დამატებით 5 ეტაპად დავყავი. რომლის მიხედვითაც: პირველ ეტაპში გავაერთიანე 1991 - 92 წლების პერიოდი, როდესაც 1991 წლის 15 სექტემბერს დამოუკიდებელი საქართველოს ისტორიაში მიღებულ იქნა საბაჟო ურთიერთობების მარეგულირებელი პირველი კანონი „საქართველოს რესპუბლიკის საბაჟოს შესახებ“, რომლის საფუძველზედაც საქართველოში (70 წლიანი წყვეტის შემდგომ) პირველად შეიქმნა საბაჟო სამსახური, (საბაჟო ორგანოთა სისტემა) და განისაზღვრა საბაჟო კონტროლის და საბაჟო გაფორმების ზონები. (ჩხიტაური, 2002ა; საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის სამართლებრივი აქტების კრებული (1918-21). 1990) ეს იყო პირველი საკანონმდებლო აქტი, რომელმაც საქართველოში ბიძგი მისცა საბაჟო ორგანოების და საბაჟო ინფრასტრუქტურის შექმნის და ჩამოყალიბების პროცესს. მეორე ეტაპში გავაერთიანე 1992 - 97 წლების პერიოდი, როდესაც 1992 წლის 21 ოქტომბერს დამოუკიდებელი საქართველოს ისტორიაში მიიღეს პირველი საბაჟო კოდექსი და მის საფუძველზე ორი უმნიშვნელოვანესი სამართლებრივი აქტი „დეკრეტი საბაჟო ტარიფის შესახებ“ - 1992 წლის 21 ოქტომბრის და „საქართველოს კანონი საბაჟო გადასახადის შესახებ“ 1996 წლის 27 დეკემბრის. (საქართველოს რესპუბლიკა, 1918) მესამე ეტაპად საქართველოს საბაჟო კანონმდებლობის განვითარებისა იწყება 1997 წლის 14 ნოემბერს, როდესაც საქართველოს იმდროინდელმა პარლამენტმა მიიღო საქართველოს ახალი საბაჟო კოდექსი. რომლის საფუძველზეც მიიღეს საბაჟო საქმიანობის მარეგულირებელი ახალი სამართლებრივი აქტები, „საქართველოს კანონი საბაჟო მოსაკრებლების შესახებ“ - 1998 წლის 18 თებერვლის, და ასევე კანონი „საბაჟო ტარიფისა და საბაჟო გადასახადის შესახებ“ - 1998 წლის 20 მარტი. (ქარუმიძე, 2004)

აღნიშნული საბაჟო კოდექსი იყო იმ პერიოდში საქართველოში მოქმედ საკანონმდებლო აქტებს შორის ერთერთი სრულყოფილი სამართლებრივი აქტი, რომელიც ეფუძნებოდა იმ დროინდელი მსოფლიოს მოწინავე სახელმწიფოების გამოცდილებებს საბაჟო კანონმდებლობის სფეროში.

მეოთხე ეტაპში მოვიაზრებ 2003-12 წლების პერიოდს (რომელსაც პირობითად ვუწოდე საბაჟო ორგანოების ფუნქციონალური დაკნინების პერიოდი) როდესაც იმდროინდელმა ხელისუფლებამ საერთოდ გააუქმა საბაჟო კოდექსი და საბაჟო ურთიერთობების მარეგულირებელი სხვა უმნიშვნელოვანესი სამართლებრივი აქტები, რის საფუძველზეც დააკნინა საბაჟო ორგანოების სტატუსი - როგორც ქვეყნის ეკონომიკური საზღვრების დაცვის უმთავრესი ორგანოსი. (საქართველოს რესპუბლიკა, 1991)

მეხუთე ეტაპში კი თანამედროვე საქართველოში საბაჟო კანონმდებლობის განვითარებისა მოვიაზრებ 2019 წლიდან მოყოლებული - დღემდე არსებულ პერიოდს, როდესაც პარლამენტმა წინა ხელისუფლების მიერ 2009 წელს საქართველოს საბაჟოკოდექსის გაუქმებით გამოწვეული გაუგებრობ აღმოფხვრა და ე.წ. „სამართლიანობა აღადგინა“ მიიღო რა 2019 წლის 1 სექტემბერს ახალი საბაჟო კოდექსი, საიდანაც საბაჟო სამართლებრივ ურთიერთობათა განვითარების სფეროში სახელმწიფომ ახალი ფურცელი გადაშალა.

4. საქართველოს საბაჟო პოლიტიკა და მისი მიზნები ქვეყნის ინტერესებისა და თანამედროვე გამოწვევებთან მიმართებაში.

ჯერ კიდევ ჩვენი უდიდესი საზოგადო მოღვაწე ილია ჭავჭავაძემე მეცხრამეტე საუკუნის ბოლოს გამოქვეყნებულ თავის პუბლიკაციაში, რომელიც ეძღვნებოდა ქვეყნის ეკონომიკური პოლიტიკის საკითხებს, სახელმწიფოს სიძლიერის საფუძვლად თვლიდა სახელმწიფოში არა ჯარის რაოდენობას, არამედ საელმწიფოსე კონომიკურ სიძლიერეს, რომლის მიღწევის ერთ-ერთ საშუალებად მას მიაჩნდა სახელმწიფოს მიერეკონომიკური პოლიტიკის სწორად წარმართვა 23-25, რაც ილია ჭავჭავაძის აზრით მდგომარეობდა: „სხვისი საქონლის იაფად შეძენასა და საკუთარი საქონლის ძვირად გასაღების “პოლიტიკის სწორად წარმართვაში“. (ჭავჭავაძე, 1887)

სამეცნიერო ლიტერატურაში ვხვდებით საბაჟო პოლიტიკის ცნების სხვადასხვა განსაზღვრებებს, რომლებსაც გვთავაზობენ როგორც მეცნიერ - ეკონომისტები ასევე საბაჟო სფეროს მცოდნე იურისტები. პროფესორ ემზარ ჯგერენაიას აზრით: „საბაჟო პოლიტიკა არის სახელმწიფოს მიერ დადგენილი თამაშის

წესები საბაჟო სფეროში, რომლის მიზანი საქონლის გაცვლით განპირობებული განაწილების მართვაა.“ (ჯგერენაია, 2020: 81)

პროფესორ ბ. გაბრიჩიძის აზრით „საბაჟო პოლიტიკა - ესაა სისტემა პოლიტიკურ - სამართლებრივი, ეკონომიკური, ორგანიზაციული და სხვა ფართო მასშტაბიანი ღონისძიებების ერთობლიობა, რომელიც მიმართულია საბაჟო საქმის სფეროში წარმოშობილი შიდაეკონომიკური ინტერესების რეალიზაციისა და დაცვისკენ, რომლის სპეციფიკა, მიზნები და პრინციპები განსაზღვრულია საბაჟო კოდექსში და ასევე საბაჟო სფეროში მოქმედ სხვა კანონმდებლობაშიც.“ (ჩხიტაური, 2004ბ: 64-67)

პროფესორ ვ. პრესნიაკოვის აზრით „საბაჟო პოლიტიკა არის სახელმწიფოში ფინანსური სტაბილიზაციისკენ და მისი შენარჩუნებისკენ მიმართული, კომპლექსური საბაჟო ურთიერთობების ერთიანი სისტემა, რომლის ამოცანაა სახელმწიფოში საგადასახადო ბალანსის გათანაბრება, ქვეყნის ექსპორტის და იმპორტის სტრუქტურის რეგულირება და ნაციონალური ეკონომიკის დაცვა.“ (ჩხიტაური, 2002ა: 35-37)

ქართველ ეკონომისტთა განმარტებით „საბაჟო პოლიტიკა, ეს არის სახელმწიფოს, როგორც იძულების ორგანოს მიერ მისი კანონებით და სხვა ნორმატიული აქტებით შექმნილი ეკონომიკური გადაწყვეტილებების ურთიერთობების სისტემა, რომელიც დაფუძნებულია ძირითადად მოხმარების დაბეგვრაზე და მოიცავს გადასახადის ობიექტს, გადასახადის სუბიექტს, გადასახადის აკრეფის წესს, მენეჯმენტს, პრინციპებს და მოთხოვნებს.“ (ჩხიტაური, 2004ა: 92-94) ანუ ცნების ავტორებს სახელმწიფოში საბაჟო პოლიტიკის უმთავრეს საფუძვლად მიაჩნიათ საბაჟო დაბეგვრის ობიექტი, ანუ ის თუ რა უნდა დაიბეგროს, რამდენით უნდა დაიბეგროს, ანუ საბაჟო ტარიფები, როგორ უნდა დაიბეგროს და როდის უნდა დაიბეგროს. ევროპელი მეცნიერ ეკონომისტების და საბაჟო საქმის მცოდნე იურისტების მოსაზრებებით კი „საბაჟო პოლიტიკა ესაა ერთიანი სისტემა ღონისძიებებისა, წესების და პროცედურებისა, რომლებიც არეგულირებენ ქვეყნის საბაჟო ურთიერთობებს.“ (ქარუმიძე, 2004: 45) ასევე ევროპელი მეცნიერები საბაჟო პოლიტიკას განმარტავენ როგორც ქვეყანაში საბაჟო საქმის მოწესრიგების ერთიანობას.

პროფესორ ვახტანგ ქარუმიძის განმარტებით „საბაჟო პოლიტიკა ღონისძიებათა ერთობლიობაა, სისტემა და სტრატეგიაა, რომლის განხორციელება უზრუნველყოფს ქვეყნის ეკონომიკური სივრცის შეკვრას, ეკონომიკური საზღვრების დაცვას, ექსპორტ - იმპორტის კონტროლს, კონტრაბანდასთან ბრძოლას, საბაჟო კანონმდებლობის პრინციპების სრულფასოვან აღსრულებას, სახელმწიფო ბიუჯეტის ფისკალური ნაწილის საბაჟოებიდან შემოსული გადასახადებით და მოსაკრებლებით უზრუნველყოფას.“ (ჩხიტაური, 2004ბ: 64-67)

ჩემი აზრით კი საქართველოს საბაჟო კანონმდებლობის და საბაჟო პოლიტიკის შესახებ მეცნიერთა შეხედულებების შეჯერების საფუძველზე საბაჟო პოლიტიკის ცნება შეიძლება განვსაზღვროთ როგორც: ქვეყნის ერთიანი პოლიტიკური, სამართლებრივი, ეკონომიკური და ორგანიზაციული სტრატეგია, ერთიანი სისტემა, ფართომასშტაბიანი ღონისძიებების, წესების და პროცედურებისა, ამ სტრატეგიის განხორციელების მიზნით, რომლის ამოცანაა ქვეყნის შიდა დ ასაგარეო ეკონომიკური მიზნების განხორციელება ქვეყნის ეკონომიკური ინტერესების და ეკონომიკური უსაფრთხოების დაცვის მიღწევის უზრუნველსაყოფად. (ქარუმიძე, 2004: 72)

უფრო კონკრეტულად კი საქართველოს საბაჟო პოლიტიკის ცნების ქვეშ ვგულისხმობ სახელმწიფოს საქმიანობას, რომელიც გამოიხატება სახელმწიფოს მიზანმიმართულ ზემოქმედებაში საგარეო და საშინაო ვაჭრობაზე ისე, რომ საქონლის ექსპორტისა და იმპორტის მოცულობა, სტრუქტურა, თანაფარდობა, საქონლის მიწოდების პირობები წარმართულ იქნეს ერთის მხრივ საქართველოს როგორც სახელმწიფოს და მეორეს მხრივ სახელმწიფოს ტერიტორიაზე საბაჟო სამართლებრი ვურთიერთობებში მონაწილე სუბიექტებისათვის სასურველი და ხელსაყრელი გზით, რათა სახელმწიფოში შენარჩუნებულ იქნეს ფინანსური სტაბილიზაცია, რაც საბოლოო ჯამში ქვეყნის ეკონომიკური უსაფრთხოები სგარანტიაა.

საქართველოს საბაჟო პოლიტიკის (რომელიც ქვეყნის საშინაო და საგარეო პოლიტიკის შემადგენელი ნაწილია) პრინციპები, მიზნები, ამოცანები და მისი განხორციელების გზები კონკრეტულ ასახვას უპირველესყოვლისა პოულობს საქართველოს კონსტიტუციაში, შემდგომ საქართველოს საბაჟო კოდექსში და ასევე საბაჟო ურთიერთობების მარეგულირებელ სხვა კანონმდებლობაშიც. (საქართველოს კონსტიტუცია, 1995; საქართველოს კანონი საქართველოს საბაჟო კოდექსი, 2019)

რაც ყველაზე მთავარია საქართველოს საბაჟო კანონმდებლობით განსაზღვრული ქვეყნის საბაჟო პოლიტიკის სრულფასოვნად განხორციელება შეუძლებელი იქნება საბაჟო ორგანოების სრულფასოვანი საქმიანობის გარეშე, ანუ სახელმწიფოში საბაჟო საქმიანობის ორგანიზაციის და შესაბამისი უფლებამოსილებებით აღჭურვილი საბაჟო ორგანოების მართვის მწყობრი სისტემის გარეშე, გამომდინარე იქიდან რომ ქვეყნის ეკონომიკური უსაფრთხოების დაცვის ფუნქცია უპირველეს ყოვლისა ქვეყნის საბაჟო ორგანოების ერთ-ერთ ძირითად კომპეტენციას მიეკუთვნება. ანუ საბაჟო პოლიტიკის

ცნებაში განსაზღვრული უმთავრესი მიზნის - ქვეყნის ეკონომიკური განვითარების სტიმულირება, ეკონომიკური საზღვრების დაცვა ანუ შიდა ბაზრის დაცვა არის ქვეყნის საბაჟო ორგანოების უძირითადესი ფუნქცია, რათქმაუნდა ფისკალური ფუნქციის (ანუ საბაჟო გადასახადების სახელმწიფო ბიუჯეტში მობილიზაციის ფუნქციის) განხორციელებასთან ერთად.

მეცნიერთა შორის არსებობს აზრთა სხვადასხვაობა სახელმწიფოში პროტექციონისტული საბაჟო პოლიტიკის და ლიბერალური საბაჟო პოლიტიკის განხორციელების საკითხთან დაკავშირებით, თუ რომელი უკეთესია ჩვენი ქვეყნისთვის. (საქართველოს კანონი საქართველოს საბაჟო კოდექსი, 2019)

მეცნიერები დღემდე მსჯელობენ იმ თემებზე სახელმწიფომ ქვეყნის ეკონომიკური განვითარების და შიდა ბაზრის დაცვის მიზნით გამოკვეთილი პროტექციონისტული საგადასახადო - საბაჟო პოლიტიკა უნდა გაატაროს, ანუ უნდა დააწესოს მაღალი საბაჟო ტარიფები იმპორტულ პროდუქციაზე, თუ სახელმწიფომ პირიქით ლიბერალური საბაჟო საგადასახადო პოლიტიკა უნდა აირჩიოს, ანუ დაბალი ან ნულოვანი საბაჟო ტარიფები იმპორტულ საქონელზე. (საქართველოს კანონი საქართველოს საბაჟო კოდექსი, 2019)

მე პირადად ვფიქრობ, რომ საქართველომ შიდაეკონომიკური განვითარების და შიდაბაზრის დაცვის მიზნით არც ბოლომდე პროტექციონისტული და არც ბოლომდე ლიბერალური საბაჟო საგადასახადო პოლიტიკა არ უნდა განახორციელოს, ანუ ჩემი აზრით საუკეთესო გამოსავალი იქნება თუ საქართველო ამ საკითხის გადაწყვეტისას აირჩევს ე.წ. „ოქროს შუალედს“ ანუ დაბალსა და მაღალ საბაჟო ტარიფს შორის კონკრეტულ პროდუქციაზე ანუ საქართველოს ხელისუფლებამ ქვეყნის ეკონომიკის სტიმულირების და შიდა ბაზრის დაცვის უზრუნველყოფის მიზნით კონკრეტულ პროდუქციასთან მიმართებაში შესაბამისი დაბალი ან მაღალი საბაჟო საგადასახადო ტარიფები უნდა დააწესოს.

5. ახალი საბაჟო კოდექსის მიზნები და როლი საბაჟო საქმიანობის განხორციელების პროცესში

ვინაიდან სტატიის მოცულობის დადგენილი სტანდარტი არ იძლევა აღნიშნული თემის ყოვლისმომცველი და ვრცლად განხილვის საშუალებას, შევეცდები მოკლედ განვიხილო და განვმარტო ძირითადი საკითხები. როგორც აღვნიშნე, საქართველოს მოქმედმა ხელისუფლებამ აღადგინა ე.წ. „ისტორიული სამართლიანობა“ და 2019 წლის 1 სექტემბერს ხელახლა მიიღო ახალი საბაჟო კოდექსი, რომელიც 2003–12 წლებში მოქმედმა ხელისუფლებამ უსამართლოდ და აშკარად სახელმწიფო ინტერესების საწინააღმდეგოდ გააუქმა თავის მმართველობის პერიოდში. ახალი საბაჟო კოდექსი მიზნად ისახავს „ბიზნესისათვის გამარტივებულ საგადასახადო და საბაჟო პოლიტიკის გატარებას, ქვეყანაში სტაბილური და პროგნოზირებადი ბიზნეს გარემოს შექმნის ხელშეწყობას, მოქნილი საბაჟო პროცედურების დანერგვას საბაჟო ორგანოების სისტემაში, ასევე ქართული საბაჟო კანონმდებლობის სრულ ჰარმონიზაციას ევროკავშირის კანონმდებლობასთან და სტანდარტებთან...“ (საქართველოს კანონი საქართველოს საბაჟო კოდექსი, 2019).

ახალ საბაჟო კოდექსში განსაზღვრულია კოდექსის რეგულირების სფერო: „საბაჟო კოდექსი განსაზღვრავს საქონლის საბაჟო ტერიტორიაზე შემოტანისა და საქართველოს საბაჟო ტერიტორიიდან საქონლის გატანასთან დაკავშირებულ წესებს და საბაჟო ფორმალობებს, საბაჟო დავის გადაწყვეტის წესს, საბაჟო სამართალდარღვევების სახეებს და ამ სამართალდარღვევებზე პირთა პასუხისმგებლობის საკითხებს.“ (საქართველოს კანონი საქართველოს საბაჟო კოდექსი, 2019)

საბაჟო კოდექსის მიხედვით „საბაჟო საკითხებთან დაკავშირებულ კანონქვემდებარე ნორმატიულ აქტებს გამოსცემს საქართველოს მთავრობა ან საქართველოს ფინანსთა სამინისტრო. კოდექსის მიხედვით საქართველოს საბაჟო საზღვარი ემთხვევა საქართველოს სახელმწიფო საზღვარს. ახალი საბაჟო კოდექსი რომელიც შედგება 214 მუხლის, თორმეტი წიგნისა და 33 თავისაგან, სახელმწიფოს ეკონომიკური სუვერენიტეტის დაცვის და ქვეყნის საბაჟო პოლიტიკის ეფექტურად განხორციელების მიზნით, მართლაც რომ უმნიშვნელოვანესი საკანონმდებლო აქტია, რომელიც რათქმაუნდა მოითხოვს ღრმა მეცნიერულ შესწავლას, კვლევასა და ანალიზს საბაჟო სფეროთი დაინტერესებული მეცნიერების მხრიდან კოდექსის გაუმჯობესების და სრულყოფის მიზნით.

რაც შეეხება საქართველოს საბაჟო ორგანოთა სისტემას: საბაჟო საქმიანობის განმახორციელებელი საბაჟო ორგანოები - ქვეყის დამოუკიდებლობის თითქმის 31 წლის მანძილზე საქართველოს აღმასრულებელი ხელისუფლების სისტემაში ფუნქციონირებდნენ სხვადასხვა სისტემური სტატუსით. იყო პერიოდი როდესაც არსებობდა აღმასრულებელი ხელისუფლების სისტემაში შემავალი დამოუკიდებელი სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება - სახელმწიფო საბაჟო დეპარტამენტის სახით (საქართველოს მთავრობა, 2017), რომლის ხელმძღვანელი ანგარიშვალდებული იყო მხოლოდ საქართველოს პრეზიდენტის წინაშე. შემდგომ კი მრავალი წლის მანძილზე და დღეს არსებული მდგომარეობითაც საბაჟო ორგანოთა სისტემა - საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების

სამსახურის სისტემის შემადგენელი ნაწილია. (საქართველოს კანონი შემოსავლების სამსახურის შესახებ, 2010)

ჩემი აზრით მოქმედი საბაჟო ორგანოების სისტემის ორგანიზაციული სრულყოფა, საბაჟო დაწესებულებათათვის სტატუსის ამაღლება, შემოსავლების სამსახურის სისტემიდან საბაჟო ორგანოების გამოყოფა და საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სისტემაში სახელწიფო საქვეუწყებო დაწესებულების - დამოუკიდებელი საბაჟო დეპარტამენტის შექმნა, მისი ხელმძღვანელის უშუალოდ ფინანსთა მინისტრისადმი დაქვემდებარება იქნებოდა ჯერ ერთი საქართველოში საბაჟო ორგანოების მოხელეთათვისაც ანუ სახელმწიფოს ეკონომიკური საზღვრების დამცველთათვის, სტატუსის ამაღლების საფუძველი და საბაჟო საქმიანობის უკეთ განხორციელებისთვის ერთგვარი სტიმული და მეორეც - ეს გახდებოდა ქვეყნის საბაჟო პოლიტიკის უკეთესად განხორციელების უზრუნველყოფის საწინდარი. საბაჟო საქმიანობის ორგანიზაციის ეფექტურობის ამაღლება თავისთავად გულისხმობს საბაჟო კანონმდებლობის ნორმების სრულყოფას და მის საფუძველზე საბაჟო ორგანოებისთვის სტატუსის ამაღლებას, საბაჟო ორგანოების ფუნქციების, ამოცანების და უფლებამოსილებების სრულფასოვნად განსაზღვრას ანუ საერთო ჯამში იმ ღონისძიებათა სისტემის შექმნას, რომელთა განხორციელებაც უზრუნველყოფს ჩვენს ქვეყანაში საბაჟო ორგანოების საქმიანობის ეფექტურობის ამაღლებას. ეს ღონისძიებები მოიცავს: საბაჟო კანონმდებლობის დახვეწის მიმართულებით საქმიანობას და მის საფუძველზე საბაჟო დაწესებულებათა საქმიანობის სრულყოფისთვის ოპტიმალური სტრუქტურის შერჩევას: მათ გონივრულ განთავსებას ქვეყნის მთელს ტერიტორიაზე და სათანადო ეფექტური უფლებამოსილებით აღჭურვას საბაჟო კონტროლის და საბაჟო გაფორმების პროცედურების უკეთ, ეფექტურად განხორციელების მიზნით. რისთვისაც საჭიროა ქვეყნის ერთიანი, სწორი, სახელმწიფოს ეკონომიკურ ინტერესებზე მორგებული საბაჟო პოლიტიკის არსებული მოდელის დახვეწა...

დღეს ძალიან ბევრს ჰგონიათ, რომ საბაჟო ორგანოებს აკისრიათ მხოლოდ ფისკალური ფუნქცია, ანუ საბაჟო გადასახადების დამოსაკრებლების სახელმწიფო ბიუჯეტში მობილიზების ფუნქცია. არადა საბაჟო ორგანოებს გარდა საბაჟო გადასახადებით ქვეყნის ბიუჯეტის შევსებისა - სახელმწიფოში აკისრიათ ერთ - ერთი ყველაზე დიდი და სახელმწიფოებრივად უმნიშვნელოვანესი ფუნქცია, ესაა ქვეყნის ეკონომიკური საზღვრების დაცვა და ასევე სწორი ეკონომიკური პოლიტიკის და მისგან გამომდინარე სწორი საბაჟო პოლიტიკის არსებობის შემთხვევაში, ქვეყნის შიდა ეკონომიკის სტიმულირება და საექსპორტო საქონლის წარმოების ხელშემწყობი გარემოს შექმნისთვის პირობების არსებობა სახელმწიფოს შიგნით, სახელმწიფოებრივად სარგებლის მომტანი საბაჟო პოლიტიკის ძირითადი მიმართულებების სრულფასოვნად განხორციელების საფუძველზე, რაშიც უპირველეს ყოვლისა ვგულისხმობ ექსპორტ-იმპორტის რეგულირების მექანიზმების დახვეწას საქართველოს ეკონომიკის გასაძლიერებლად. ასევე უმნიშვნელოვანესია ჩვენის მხრიდან იმის გაცნობიერებაც რომ საბაჟო კანონმდებლობა და საბაჟო ორგანოთა სისტემა არის სახელმწიფოს სუვერენიტეტის ერთ - ერთი უმნიშვნელოვანესთაგანი ატრიბუტი. ანუ თუ სახელმწიფოებს არ აქვთ საბაჟო კანონმდებლობა და საბაჟო ორგანოთა მწყობრისი სტემა ასეთი სახელმწიფოების სახელმწიფო სუვერენიტეტზე საუბარი ზედმეტია. ალბათ სახელმწიფო სუვერენიტეტის ფეხქვეშ გათელვა იყო წინა ხელისუფლების მიერ გაუქმებული საბაჟო კოდექსიც და ის უკიდურესად დამაზიანებელი პროცესები რაც საბაჟო ორგანოთა სისტემის წინააღმდეგ განხორციელდა იმ პერიოდში.

ამ მხრივ 2019 წელს საქართველოში ახალი საბაჟო კოდექსის მიღებით ვითარება დარეგულირდა, ახლა საჭიროა მოხდეს არსებული კოდექსის და სხვა საბაჟო ურთიერთობების მარეგულირებელი კანონმდებლობის დახვეწა საქართველოს საბაჟო პოლიტიკის უკეთ განსახორციელებლად.

დასკვნა

დასკვნის სახით რა შეიძლება ითქვას: უმნიშვნელოვანესი და სახელმწიფოებრივად სწორი გადაწყვეტილება იყო საქართველოში წინა ხელისუფლების მიერ უსამართლოდ გაუქმებული საბაჟო კოდექსის აღდგენა, უფრო სწორად თუ ვიტყვით ახალი საბაჟო კოდექსის მიღება, რაც რათქმაუნდა დაგვიანებული ღონისძიებაა, მაგრამ ნათქვამია „სჯობს გვიან ვიდრე არასდროსო“. (საქართველოს სახელმწიფოს საბაჟო პოლიტიკის ცნებასთან და ასევე საბაჟო კოდექსთან დაკავშირებულ ჩემს შენიშვნებსა და წინადადებებზე საუბარი მაქვს სტატიის მეორე და მესამე თავებში.) ასევე ამ ეტაპზე აუცილებელია ინტენსიურ რეჟიმში გაგრძელდეს ახალი საბაჟო კოდექსის დახვეწა და საბაჟო საქმის მარეგულირებელი ახალი ნორმატიული ბაზის შემუშავებაც, რომლებიც ხელსშეუწყობენ საქართველოში საბაჟო ორგანოთა სისტემისთვის სტატუსის ამაღლებას და უფრო ეფექტურს გახდის საბაჟო ორგანოების გამართულ მუშაობას ქვეყნის საბაჟო პოლიტიკის სრულფასოვნად განხორციელები სმიზნით, ქვეყნის ეკონომიკურ საზღვრებზე, სახელმწიფოს ეკონომიკური ინტერესების შესაბამისად (რაზეც საუბარი მაქვს

სტატიის მე-3 თავში). სტატიას ვასრულებ სურვილით რომ სამართლის ფაკულტეტზე შემოღებულ იქნას ახალი დისციპლინა (საგანი) - საბაჟო სამართალი, რომელიც უაღრესად საინტერესო იქნება სტუდენტებისთვის როგორც თეორიული ცოდნის მიღების მხრივ ასევე მას ექნება პრაქტიკული დანიშნულებაც იმ სტუდენტებისთვის რომლებიც სამომავლოდ სურვილს გამოთქვამენ საბაჟო სისტემაში სამსახურის გავლისა.

ბიბლიოგრაფია

ამილახვარი, კ. (2000). საბაჟო საქმის ისტორია. *მაკრო და მიკრო ეკონომიკა.* #12.

ბერძენიშვილი, ნ. (1953). *მასალები საქართველოს ეკონომიკური ისტორიისთვის.* წიგნი 3. თბილისი: თსუ გამომცემლობა.

ბერძენიშვილი, ნ. (1964). ერთი უძველესი საბაჟოს ადგილმდებარეობისათვის საქართველოში. *საქართველოს ისტორიის საკითხები.* ტომი პირველი. თბილისი.

დოლიძე, ი. (1963). *ქართული სამართლის ძეგლები.* ტ. 1. თბილისი: საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობა.

დოლიძე, ი. (1965). *ქართული სამართლის ძეგლები.* ტ. 2. თბილისი: გამომცემლობა „მეცნიერება".

დოლიძე, ი. (1970). *ქართული სამართლის ძეგლები.* ტ. 3. თბილისი: გამომცემლობა „მეცნიერება".

კაკულია, მ. (1972). *ეკონომიკური აზრის განვითარების ისტორიისთვის რევოლუციამდელ საქართველოში.* თბილისი: „საბჭოთა საქართველო".

საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის სამართლებრივი აქტების კრებული (1918-21). (1990). თბილისი.

საქართველოს რესპუბლიკა. (1918 წლის 15 სექტემბერი). *კანონი საბაჟო დაწესებულებათა მოწყობის შესახებ - 1918 წლის 18 აგვისტო.*

საქართველოს რესპუბლიკა. (1991 წლის 17 სექტემბერი). *კანონი საქართველოს რესპუბლიკის საბაჟოს შესახებ. 1991 წლის 15 სექტემბერი.*

საქართველოს კონსტიტუცია 1995. მოძიებულია ვებგვერდიდან: https://matsne.gov.ge/document/view/30346?publication=36

საქართველოს კანონი საქართველოს საბაჟო კოდექსი 2019. (#4905-IIს). მოძიებულია ვებგვერდიდან: https://matsne.gov.ge/document/view/4598501?publication=7

საქართველოს მთავრობა. (2017). *საქართველოს მთავრობის 2017 წლის 31 მარტის დადგენილება №168 საქართველოს ფინანსთა სამინისტროს დებულების დამტკიცების შესახებ.*

საქართველოს კანონი შემოსავლების სამსახურის შესახებ 2010. (#2666). მოძიებულია ვებგვერდიდან: https://matsne.gov.ge/ka/document/view/91384?publication=12

საქართველოს ფინანსთა სამინისტრო. (2011). *საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2011 წლის 23 მაისის ბრძანება №303 საჯარო სამართლის იურიდიული პირის – შემოსავლების სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ.* მოძიებულია ვებგვერდიდან: https://www.rs.ge/AboutUs?cat=4&tab=1

ქარუმიძე, ვ. (2004). *საბაჟო სამართალი.* თბილისი: „ცოდნა".

ყაუხჩიშვილი, ს. (1989). *ოსმალური დოკუმენტური წყაროები საქართველოსა და ამიერკავკასიის შესახებ. (მე - 17 მე - 18 სს.).* თბილისი: გამომცემლობა „მეცნიერება".

შარდენი, ჟ. (1935). *მოგზაურობა საქართველოში.* (ვ. ბარნოვი, მთარგმნ.). თბილისი: სახელმწიფო გამომცემლობა.

ჩხეტია, შ. (1939). *ტფილისის ისტორიისთვის.* თბილისი.

ჩხიტაური, ა. (2002)ა. საბაჟო კანონმდებლობის განვითარების ეტაპები საქართველოში დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ - ზოგადი მიმოხილვა. *სამართალი.* #3.

ჩხიტაური, ა. (2002)ბ. საბაჟო ურთიერთობები საქართველოში 1918-21 წლებში. *სამართალი.* #9-10.

ჩხიტაური, ა. (2003)ა. საბაჟო ურთიერთობები ცარიზმის პერიოდის საქართველოში - ზოგადი მიმოხილვა. *სამართალი.* #1-2.

ჩხიტაური, ა. (2003)ბ. საბაჟო ურთიერთობა ფეოდალურ საქართველოში - ზოგადი მიმოხილვა. *სამართალი.* #8.

ჩხიტაური, ა. (2004)ა. საბაჟო საქმიანობის ორგანიზაციის და მართვის ზოგიერთი ასპექტი. *სამართალი.* #1-2.

ჩხიტაური, ა. (2004)ბ. საქართველოს საბაჟო პოლიტიკა და მისი მიზნები. *სამართალი.* #3-4.

ჭავჭავაძე, ი. (1887 წლის 5, 6, 9, 10 ივნისი). სატამოჟნო პოლიტიკა ევროპაში, ფრიტრედერობა და პროტექციონიზმი. *ივერია.*

ჯგერენაია, ე. (2020). *საბაჟო საქმის ტექნოლოგიის საფუძვლები.* თბილისი: „ინტელექტი".

Марков, Л. Н. (1998). *Очерк по истории таможенной службы.* Иркутск.
Фомичев, В. И. (1998). *Международная торговля.* Москва: Издателство «Норма».

Aleksandre Chkhitauri
Gori State University

MODERN CUSTOMS POLICY OF GEORGIA - ISSUES OF PERFECTING THE CUSTOMS CODE

RESUME

I divided my scientific article - "Modern Customs Policy of Georgia - Issues of Perfecting the Customs Code" into two parts. In the first part, I talk about customs law, as the most important institution in the field of law, and also about the need to introduce and teach customs law as an independent academic discipline at law and business faculties of Georgian higher education institutions. In the second part of the article, I am talking about the stages of the historical development of customs activities in Georgia (that is, the history of customs in feudal Georgia, Georgia during the tsarist era, in independent Georgia in 1918-21, in Soviet Georgia, and since independence in 1991 - to the present day in Georgia..). Also, in the second part of the article, I talk about the organization and management of customs activities in Georgia in accordance with the new customs code and current customs legislation; I will also discuss the modern customs policy of Georgia and the issues of perfecting the new customs code. In general, when talking about the customs sphere and the functions of customs bodies, many people think that customs bodies are mainly equipped with fiscal functions (that is, the mobilization of taxes and fees from customs to the country's budget). However, customs bodies, in addition to fiscal functions, have greater and state-important functions in the state - this is the protection of the country's economic borders and domestic national industry (business) from external threats. Based on this, the article has given special attention to the mentioned issue, the directions of the customs code, customs legislation and, accordingly, the customs policy of the country, which ensure the effectiveness of the protection of the economic borders of Georgia by the customs authorities, and also the existing legal problems that prevent the customs service from effectively implementing the protection of the economic borders are discussed. The article also discusses and expresses opinions on raising the status of the customs bodies of Georgia and on the organizational perfection of the customs bodies system. Based on this, I think it is necessary to separate the customs department from the revenue service system of the Ministry of Finance of Georgia and create a state sub-departmental institution in the system of the Ministry of Finance - that is, the state sub-departmental institution of the Ministry of Finance - the customs department.

Key words: Customs law, Customs policy, Customs code, Customs authorities.